ელგუჯა ადეიშვილი

მწვერვალი

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო
აკადემია „ქალდეა - საქართველო“

ელგუჯა ადეიშვილი



მ წ ვ ე რ ვ ა ლ ი

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2024

მთავარი რედაქტორი - **რევაზ მიშველაძე**

კლასიკოსი ქართველი მწერალი, ნოველისტი,
რუსთაველის პრემიის ლაურეატი,
საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი
კავშირის თანათავმჯდომარე

© ელგუჯა ადეიშვილი, 2024
გამომცემლობა „უნივერსალი", 2024

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-767-3

რედაქტორებისგან

გზა მკითხველთა გულებისაკენ

ელგუჯა ადეიშვილი ქართულ მწერლობაში კონკრეტული სათქმელით მოვიდა.

ლიტერატურის თაროზე შემოდო რამდენიმე წიგნი და იმ წიგნებით გამოწვეულ რეზონანსს მოკრძალებით მიაყურადა.

გამოხმაურებამ არ დააგვიანა

კრიტიკამ ხაზი გაუსვა იმ სიახლეს, რასაც დებიუტანტთა შემოქმედებაში იშვიათზე იშვიათია.

"სხვისი იუბნოს სახელი, თავის გარჯასა მალავდეს“ - ბრძანა ვაჟა-ფშაველამ კარგ ყმაზე და სწორედ ის "კაი ყმა" გაიხადა სიმბოლურ ორიენტირად ბატონმა ელგუჯამ.

მან ორი მიმართულებით წარმართა თავისი პირველი სამწერლო რუდუნება.

პირველი: შექმნა მშვენიერი ნარკვევები ერისთვის მზრუნველ, საზოგადო საქმიანობით გახმაურებულ ადამიანებზე.

მეორე: ისტორიული ჩანახატებით და იმ ჩანახატებზე დართული შთამბეჭდავი ფოტოებით მკითხველს მიაწოდა შემეცნებითი მასალები მისი მშობლიური რაიონის ისტორიულ ძეგლებზე.

ამ ძეგლთა შორის მისი ძალისხმევით მშობლიურ სოფელში აშენებული საყდარიც გაგვაცნო.

ყოველივე ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის ელგუჯა ადეიშვილის სახელი საქართველოში გახმაურებულიყო.

ძვირფასო მკითხველო, "მწვერვალი" ელგუჯა ადეიშვილის რიგით მერვე წიგნია.

ჟანრული თვალსაზრისით ეს ახალი წიგნი აგრძელებს მწერლის შემოქმედებით გზას, თუმცა აქვე სიამოვნებით დავსძენ, რომ ავტორის პალიტრა უფრო გამრავალფეროვნებულია; კრე-

ბულში იხილავთ ლექსებს და პროზაულ ჩანახატებსაც.

მთელი პასუხისმგებლობით ვულოცავ "მწვერვალს" გზას მკითხველთა გულებისაკენ.

რევაზ მიშველაძე
რუსთაველის პრემიის ლაურეატი

მოკლე მიმოხილვა ელგუჯა ადეიშვილის წიგნებზე: ,,ჯვარიქედიდან დანახული ჩემი სამყარო“, ,,გზა უფლისკენ“ და „მწვერვალი“

პირველ რიგში, ვიზუალურად, სამივე წიგნი ძალზე დადებით და პოზიტიურ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე, შიგთავსი და შინაარსი ხომ აღფრთოვანებით იკითხება. რამდენი საინტერესო ლექსი, ღვთივნაკურთხი საქმე, სიბრძნე და ამ სიბრძნის შემქმნელი და მატარებელი ადამიანია მოხსენიებული.

წიგნში საპატიო ადგილს იკავებს, როგორც ბიბლიური წინასწარმეტყველების, ასევე ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის გამონათქვამები, რომლებიც ფაქტიურად საპროგრამო მასალაა თითოეული ქართველისთვის... ავტორი გვევლინება როგორც ქადაგი, დამრიგებელი, მასწავლებელი და გზამკვლევი. და თუ ჩვენს დიდებულ წინაპართა შეგონებას მოვიშველიებთ, რომ ყველაზე კარგი სააგიტაციო საშუალება, პირადი მაგალითიაო, ძალიან სასიხარულოა და საამაყო, რომ ჭეშმარიტად ღირსეულ მამულიშვილთა კოჰორტას შეუერთდა ისეთი სანიმუშო და მისაბაძი ადამიანი თავისი საქმიანობით, როგორიც წიგნების ავტორი ელგუჯა ადეიშვილია.

აი, რას წერს საქვეყნოდ ცნობილი მამულიშვილი ბატონი გრიშა ონიანი: ,,ადეიშვილები ჩვენი საზოგადოებისათვის ღვთის საჩუქარია და მათ წინაშე თავს ვიხრი მიწამდე“ - ჭეშმარიტად ბატონო გრიშა, ჭეშმარიტად!

ერთ-ერთი წიგნის (“გზა უფლისკენ“) გამომცემლობის რედაქტორი, ქ. თბილისის ამაღლების ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი მამა-ამირან ამირანაშვილი ასე მიმართავს წიგნის ავტორს: ,,ძვირფასო ქრისტესმიერო ძმაო, გილოცავ!“, იგულისხმება არა მარტო წიგნების გამოცემა, არამედ მისი, როგორც ეროვნული და პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღენთილი, აკადემიური საქმიანობა და მოღვაწეობა.

აქვე მინდა მოვიყვანო ლექსად წარმოდგენილი მამა ამირანის განცდა-გამოცხადება:

გამოცხადება

გუშინ სიზმარში ვნახე ბელადი,
არა მიშა და არა ედვარდი...
ვნახე სტალინი, ახლდა ბერია,
მთელი თბილისი გადამერია.
გამოაცხადა ჩემი სახელი,
რაღაც ჩინები დაასახელა,
ძლივს მივარღვევდი მსმენელთა მასას...
თანამდებობა? თანაც ამხელა!
თან მეშინოდა, თან მიხაროდა,
თანაც მიკვირდა, ეს რა ხდებოდა!
ჩემი ძმებისთვის მსურდა გამენდო,
ერის საქმე თუ მომიხდებოდა.
თავი სიზმარში მგონია ისევ,
ვერ გამიგია რა მემართება...
რას ნიშნავს, როგორ მინდა ვიცოდე,
სიზმრად ბელადის გამოცხადება?!

ამ ლექსს თუ გავაანალიზებთ, მასში თითქმის მრავალი პასუხ-

გაუცემელი კითხვაა და ახლა მე მინდა ყველა კითხვაზე პასუხი გავცე. აქ ბელადი მამა ამირანს მადლობას უხდის მის მიერ აქამდე გაწეული ღვაწლისათვის და კიდევ ავალებს მას მომავალშიც გააგრძელოს თავისი აქტიური, კეთილშობილური საქმიანობა. ,,გამოცხადებაში" დასმულ კითხვებზე პასუხს წარმოადგენს ბელადის მიერ შექმნილი საყოველთაოდ ცნობილი ლექსები (მათ წარმოდგენას აქ არ შევუდგები) ,,დილა", რომელიც ფაქტიურად ჰიმნია ჩვენი სამშობლოსადმი მიძღვნილი და ლექსი ,,საქართველო".

უნდა ითქვას, რომ ბელადის ამ შეგონებების აღმასრულებელი მამა ამირანთან ერთად, მისი სულიერი ძმა და მეგობარი, ბატონი ელგუჯა ადეიშვილია.

ბატონი ლადიკო (ჯამბული) თვალაბეიშვილი (ელგუჯას მშობლიური კუთხის წარმომადგენელი) ამბობს: ,,მეამაყება, რომ ვარ ელგუჯა ადეიშვილის მეგობარი, მეგობარი იმ დიდი პიროვნებისა, რომელმაც მნიშვნელოვანი ღვაწლი გასწია თავისი სამშობლოს, ერისა და კუთხის წინაშე."

წიგნზე ,,ჯვარიქედიდან დანახული ჩემი სამყარო"- ,, ეპილოგის მაგიერ", ამავე წიგნის მთავარ რედაქტორს, ქართული პოეზიის რაინდს, პოეტ-აკადემიკოს ბატონ ვაჟა ეგრისელს ასეთი მინაწერი გაუკეთებია:

"სიხარული მომგვარე,
მსურს გიძმო და ,,გიშვილო"!
გალას დედის მოგვარევ,
ყოჩაღ! ადეიშვილო!"

ამ მინაწერის გაჩენა სხვა სახის ღირსშესანიშნავ შემოქმედებასთან ერთად, განაპირობა ბატონი ელგუჯა ადეიშვილის მიერ თავის თანამოაზრეებთან ერთად, ვანის რაიონის სოფელ ყუმურში, ,,ყუმურის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის" მშენებლობამ, რისთვისაც ელგუჯა ადეიშვილმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დალოცვის სიგელი მიიღო...

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ბატონმა ელგუჯა ადეიშ-

ვილმა დიდი საღვთო საქმე გააკეთა, როდესაც შემოიკრიბა თანამოაზრეები და მშობლიური ვანის რაიონის, სოფელ ყუმურში, როგორც უკვე ავღნიშნეთ, აიგო ,,ყუმურის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია“, ხოლო ბოლო პერიოდში სათანადო ორგანიზების გაწევით და მისი ვაჟიშვილების დიდი ძალისხმევით, ახალი ლამაზი სამრეკლო აიგო, რითაც მდინარე ყუმურის ხეობაში ისევ გაისმის და გუგუნებს ჩვენი დედა-ეკლესიის ზარების ღვთიური ხმა. წიგნებში, როგორც თხრობით, ასევე ლექსებით ძალზე ოსტატურადაა აღწერილი და დახატული მდინარე ყუმურის ხეობა, ჯვარიქედის სილამაზით განთქმული, ზღაპრული ბუნება და მიდამოები, ნადირ-ფრინველით სავსე ხეობაში შაშვისა და ბულბულის გალობა, მდინარე ყუმურის წვერა და კალმახი.

წიგნში ავტორის მიერ სიღრმისეულად განხილულია გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ფილოსოფოსის, თსუ პროფესორის დენიზა სუმბაძის მიერ, აშშ პრეზიდენტ დონალდ ტრამპისადმი მიწერილი ღია წერილი წიგნის სახით ,,ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათგან“. წიგნის ავტორის ბოლოსთქმა ღია წერილის შესახებ: ,,მხარს ვუჭერ ქ-ნ დენიზა სუმბაძეს, მის მიერ აშშ პრეზიდენტის დონალდ ტრამპისადმი გაგზავნილ ღია წერილში ასახულ უკლებლივ ყველა მოსაზრებას და ვისურვებდი ცალკეული საკითხების უახლოეს პერიოდში განხორციელებას, კაცობრიობისა და მათ შორის ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ“.

ელგუჯა ადეიშვილს გაწეული საქმიანობისა და ღვაწლი-სათვის, სამშობლოსა და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წინაშე, როგორც უკვე ავღნიშნეთ მიღებული აქვს ჩვენი კათოლიკოს - პატრიარქისაგან,, დალოცვის სიგელი“. 2016 წელს, მშობლიური ქალაქ ვანის საზოგადოებამ იგი ქ. ვანის ,,საპატიო მოქალაქედ“ აირჩია.

2021 წელს საქართველოს მწერალთა კავშირმა ბატონ ელგუჯას ნიკო ნიკოლაძის პრემია მიანიჭა; 2023 წელს - ,,ქართული კულტურის ამაგდარის“ საპატიო წოდება, ხოლო 2024 წელს „აკაკი წერეთლის სახელობის პრემია“ მიანიჭა.

მიუხედავად დიდი წუხილისა გაუკაცრიებული სოფლების გამო, არა მარტო ვანის რაიონში, არამედ სრულიად საქართველოში, ბატონი ელგუჯა ადეიშვილი მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი და ამბობს:

ამონარიდი ლექსიდან: ,,მორიგი გამოხმაურება ყუმურს და სხვას !!!“

,,ღმუის ხეობა, ,,მარტო მთები“ დარჩა სოფელი,
განვდევნოთ ეშმა, რომ შევცვალოთ ხალხით -
მომსვლელით,
არ მოვისვენოთ, არ ჩამოვჯდეთ კეთილმყოფელი,
ვიპოვოთ ძალა - დააბრუნოს ყველა მშრომელი.“

ელგუჯა ადეიშვილის მერვე წიგნი - "მწვერვალი", მრავალფეროვანია შინარსობრივად და ვთვლი, რომ წიგნი შეუდარებელია იმ კუთხით, რომ ავტორს წარმოდგენილი ჰყავს საქართველოს სიამაყე, ქართველი კლასიკოსი მწერალი და ნოველისტი, ბატონი რევაზ მიშველაძე და წლების მანძილზე საქართველოს მწერალთა კავშირის უცვლელი თავმჯდომარე და მის არსებობაზე დღემდე სულისჩამდგმელი - ქალბატონი მაყვალა გონაშვილი და ასევე სხვა ცნობილი პოეტები. წიგნში შეტანილი ლექსები კი სიღრმისეულია შინაარსობრივად, დამრიგებლური და გასათვალისწინებელია დღევანდელ ეპოქაში, ჩვენს თანამედროვეობაში.

წარმატებები ბატონო ელგუჯა, კიდევ მრავალი წიგნით გაგეხარებინოთ ქართველი მკითხველი.

გურამ კუპატაძე
საქართველო. კოლხეთი-ფაზისის საერო-
სამეცნიერო საერთაშორისო აკადემიის
ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი

ყუმურის წმ.გიორგის ტაძრის სამრეკლოს აშენება - 2022

დროზე ვერ მოხდა -
სამრეკლოს დადგმა,
არ მოგვასვენა -
ფიქრმა და დარდმა,
უფალმა მოგვიანებით -
გამოგვიწოდა მზრუნველი კალთა,
აიგო ზარის სამყარო -
იგი მლოცველთა მხმობელი გახდა!!!

განცდაა, არ შეგაწუხოს -
ღმერთის წინაშე ვალმა,
გსურს, რომ დალოცო -
ძეგლის ამგებნი...
კეთილმოსურნე, ღვიძლი შვილები -
კონსტანტინე და შალვა.

2022

გულახდილობა

"პირველად":

*** თავს არ ვდებ პოეტობაზე,
არ ვამბობ, რომ მე „ლომი“ ვარ,
სახლში არ ვამხელ, რას ვჯღაბნი,
გარეშეს რაღაც ვგონივარ.

*** როს გაეცნობით ნაწვალევს,
მსურს, პირში მითხრათ სათქმელი,
არ მოგერიდოთ დაძრახვის
იქნებ ჩავაქრო სანთელი.

"მეორედ":

*** მწამს, რომ გაეცნენ ნაწვალევს,
დღემდე არ უთქვამთ სათქმელი,
არ მოერიდათ დაძრახვის,
ისევ მინთია სანთელი.

"მესამედ":

*** ველოდებოდი მკითხველის რისხვას,
არსად შესულა სარჩელი,
ისევ გავბედე ორბიტაზე სვლა,
ექვსჯერ ვთქვი ჩემი სათქმელი.

"მეოთხედ":

*** აღარ ვაპირებ წუთშესვენებას,
მსურს შვიდჯერ ენთოს წმინდა სანთელი,
მადლობას გიხდით მხარდაჭერისთვის,
ადიდოს ღმერთმა თქვენი გამჩენი.

„მეხუთედ“:

*** მერვედ ვებმევი უღელში,
მსურს, რომ გავწიო ჭაპანი,
არ მინდა პირის შერცხვენა,
იქნებ მიწოდონ ამტანი.

2024

მწვერვალი

უმაღალეს მწვერვალს რომელიც იპყრობს,
იგი მძლე გახლავთ - მთებზე მავალი,
ვინც ვერ მიაღწევს ასეთ შედეგებს,
თავად ეძებოს გამოსავალი.

მწვერვალს ვერ იპყრობს - ყველა მსურველი,
არც ბედი შველის - აღარც იღბალი,
იგი მოითხოვს უთვალავ გარჯას,
დრო აღარ რჩება - თავისუფალი.

ერთეულების ხვედრია -
მწვერვალზე ასვლა, მიზნის მიღწევა,
ვისაც ის ძალუძს მძლეთამძლე არის,
ჭეშმარიტებას - ვინ გაექცევა.

ნუღარ ეცდები სიმაღლის პყრობას,
რადგან არა გაქვს ამის უნარი,
ნუ მოინდომებ რასაც ვერ დაძლევ,
თავშეკავება - შენს თავს უთხარი.

აღარ იფიქრო მიუღწეველზე,
რასაც მიწვდები იგი იკმარე,
არ იოცნებო - რაც არ გეკუთვნის,
მაშინ იქნები ქვეყნად ბრწყინვალე.

2024



ბრწყინვალე აღმოჩენა - ყუმურის მსხალთავაკის ჩანჩქერი. შალვა ადეიშვილი, 2010წ.

ჩანჩქერი "მსხალთავაკე"

(მდინარე ყუმურის ხეობაში)

ბუნებრივად შობილი -
წყალვარდნილი მაღალი,
ხეობის დედოფალია -
მნახველი ჰყავს მრავალი.

საოცარია საცქერად -
სხვა ბრწყინვალება ირგვლივ არ არის,
მთის მწვერვალიდან წყალმოზღვავებით -
ლოდებს გაუდის ზანზარი.

შველას ითხოვს თვითნაბადი -
თუნდაც გზა იყოს სავალი,
იქნებ და... ვისაც ეხებათ -
მონახონ გამოსავალი.

ხელი ეშლება ყველა ვიზიტორს -
ადგილობრივს,თუ შორიდან არის,
სასურველია განვითარება -
შესაფერისი - თუნდაც დრო-ჟამის.

2010

ელგუჯა ადეიშვილი

დაიბადა 1948 წელს ვანის რაიონის სოფელ ყუმურში, მოსამსახურის ოჯახში.

1973 წელს დაამთავრა მოსკოვის კოოპერაციული ინსტიტუტი და მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია. 1996 წელს დაასრულა უნივერსიტეტი „აჭარა“-ს სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი.

1986-1989 წლებში ირიცხებოდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის აღრიცხვის, ანალიზის და კონტროლის კათედრის მაძიებლად. 2000-2006 წლებში გაიარა: აშშ-ის საერთაშორისო განვითარების საააგენტოს პროგრამით განხორციელებული საგადასახადო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებული საკვალიფიკაციო ტრენინგები; აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტის ეგიდით ორგანიზებული და გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგები. 2010-2011 წლებში წარჩინებით დაასრულა თავისუფალი უნივერსიტეტის - პროფესიული განვითარების პროგრამა (CBA (Certified Business Administrator)).

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1971 წელს. მუშაობდა სპეციალობით და სხვადასხვა თანამდებობებზე - საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში, ფინანსთა სამინისტროში, საგადასახადო სამსახურში, კონტროლის სახელმწიფო კომიტეტში, კონტროლის პალატაში, საბაჟო დეპარტამენტში. ამჟამად მუშაობს ს.ს.“საქართველოს რკინიგზა“-ს კონტროლის, მონიტორინგის და ინსპექტირების დეპარტამენტში.

მინიჭებული აქვს საგადასახადო სისტემის ოპერატიული სამსახურის კაპიტნის წოდება.

გახლავთ ქტიტორი მშობლიურ სოფელ ყუმურში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობისა.

2010 წლის ივნისის თვეში, ვანის საკათედრო ტაძრის გახსნასთან დაკავშირებით, საჩუქრად მიიღო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ისაგან - „საგალობლები“-ს ალბომი, ხოლო შემდგომში საქართველოს საპატრიარქოს, ვანისა და ბაღდათის ეპარქიის მეუფე ანტონისაგან - „სამკერდე ნიშანი“.

2010 წლის 25 ნოემბერს, ვანისა და ბაღდათის ეპარქიაში გამართულ საზეიმო შეხვედრაზე, ელგუჯა ადეიშვილს გადაეცა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის “დალოცვის სიგელი“.

ვანის რაიონის გამგეობისა და ეპარქიის მღვდელმთავრის ერთობლივი გადაწყვეტილებით, რაიონის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, 2016 წელს იგი არჩეული იქნა ვანის საპატიო მოქალაქედ და გადაეცა საპატიო სიგელი.

ელგუჯა ადეიშვილი არის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა - საქართველოს“ ნამდვილი წევრი, გაზეთ „ქალდეა“-ს სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე; 2022 წლიდან არჩეულია აგრეთვე ფაზისის საერო-სამეცნიერო საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსად და პრეზიდიუმის წევრად.

პუბლიცისტური წერილები გამოქვეყნებული აქვს გაზეთ „ქალდეა“-ს სხვადასხვა ნომრებში. მას ერგო წილად იყოს პოეტი-აკადემიკოსის ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები“-ს ოცდაათტომეულის, 25-ე ტომის გამომცემლობის რედაქტორი (გამომცემლობა „უნივერსალი“ 2019წ) და „მწოლიარე ლექსების“ 50-ტომეულის 33-ე ტომის მთავარი რედაქტორი.

ელგუჯა ადეიშვილს გამოცემული აქვს წიგნები საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველოს“ ეგიდით, გამომცემლობა „უნივერსალში“ - „ქართული სიწმინდეები“ (2019წ.), „ჭალასამზიარი“ (2020წ.), რედაქტორი ვაჟა ეგრისელი; „აკაციის ყვავილობა“ (2020წ.), რედაქტორი ნონა გიორგაძე; „ილია და... რკინიგზა კახეთში“ (2020წ.), რედაქტორი ანზორ ჯაფარიძე; “აისი“ (2021წ.), რედაქტორი თამარ ფოფხაძე; „ჯვარიქედიდან დანახული ჩემი სამყარო“ (2022წ.), რედაქტორი ვაჟა ეგრისელი, „გზა უფლისკენ“ (2023წ.), რედაქტორი თამარ ფოფხაძე.

ბოლო ხანს გამოცემული წიგნებისთვის „ქართული სიწმინდეები“ და „ილია და... რკინიგზა კახეთში" საქართველოს მწერალთა კავშირმა 2021 წელს ელგუჯა ადეიშვილს მიანიჭა „ნიკო ნიკოლაძის პრემია“ და გადასცა დიპლომი; 2023 წელს, დაბადების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით და ქართულ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, მას - „ქართული კულტურის ამაგდარის წოდება“ მიანიჭა და გადასცა დიპლომი, ხოლო 2024 წელს, ბოლო წლებში გამოცემული წიგნებისათვის „ჯვარიქედიდან დანახული ჩემი სამყარო“ და „გზა უფლისკენ“, საქართველოს მწერალთა კავშირმა ელგუჯა ადეიშვილს „აკაკი წერეთლის სახელობის პრემია“ მიანიჭა და გადასცა დიპლომი.

მის შესახებ გამოქვეყნებულია მასალები სხვადასხვა წიგნებში და გამოცემებში:

- „ვანი ოქრომრავალი ქვეყანა“ (ოთხტომეული) (მწერალი საზოგადო მოღვაწე ბადრი სვანაძე, გამომცემლობა ქუთაისი 2012 - 2015წწ.).
- ტომი N3 „ქტიტორი“ (ვანის მუნიციპალიტეტის ყუმურის წმინდა გიორგის სახ. ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებით).
- ტომი N4 მისი მშობლების შესახებ მოგონებები და სარწმუნოებრივ თემაზე ნაშრომი.
– „აღსარება“ (შემოქმედებითი თემა - აკადემიკოსი ანზორ ჯა-

ფარიძე. გამომცემლობა „ივერიონი“ 2015წ.).
- „არ დავიწყება მოყვრისა (შემოქმედებითი და ბიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოები - თეიმურაზ ადეიშვილი, იური ადეიშვილი, გამოცემული 2019 წელს).
- ვანის მუნიციპალიტეტის პერიოდული დამოუკიდებელი გაზეთი „საჩინო“ (რედაქტორი ნატო მეფარიშვილი) (ბიოგრაფიულ-შემოქმედებითი მონაცემები რამდენიმე ლექსთან ერთად, 2019 წელი, სექტემბერი; ორი ახალი წიგნის -„ილია და... რკინიგზა კახეთში“ და „აკაციის ყვავილობა“ გამოცემის შესახებ, 2021 წლის აპრილი).
- ჟურნალი „ათინათი“ - წიგნი „ქართული სიწმინდეები“, რამოდენიმე ლექსი (N1 (35) და N2 (36), 2020 წელი).
- ანთოლოგია (ტომი X, 2020 წელი) - რამოდენიმე ლექსი.
- "ჩემი სამშობლო" და "საქართველოს სტკივა შოვი და ვერე..." - რამოდენიმე ლექსი (ვ. კაკაურიძის კრებულები, 2023 წელი).

ჰყავს მეუღლე - თინათინ გეგეშიძე, უმაღლესი განათლებით (ფილოლოგი); შვილები - კონსტანტინე ადეიშვილი, დაბადებული 1979 წელს, დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და შალვა ადეიშვილი, დაბადებული 1984 წელს, დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი; ოთხი შვილიშვილი (თინათინი, სანდრო, გეგა, ანდრია ადეიშვილები).

ჩემი მოკრძალებული ლექსები და გამონათქვამები

* * *

ღმერთო! შენამდე შორია,
შენ, კი ახლოს ხარ ჩემთან,
შემაძლებინე შეუძლებელი,
მუდმივად ვიყო შენთან ...
კაცმა სიკეთე უნდა აკეთოს,
ამ გზით ატაროს ბედმა,
არ აირჩიოს ბოროტების გზა,
იოლად მივა ღმერთთან.

2024

* * *

ხსნა, ასე არ მოდის...

განცდა როცა ზღვარს აჭარბებს,
ვეღარ პოულობ ხსნას,
დაეძებ ნამდვილ დასაყრდენს ...
რასაც ვერ ეტყვი სხვას.
მიზანი როცა მართლდება,
ისმენ იმედის ზარს,
ამაზე დიდი ბედნიერება,
აღარ !! არსებობს მწამს...

2023

* * *

ვჩუქნი უჩემობას - მათზე,
არსებას ჩემსას ვინც ვერ აფასებს,
რადგან უგრძნობი ადამიანი,
ისე ადვილად ვერ შეგაფასებს.

არავინ არ გააბრაზო,
არც კიდევ არ მოატყვილო,
არავინ არ მიატოვო,
შენვე ირწმუნე თავად... მარტვილო.

2024

* * *

დაუნახავი - ცბიერი,
თუ გამოგადგა კაცი - რჩეული,
ცხოველს რომ დაემსგავსება,
ჩამოიცილე ვითარც - ეული.

დასანანია, ცხოველს ემსგავსა,
ერთ დროს არსება სახელიანი,
საიდან ჩნდება მანკიერება,
დასადგენია... არც არს - გვიანი.

2000

* * *

საჩუქარს არასდროს ითხოვს,
ქალი ღირსების მატარებელი,
მამაკაცები თავად ჩუქნიან,
ზედმეტი ხდება დამძალებელი.

ყველაზე დიდი საჩუქარია,
სითბო, გაგება და სიყვარული,
ნივთი, ყვავილი- მალე გაქრება,
აჯობებს დაგრჩეს უკვდავი სული.

2023

* * *

ნუ ნანობ იმ ადამიანს,
ან კიდევ იმის დაკარგვას,
ერთ დროს ახლობლად რომ თვლიდი,
თავს იბრმავებდი კარგა ხანს.

ინანე, სულ სხვა რამეზე,
დიდი დრო რატომ დაკარგე
არ მოიცილე დროულად,
ცხოვრების გზაზე რისთვის ატარე ??

1999

* * *

ცხოვრება, სადაც წამიყვანს-
ყველგან იგივე ვიქნები,
ვერ შევიცვლები ვერასდროს
ცბიერს... ვერ შევურიგდები.

არ შევცვლი, არც ერთ მიდგომას -
რაც გინდა კარგი მანახონ,
თუნდაც კუთვნილი სამყარო
მრავალჯერ გამილამაზონ.

* * *

ხშირად მარტო ხარ ფიქრებში,
გსურს რომ გაფანტო აზრები,
ჩამოიშორო დაძაბულობა
დატოვო განცდის საზღვრები.

ზოგჯერ მარტოა ადამიანი
მოწყენილია ძალიან,
უნდა სირთულე ვინმეს გაანდოს
ამ დროს კი მისთვის აღარ სცალიათ.

წუთისოფელი ყველაფერს იტევს,
მადლის კეთება ყველას ვალია,
კითხვები ჩნდება - რა ხდება ჩვენში
ვინ ვართ ასეთი - რისი ბრალია??

2024

თებერვალი დადგაო...

მესამოცე დღე... დღეს მიილია,
ურთიერთობა რაც აირია,
მართლაც რა მოხდა ვერავინ იტყვის,
ჩანს, რომ ეს ხალხი გადაირია.
კლიმატი მართლაც ხშირად იცვლება,
მიზეზ - მიზეზი არ დაილია,
ღმერთმა აღარ ქნას განხეთქილება,
ყველა პრობლემა გადავლილია...

2024

* * *

ბოროტთან, როცა იმარჯვებ!
ეცადე, მახვილს ნუ მოიმარჯვებ,
დამონებული უძლური
ვერასდროს ვერ გაიმარჯვებს,
გზა ჩაენგრევა სავალი,
ქცევაზე თავად იდარდებს.

ბოროტებას სძლევს კეთილი,
გვასწავლა გამოცდილებამ,
ნუღარ ენდობი უზნეოს,
არ შეგაცდინოს - სახეცვლილებამ.

2024

ფარული სიმართლე

არ შეიძლება! შენი ცხოვრება,
სხვებს - რომ შესწირო მსხვერპლად,
გეგონოს სიყვარულია ...
მაგრამ სცდებოდე მეტად.

სიყვარულია ორმხრივი,
უნდა დარწმუნდე თავად,
კარგად შეხედე იქნებ მოტყუილდი,
არ გაგიგებენ ავად.

ისმინე რწმენის მეხოტბევ,
არ აყვე ცალმხრივ გრძნობას,
არ დაემონო არასდროს,
ვინმეს შენიღბულ ნდობას.

1999

წვიმა მოვიდა კოკისპირული, გამოთქმებია მთლად შექსპირული

... ბედნიერი ვარ ყოველთვის,
ბედად აეწყო ნოტები,
არც არასოდეს არვისგან,
არაფერს არ ველოდები.

...ხანმოკლე არის ცხოვრება,
უნდა გიყვარდეს შვილივით,
ვალია სწორად იარო,
გზა გააგრძელო ღიმილით.

... მოლოდინი რომ მტკივნეულია,
ცნობილი არის ყველასთვის,
არ დაელოდო რამეს უგონოდ,
ვერ დაძლევ ძალას ვერასგზით.

...იცხოვრე წყნარად თავს ნუ იტვირთავ,
ილოცე ეკლესიაში,
არ ჩაიხედო სხვის სამყაროში,
თუ გინდა მოხვდე ხალხის სიაში.

... სანამ საუბარს დაიწყებ,
კარგად უსმინე მსმენელს,
გაიაზრე რა უნდა თქვა,
არ მიგამსგავსონ რეგვენს.

... სანამ დაწერდე დაფიქრდი,
მოკლედ ასახე დამშვიდდი,
ბევრს ნუ აიღებ შენს თავზე,
გათვალე ყველა ნაბიჯი.

... სანამ დახარჯავ იშრომე,
სისხლის წვეთამდე იყავი გამრჯე,
ხარჯე რაც შრომით შეგიძენია,
იცოდე ამით ყველაფერს არგე.

... სანამ ლოცულობ, სხვას აპატიე,
შემდეგ ღმერთს სთხოვე თუ რამე გინდა,
აზრი დაკარგა ტაძარში ყოფნამ,
უფალი ხედავს შენ რაც არ გინდა.

...იფიქრე სანამ დაზარალდები,
კარგად დახურე ღრიჭო კარები,
გვიან არ დარჩეს ფარ-ხმალის ძებნა,
მომხვდურს ნუ დაემალები.

... სიძულვილს სიყვარული სჯობს,
დარწმუნდი თუ ხარ ჯანმრთელი,
ბოროტების გზას აცდები,
ღმერთი იქნება შენი დამცველი.

... სანამ ნებდები - სცადე ყოველი,
არ გადაწყვიტო მარტივად,
იქნებ არ ჩაყვე, გზა გამონახო,
ბედს დაელოდე, ბრძოლა არ გინდა.

... სანამ მოკვდები - იცოცხლე,
აჯობებს ასე მგონია,
სიკვდილს რად უნდა სახელი,
ცოცხალს რომ ჰქონდეს, ბევრად სჯობია.

... აქ როცა ცხოვრობ- ამქვეყნად,
სახელს უფრთხილდი იცოდე,
იმ ქვეყნად როცა იქნები,
დიდებით იქაც - გიცნობენ.

2024

პროტოტიპი

მეგობრად, არ აირჩიო,
ურწმუნო ადამიანი,
როცა დაუშვებ შეცდომას -
ჩათვალე არის გვიანი.
        ურწმუნოს, არ შეუძლია,
        აღიქვას ვინმეს ტკივილი,
        არ დაიჯერო მისგან არასდროს,
        ნიანგის ცრემლით ტირილი.
ღმერთს არ სცნობს სულით ურწმუნო,
მსახური არის პირადი მიზნის,
არ გააჩნია გულით მიდგომა,
იგი სიმართლეს - არასდროს იტყვის.
        ურწმუნო ადამიანი
        იცავს სანუკვარ კრედოს,
        ცდილობს - ვის როგორ წაართვას,
        ეძებს სადა ხარ... ბედო,
        მისი არსება მუდამ გარწმუნებს,
        რომ არასოდეს - არ უნდა ენდო.
ზიანს აყენებს სამყაროს,
იძენს საშინელ ჩვევებს,
არ ერიდება უღირს საქციელს,
თან ასასავსავებს ხელებს.
        ურწმუნოს არ გააჩნია,
        ნებისყოფა და სიმშვიდე,
        ღალატობს ერთგულ მეგობარს,
        სულ ერთი არის მისთვის - მეშვიდეც.

კარგად გათვალე ვისთან მეგობრობ,
ნუ გაიკარებ უღირს "ტიპს",
გამოიჩინე გონიერება,
არასდროს ენდო მავნე პროტოტიპს.
მეგობრად აღარ ირჩიო,
ურწმუნო - ორსახიანი,
როცა თავიდან ვერ გათვლი -
დარწმუნდები, რომ არის გვიანი.

2024

შეხმიანება საინტერესო გამონათქვამებზე:

*** * ***

ადამიანზე ზურგს უკან,
ილაპარაკე მხოლოდ ის,
რასაც პირდაპირ ეტყოდი,
არ დაიხარჯო ბოლომდის.

სჯობს ღიად უთხრა სათქმელი,
თუნდაც ეს იყოს მოჭარბებული,
დაგრჩება კაცის სახელი,
იქნები ამაღლებული.

* * *

თავიდან ყველას ისე "მოექეც",
როგორც აღგზარდეს წეს-ჩვეულებით,
შემდეგ მიდგომა შეცვალე,
"მიხედე" - დამსახურებით.

ყველასთან ერთი მიდგომით,
ვეღარ მიაღწევ საწადელს,
გაქრება კეთილგანწყობა
თოვლს ემსგავსება შარშანდელს.

* * *

ქებას ყოველთვის დაიმსახურებს,
გონიერებით მოლაპარაკე,
აღმაფრენით და სიკეთით ივლის,
გამოიყენებს იგავ - არაკებს.

ბოროტი გულის მქონეს კი,
შეიძულებენ ასე მგონია,
ყველა ეცადოს არ დააშავოს,
მსგავსი არსება სულ სხვა დონეა.

* * *

უნდა იცოდე ცხოვრების გზაზე,
რადგან მიდგომა უკან წავიდა,
ვეღარ იქნება უკვე რაც იყო,
კეთილგანწყობა მეტად გაცივდა.

არასდროს სთხოვო დახმარებაზე,
ვინაც ამაზე გითხრა უარი,
აღარ ელოდო ამ დროს არაფერს,
სიკეთე არ ჩანს - აღარ ჟღერს ქნარი.

* * *

მიმართულებას სწორს დაგანახებს,
უფალი ყოვლის მპყრობელი,
თუმც სიარულის გზას თავად ირჩევ,
რომ არ გერგუნოს სვლა ულმობელი.

იფიქრე სწორად გათვალო,
გზა გასავლელი სჯობდეს რომელი,
არ დარჩე უკმაყოფილო,
არ გახდე ღმერთის მგმობელი.

* * *

არვის იმედი არ იქონიო,
შენი თავის და უფალის გარდა,
იგი არასდროს არ მიგატოვებს,
სხვა ულირსებს კი ეხსნება ფარდა.

ყველას არ ენდო სწორად გათვალე,
მარტო არ დარჩე სხვის გარემოში
იფრთხილე წუთისოფელში
ჩამოიშორე რისხვა- დებოში.

* * *

ცუდი თვისება დამჩემდა,
ყველას საკადრის პასუხს ვცემ,
ვინაც აქამდე გული მატკინა,
მუდმივად, ვნანობ განვლილ ყოველ დღეს.

იფიქროს ყველა მოკვდავმა,
არ გასცდეს დაწესებულ ზღვარს,
პასუხს მიიღებს საკადრისს,
თუ დასჭირდება - არ ეტყვიან უარს.

* * *

საჩუქრად მართლაც ძვირფასი,
ნამდვილი მეგობარია,
ვინც შეცდა მის არჩევანში,
ჩამოაბნელა მთა და ბარია.

უფსკრულს მიადგა უგონო,
მალე თავს იჩენს შედეგი,
ჭეშმარიტება ზეიმობს,
კვლავაც იქნება შემდეგი.

* * *

ჩემზე დიდად ნუ იდარდებ,
ცუდად ყოფნას მივეჩვიე,
სხვას მიხედე გირჩევნია,
ნუ მოაკლებ ვარდს და იებს.

თავს არ დებდი ჩემთვის ვიცი,
არც ველოდი ბევრ სიკეთეს,
შეარჩიე შენი სწორი,
ეკალიც ხომ ვარდს იკეთებს.

* * *

ფასი უბოძე ვინც გიყვარს,
მას დაეხმარე ვისაც სჭირდები,
ვინც არ გაგიგებს იმას შეეშვი,
რომ დარჩეს სხვისი იმედით.

აღარ იზრუნო სხვის სიკეთეზე,
იარე უფლის დიდებით,
მხარში დაუდექ კეთილ ხალხს,
ღირსი ვინც იყოს მიგნებით.

* * *

ძლიერი მაშინ გახდები,
როცა დროულად მიხვდები,
ფარ-ხმალს თუ დაყრი უბრალოდ,
ვერსად ვერ წარმოჩინდები.

თუ ხელს გიშლიან წარმატებაში,
დასახე მტკიცე მიზნები,
არ შეეგუო მონობას,
მტერი გააქრე თავად - მიგნებით.

* * *

ცუდი არავის უსურვო,
ჩათვალე ბუმერანგია,
კარგი აკეთე ყოველთვის,
არაკაცობა რისი მარგია.

შვილ-მომავალი აღზარდე,
ასწავლე წესი- რიგია,
არ შეუშინდე ცხოვრებას,
არ გქონდეს დიდი რიდია.

* * *

სიმშვიდე ნახე შენს თავში,
დანარჩენს ბედი მოიტანს,
ვინაც გირწმუნებს იცოდე,
იგი თავადვე გაგიტანს.

არეულობამ ვის არგო,
იგი მიზნების მტერია,
არ დაივიწყო მოყვასი,
ყველა ბეჩავი ერთია.

* * *

ვისაც ისე არ მოსწონხარ,
უნდა წაგშალოს სიიდან,
მისთვის სამშობლო კი არ ხარ,
გზა ნახოს თავის სხივიდან.

იქნებ შენც არ ხარ მართალი,
ვინ იცის იმ დროს რა გჭირდა,
გაუშვი ჩამოიშორე,
გათავისუფლდი ჭირისგან.

* * *

როცა ისწავლი რა გზით მიიღო,
რაც კი გეკუთვნის როგორც ის არის,
გამონათდება როგორც შენ გინდა,
გამოიყენე მაშინ ისარი.

გვიან არ არის არასდროს,
მიიღო გამოცდილება,
დატვირთვა მიეც გონებას,
ნახავ რომ მოხდა ცვლილება.

2024

* * *

შური, არ იძიო მ ა თ ზ ე-
როცა გიჭირდა გვერდზე გაგიდგა,
არასოდეს არ დაკარგო,
ვინც კი ამ დროს შენთან იდგა.

დრო მოვა მოძლიერდები -
შუქსაც აანთებ ახლიდან,
წვას გააგრძელებს სანთელი,
ბეჩავს შეიცნობ ... თავიდან.

2024

* * *

დისტანცირდი ისეთ ხალხთან,
თავად როგორიც არ გინდა გახდე,
ვინც ვერ შეიცნო შენი არსება,
გზა მშვიდობისა- მუდმივად არგე.

იყავი შენთვის უკეთესია,
არ შეგაწუხებს ფიქრი მრავალი,
პატივი ეცი პირად ცხოვრებას.
მოძებნილია გამოსავალი.

* * *

გირჩევნია მარტო ყოფნა,
ურთიერთობას ყალბ ხალხთან,
დარჩები შენთვის უმწიკლოდ,
შორსაც იქნები არხართან.

იფიქრე რას მიაღწიე,
ბნელი სექტის გარემოში,
წუთისოფელი გალიე,
არ გაკლდა რისხვა - დებოში.

2024

რწმენა და ცრურწმენა

კატამ, ბევრისგან უარყოფილმა -
გზა გადამიჭრა სავალი,
გადავისახე პირჯვარი,
უფალს შევთხოვე გამოსავალი.
        სვლა გავაგრძელე მიზნის მიღწევის,
        დილის ბინდია - შუქი ჩამქრალი,
        სივრცეში თითქმის მარტო აღმოვჩნდი,
        ამეკვიატა ფიქრი მრავალი.
არ დავუჯერე ცრუ რწმენას,
გავაგრძელე გზა - ჩემი სავალი,
დილიდან გვინ ღამემდე,
დავძლიე ყველა მტარვალი.
        შეხვედრა კატის - თურმე არ ნიშნავს,
        უმალ დაყარო ფარ-ხმალი,
        დავრწმუნდი უმჯობესია,
        გზად თუ შეგხვდება - მსგავსი მრავალი.

2024

ბედის ბორბალი

* * *

მოფრენილ მერცხალს - რომ ვერ შეიგრძნობ,
იცოდე მასე არ ვარგა,
გაზაფხული რომ კარზე მოგადგა,
უნდა დაიწყო სრული გარდაქმნა.

* * *

გამოწვევები როცა ვერ შედგა,
ქცევამ სხვა გზები აჩვენა,
დროულად რადგან ვერ გამოფხიზლდი,
გვერდზე მოგიხდა დარჩენა.

* * *

ვინც, ვერ გათვალა ბოლოს ინანა,
ვერ მიაღწია საწადელს,
ბრმად სიარული ფუჭი გამოდგა,
ვეღარ ჩაება ხელი- ხელს.

2024

შვილ-მომავალი

ძლიერ ფესვებზე იზრდება -
კარგი შვილები და მომავალი,
უფალმა ჯვარი დაგწეროთ -
გეპოვოთ გამოსავალი.

2024

*** * ***

(პირველი დიდი სიხარული - 11.08.78წ)

სიხარული შემოფრინდა,
ჩვენს ოჯახში მართლაც დიდი,
მოველოდით... ღმერთმა მოგვცა
ერთად - ერთი, კარგი ბიჭი.

მივაკუთვნეთ სახელი და
მას დაერქვა კონსტანტინე,
გაიზარდა სასახელო,
ქვეყნად ვერ სჯობნიდა ვინმე.

დაისახა იმედები,
სიხარულის გარდა,
გაორმაგდა ზრუნვის არე,
რაც მის აღზრდას ახლდა.

გაიზარდა ღმერთის ნებით,
სანაქებო კარგი ნიჭით,
ფოლკლორის გზა აირჩია,
რეალობა ყველამ ვიცით.

შექმნა თავისი სამყარო,
გვაჩუქა სამი სიცოცხლე,
თიკა, სანდრო და ანდრია -
უფალო მარად გვიცოცხლე.

გალაღდეს უფლის წყალობით,
ცხოვრებას მიყვეს კეთილი ნებით,
ვინც გვერდში უდგას...სიხარულს ჩუქნის
მივესალმებით მას რუდუნებით.

ღმერთმა დალოცოს - გააძლიეროს,
გზა ჰქონდეს მის აღმაფრენას,
ახლობლებში და სამეგობროში,
დიდება ერგოს - ასხამდნენ ხოტბას.

{მშობლების სახელით}
11.08.2023

* * *

(მეორე დიდი სიხარული - 07.06.84წ)

სიხარული შემოვიდა,
ჩვენს ოჯახში ძალზე დიდი,
ველოდით და ღმერთმა მოგვცა
კიდევ ერთი... კარგი შვილი.

მივაკუთვნეთ სახელი და,
მას ეწოდა შალვა,
ჯანმრთელობის ეტალონმა,
იწყო ფრთების გაშლა.

გაორმაგდა იმედები,
სიხარულის გარდა,
მოგვემატა ზრუნვის სფერო,
რაც ამ პროცესს ახლდა.

გაიზარდა ღვთის წყალობით,
თვითნაბადი დიდი ნიჭით,
არ ვემდურით ბედისწერას,
რეალობა - ყველამ ვიცით.

შექმნა თავისი სამყარო,
პირმშო გვაჩუქა - თუმც ერთი ბიჭი,
გეგაა ჩვენი ვარსკვლავი,
ბევრსაც გვიბოძებს, ეს ნათლად ვიცით.

იაროს უფლის წყალობით,
დინებას მიჰყვეს კეთილი ნებით,
ვინც გვერდს უმშვენებს... სიხარულს აძლევს,
მივესალმებით მას რუდუნებით.

ღმერთმა დალოცოს - გააძლიეროს,
ხელი შეუწყოს მის აღმაფრენას,
მტერ-მოყვარეში, სამეგობროში,
დიდება ჰქონდეს - ასხამდნენ ხოტბას.

(მშობლების სახელით)
07.06.2023

*** * ***

(ჩვენს რძალს- თამარ დათუაშვილს)

თამარ დედოფლის სახელი,
შემთხვევით როდის აღზევდა,
წმინდანი მეფის დიდება,
მთელ სამყაროში გავრცელდა.

ღირსი მეფის მიმდევრები,
ქალწულს არქმევენ სახელად თამარს,
აღზრდის შედეგიც ჭეშმარიტია,
ვხედავთ ... გონიერს, ჭკვიანს და ლამაზს.

ღმერთმა დალოცოს ყველა კეთილი,
ვისაც ხელეწიფს მოყმესთან დგომა,
განსაცდელში მყოფს არ მიატოვებს,
არ ეხერხება განზე გადგომა.

ასეთი არის ჩვენი თამარი,
მწამს რომ დარჩება მუდამ მართალი,
ხელი შეუწყოს ირგვლივ სამყარომ,
შვილი ამრავლოს ... კიდევ მრავალი.

27.12. 2023 წ.

ჩვენი სანდრო !

ამ წელს, ორჯერ გაგვახარა სანდრომ,
წარჩინებით სკოლა დაამთავრა,
მიზანსახულს, გაუმართლდა - გარჯა,
უმაღლესში მყისვე ჩააბარა.

ძალუძს, წინსვლით გააგრძელოს სწავლა,
არ შენელდეს, ნახოს ბევრზე- ბევრი,
ოცნება გვაქვს მწვერვალებს იპყრობდეს,
უფალს ვთხოვოთ, შეაშველოს ხელი.

2023
(ქობულეთი)

* * *

(გეგა ადეიშვილს)

ციფრულ სამყაროს შესწავლის,
გეგას გაუჩნდა სურვილი,
მშობლების მხარში დადგომით,
მალე დაძლია წყურვილი.

მცირე ასაკის მიუხედავად,
შეება ერთობ რთულ საქმეს,
ტოლებში გამორჩეულ კაცს,
უნარს უქებენ - ბრწყინვალეს.

ხელთ იპყრო სწავლის ერთი ეტაპი,
შეხედეს როგორც - საქმის მძლეს,
შეთავაზება მიიღო შრომის,
კურთხევა მისცა აღმზრდელების წრემ.

გადააბიჯა უძლევ ბარიერს,
ბეჯითმა შექმნა ცხოვრების ნავი,
ცოდნის მიღებით - პრაქტიკის გავლით,
გამოიჩინა ერთგულმა თავი.

2023

შეგონება!

მშობლებს - ფრთხილად მოეპყარი,
სამყაროში თუ რამე გწამს,
ტკივილს მაშინ იგრძნობ მწარედ-
როცა ნახავ ცარიელ სკამს.

მწვერვალს მიაღწევს ყველა მოკვდავი,
ვინც შეგონებას გაიგებს,
აქამდე რაც ვერ შესრულდა-
გწამდეს თაობა ვალს არ დაიდებს.

2024

გამოხმაურება

(ოტია იოსელიანის ოცი უძლიერესი
გამონათქვამიდან ერთ-ერთი)

რაც მეტს ანახებ გვერდში მყოფს...
რომ... მის გარეშე არ შეგიძლია,
მით უფრო მეტად გიმეტებს,
გულს მძიმედ გატკენს - მას შეუძლია.

2024

გამონათქვამებზე შეხმიანება

* * *

კარგი ამბები შენთვის ინახე,
რადგანაც იგი ბევრს არ ახარებს,
ეცადე ნახო კეთილი ხალხი,
შენც გაიხარებ- სხვებიც იხარებს.

* * *

სამართალი ურმით დადის,
დრო მოვა და კართან ვნახავთ,
თუ მოასწრებთ სიმართლის თქმას,
თამაშიდან აღარ გახვალთ.

* * *

მერე რა, რომ ზამთარია,
გულში თბილა - მთავარია,
თუ არ გარგებთ გაზაფხული,
ზაფხული ხომ მაგარია,
აბა რა სჯობს შემოდგომას,
გამრჯე ხალხი მზად არიან.

* * *

იყავ მიზეზი იმისა,
რომ ვინმეს შენი სჯეროდეს,
კარგს ძნელად ნახავ ამქვეყნად,
ადამის მოდგმად რჩებოდეს.

* * *

ცხოვრება იოლი ხდება,
როცა შორდები სულით მახინჯებს,
იმათი ჩამოშორება,
გაგიმარტივებს ნაბიჯებს.

* * *

ყალბი კაცი არ იცვლება,
ასეთს გააჩნია ნიჭი,
მოგატყუებს- დაგარწმუნებს,
სხვა რომ არ გყავს გვერდზე - "ბიჭი".

2024

* * *

უმადურ კაცს ყოველთვის სჯობს,
მადლიერი ძაღლი ურჩი,
ნუ აიღებ მასზე ზრუნვას,
სადაც უნდა იქ გაუშვი.

ყველა ძაღლს, რომელსაც შია,
საჭმელს ნუ აჭმევთ უნდა იცოდეთ,
ზოგსა უბრალოდ ძალა სჭირდება,
დაგკბენთ, შეგჭამთ და არ შეგიცოდებთ.

2024

ჭეშმარიტი მამულიშვილი

(იაკობ გოგებაშვილის
183-ე წლისთავისადმი)

საღი გონებით - მეხსიერებით,
გამოთქმულია ნება-სურვილი,
გარდაცვალების დადგომის შემდგომ,
სამშობლოს მისცეს -მისი კუთვნილი.

ესე, ანდერძი მისი არსების,
მაგალითია ჭეშმარიტების,
აღარ ჭირდება კომენტარები,
ბევრს დრო უჩვენა კეთილთვისების.

ჰქონდა იაკობს - დიდი სიმდიდრე,
მამულს კვებავდა ცოდნის წიგნებით,
იღწვოდა სამშობლოსათვის,
იცხოვრა სულის დიდებით.

იმ საუკუნის ცხრაას თორმეტ წელს,
ანდერძით ამცნო თავის ქვეყანას,
საუნჯე რაც კი გააჩნდა,
საჩუქრის სახით ხალხს რომ ენახა.

ქართულ და რუსულ ენებზე,
ბრძენკაცის შექმნილ - "წიგნის სამყაროს",
ცოდნის შეძენის შესაძლებლობებს,
შრომებს -სტატიებს, დიდ საამაყოს.

ანდერძით ერს დაუტოვა,
დიდი სიმდიდრე აღქმადი,
"ბუნების კარი" მთლად საოცრება,
სამშობლოს რუკა - ქვაზე ნაქარგი.

მრავალრიცხოვან, ნახატ და საწერ ...
კლიშეებს შექმნილს - შესაქმნელს,
ასევე ყველა წიგნს და სტატიებს,
როგორც დაბეჭდილს ისე დასაბეჭდს.

დიდი მწვერვალი- სახელმძღვანელო,
"დ ე დ ა ე ნ ა ა" სწორუპოვარი,
ცოდნის განძია ქართველობისთვის,
ჩვენს ქვეყანაში დანატოვარი.

ბიბლიოთეკა გადასცა,
საზოგადოებას წერა - კითხვისას,
მასვე უბოძა მიწა თბილისში,
გზა დაულოცა მუდამ წინსვლისა.

ღირსეულთ უნდა დაეცვათ,
ანდერძით ჩამონათვალი,
რაც, დათქმულია ქველმოქმედებით
და სასიკეთო საქმით - მრავალით.

ანდერძის აღმასრულებლებს
(ფ. გოგიჩაიშვილი, ვ.გუნია,
ნ.ლომაური, შ.დედაბრიშვილი,
ს.მგალობლიშვილი),
საქმე ებარათ ღვთიური,
ფიცის გატეხვა ნიშნავდა იმას ...
რისხვა დავანდა - ყოველდღიური.

პირველი თხოვნა მხოლოდ ეს იყო,
სკოლის სიცოცხლე მისვე სოფელში,
შექმნა - შენახვა, სწავლის ხარისხი,
ვარიანისთვის - წმინდა ნუგეში.

ყოველთვიურად, ჰონორარს,
ას მანეთამდე უთმობდა,
დიდ მგოსანს აკაკი წერეთელს -
უნდოდა თუ არ უნდოდა,
მისგან შექმნილი ლექსები,
„დ ე დ ა ე ნ ა შ ი" ბუდობდა.

ვრცელი საუნჯე დატოვა,
განათლების და სწავლისთვის,
ღმერთმა გვიბოძა ბრძენ - კაცი,
სამშობლოს წაღმა წასვლისთვის.

დაგვიანებით ეღირსა,
წმინდა ადგილი ნაქარგი,
დაგვყურებს დიდ სავანედან -
იაკობი და აკაკი.

ესე, ანდერძი მისი არსების,
მაგალითია ჭეშმარიტების,
აღარ სჭირდება კომენტარები,
ბევრს დრო უჩვენა კეთილთვისების.

27.10.2023

სიმართლე და სიბნელე

სასაცილოა როდესაც...
შენში არ მოსწონთ - ის ცვლილებები,
რაც თავად ქარგეს უგონოდ...
ბევრია სამხილებელი.

2024

გამოხმაურება მოქმედებაზე

არ შეახსენო თავი არავის,
შენთვის იყავი ნუ იხარჯები,
ვისაც ნამდვილად უნდიხარ,
არასდროს დაავიწყდები.

ადამიანი ვერ შეფასდება,
შეხედულებით, ჩაცმა -დახურვით,
იგი იცნობა შეგნების დონით,
წმინდა სულით და კეთილი გულით.

ხშირად, იფიქრე კეთილ საქმეზე,
რომ გახდე სანდომიანი,
ფული თუ ოხრად დაგრჩება,
სჯობს იყო ადამიანი.

სიკეთის გამოვლინებას,
არავინ ცდილობს თვითონვე,
ჯერ ცუდად მოგექცევიან,
შემდეგ კი შენგან... ითხოვენ!

ბრიყვის აზრია ყოველთვის,
ჭკვიანს, რომ ეყუდნებოდეს,
ჭკვიანი კაცის იმედით,
სამყაროს ემიჯნებოდეს.

2024

თავიდან დაბადება

’’ახალშობილო", სადა ხარ,
მწამს... რომ მოსმენა არ გინდა,
სად არის საღი გონება,
შენი გზით... სხვა რამ დადგინდა.

გსურს, რომ ახლიდან დაიწყო,
ცხოვრება ბარაქიანი,
ჩანს, რომ უგონოდ დაფრინავ,
მალე არ მოგცეს - ზიანი.

ეშმაკმა თვალი დაგადგა,
გეგონა იყავ ჭკვიანი,
ყველაფერს ერთად ნუ ითხოვ,
სხვა დროს არ იყოს გვიანი.

ფიქრობ, რომ კარგად მოეწყო,
ეს არის მცდარი მიზანი,
თუ შეიცნობენ ოდესმე,
ბინდით გეცვლება მზიანი.

რომ გაიხსენებ კარგ წარსულს...
სიღრმისეულად იფიქრე,
გვიან მიხვდები როგორც ჩანს,
ცუდი რამ ... გადაიკიდე.

ნუ გაგიტაცებს ცრუ დაპირება,
არ მოგიწონებს ქცევას გენები,
გაიგე შეცდომას უშვებ,
შედეგს ვერ მოგცემს სხვისი რჩევები.

2024

* * *

ვალდებულებაა იყო ღირსეული ადამიანი. იფრთხილე, შენივე ქმედებით არ დაუშვა უღირსად შერაცხვის მიზეზი. ყველა ყველაფერს ხედავს და უნდა იცოდე ხალხთან იგი მალევე მიდის.

გატეხილი კოკა და კაცის სახელი ვერაფრით ვერ აღსდგება.

ნათელა ჭინჭარაულს

სხდომაზე: ნინო ჩუბინიძე, ელეგანტა ავთომენილი, ნათელა ჭინჭარაული

მარიამობის დღეს მოევლინა,
ქალი ბრწყინვალე და ღირსეული,
აღზარდა კარგმა ოჯახმა,
ნაწილი გენი აქვს იმერული.

ყველამხრივ ბრწყინავს მისი სახელი,
აღზრდილი არის თბილ გარემოში,
ცხოვრების წესებს მოერგო,
და გაიმარჯვა ყველა სფეროში.

გაუძლო რთულ დატვირთვებსაც,
სინდის - ნამუსით მარებმა,
ღმერთმა არგუნოს ყოველთვის,
წინსვლა, სიკეთე და გახარება.

შრომით და შორსმჭვრეტელობით,
ირგუნა კარგი სამყარო,
სამაგალითო შვილებმა - ცირამ, მაიამ,
ნათელა მუდამ ახარონ.

მეგობრობაში უზადო,
დახმარებაში გვერდში მდგომელი,
გწამდეთ ასეთი ბევრი არ არის,
დიდი მწვერვალის მყარი მპყრობელი.

2024

ნინო ჩუბინიძეს
(ექსპრომტად)

თხუთმეტ მაისს ვიზეიმებთ,
ბრენდის დაბადების დღეს,
ბრწყინვალებით შემოსილი,
მუდამ ემსგავსება მზეს.

ცაზე სხივებად ინთება,
ნინოს სახელი დიდებით,
ღმერთმა დალოცოს, გააძლიეროს
ულევი სიხარულებით.

საოცარი მეგობრული,
სილამაზის ნიმუში,
სამყარო აქვს ჭეშმარიტი,
ოღონდ ახლოს მოუშვი.

ყველას გვიყვარს თვისებებით,
ვიცნობთ ოცი წელია,
ბედნიერებას ვუსურვებთ,
იგი მუდამ ჩვენია.

2023

ვერიკო ჭათოძეს

შენ, მზე რად გინდა,
ისედაც მზე ხარ,
ანათებ ღამეს,
ვით სრული მთვარე,
არ მოიწყინო,
არ დაიდარდო,
გამოათხიზლე - ეს ჩვენი მხარე...

2024

ლექსად ნათქვამი გამონათქვამი

*** * ***

ქალზე, ცუდი არ წამოგცდეს,
ეს არის გამოსავალი,
რადგან არ იცი დედის წარსული,
არც ქალიშვილის ბრმა მომავალი.

*** * ***

ცხოვრება მარტივი ხდება,
როდესაც სიზმრებს იგონებ,
შენი არსების ასპარეზიდან,
ყალბებს თავიდან იშორებ.

* * *

ირჩევ მეგობარს?
ფრთხილად იყავი!
ის უნდა მოხვდეს ოჯახის ჯგუფში,
შეცდები მის არჩევანში?
ვეღარ გაიგებ რა იყო გუშინ!!
ნუ ფიქრობ გამოასწორო...
ის, მაინც ლახვარს ... ჩაგარტყამს ზურგში.

* * *

ფული, ვერ საზღვრავს ბედნიერებას,
ამის გაგება მრავალს არა აქვს,
ადამიანებს, როცა უყვარხარ,
და უხარიათ შენი დანახვაც,
ამაზე დიდი ბედნიერება,
არ არსებობს და თვალიც- ვერ ნახავს.

ყველაზე დიდი კაპიტალია...
ურთიერთობა კეთილი -
სურვილის მიუხედავად
იგი ყოველთვის არ არის.

* * *

ადამიანი სურვილით,
რასაც არ გინდა იცვამდეს,
სადაც არ გინდა ცხოვრობდეს,
სხვის თვალში თუნდაც იღწვოდეს.

სადაც არ გინდა სწავლობდეს,
აჩვენოს ყველას ბედის ისარი,
მუდამ იქნება... იმ დონის
რაც, შინაგანად ის არის.

2024

მ ი დ გ ო მ ა

გაგება,
 გვაძლევს ურთიერთობას,
პატივისცემა,
 მტკიცე სიყვარულს,
ნდობა,
 ყველაზე დიდი ძალაა
 იწვევს,
 უსაზღვრო სიხარულს.

ურთიერთობას -
 ვინც თავს არიდებს,
სიყვარულს -
 თუ ვერ აღიქვამს,
ძალას -
 არ იცნობს და ვერ აფასებს,
სიხარულს -
 ატანს უწყვეტ ქარიშხალს.

2024

შეპასუხება პროფესორ ვახტანგ ჭაფოძეს

კითხვა:
Sinus-kosinus, tanges-kotanges, ეს ხშირად
გამოგადგათ ცხოვრებაში?

პასუხი:
Sinus-kosinus, tanges-kotanges!!
თუკი ისწავლი გამოგადგება,
გამოყენების დრო-ჟამიც დგება...
რაც გისწავლია ამ ცხოვრებაში,
გამოგდგომია?? მითხარ სად ხდება !!

ცოდნა მწვერვალს ჰგავს მიუწვდომელსა,
მსურს რომ ასეთი... ჰქონდეს ყოველსა,
სწავლობ - ასწავლი შედეგს იძლევა,
ცოდნის მფლობელი ყველას სჭირდება.

2024

* * *

სიღარიბით გაჭირვების დროს, უფალი და ახლო ადამიანები მეტად არ შეაწუხო - მდგომარეობა კეთილსინდისიერებით გააბრწყინე.

ამასთან, ხელი აიღე - ანგარებაზე და გამოძალვაზე. იცოდე ამას ღმერთი ვერ გაპატიებს.

ევროკავშირი - 23

დღეს "თოთხმეტია"
ხვალაც თხუთმეტი,
აღარ ითქმება სიტყვა ზედმეტი,
არ დაიწყება დავიდარაბა,
ღიად დარჩება... ქვეყნის დარაბა.
შემდგომ, იქნება დიდი ჩვიდმეტი,
ისევ, მოხდება სხვა უფრო - მეტი,
იგი ეხება ნანატრ საჩუქარს,
აღარ გვეტყვიან, ისეთ - მტკიცე უარს.

14.12.2023წ.

ასეა!! ეს ...

ერთ-ერთ, არსებას, ქალაქელ "აზიზს",
ვერ აუხსნია დღემდე ვერასგზის,
მას მიაჩნია " მ წ ვ ე რ ვ ა ლ ი ს ს ა ჭ ე ს",
უნდა იპყრობდეს მოდგმა "ქალაქის" ...

ჩანს, რომ არ იცის სიმართლე,
ბევრი რამ ... არც კი სმენია,
ჭყვიშიდან იყო გალაკტიონი -
საოცრად დიდი გენია.

არაფერს ვამბობთ, მთის არწივზე -
უკვდავ ვაჟაზე,
ალაპარაკდნენ მსოფლიოში -
სოფელ ჩარგალზე.

ყვარლის, საჩხერის და ვარიანის,
საოცრად დიდი წვლილია ...
გვიბოძეს მარგალიტები -
იაკობ, მუხრან, აკაკი,
ერის საუნჯე - ილია.

უამრავია - მოსაგონელში,
ვითარც ქვიშაა - წმინდა მორევში,
აღარ ჩამოვთვლით, ვინ სადაც იშვა...
რომ არ გამოგვრჩეს, ამდენ სოფლელში.

რუსთაველიც ხომ არ ფლობდა ქალაქს,
და ამიტომაც - დავეძებთ საფლავს,
ვინ იცის ისიც - სოფლიდან არის,
რაღა ვქნათ მაშინ მოვნახავთ საფარს.

სად მიგვაქანებს, მსგავსი გაგება -
სიმართლის კვალი სად არის,
ჩვენებრ სასწაული ქვეყანა,
ამ სამყაროში - არსად არ არის...

2014

* * *

(ვეცადოთ)

ჩვენთან ადრიდან მოთვრინდა,
მტრედი სიკეთის - მასწავლებელი,
გვანახა ღმერთის გზავნილი,
გვაუწყა - სასწავლებელი.

ვაკეთოთ მუდამ სიკეთე,
დავძლიოთ ჭირი - საწვალებელი,
უფლის გზას რადგან დავეძებთ,
დაგვიცდის მატარებელი.

2024

* * *

გაიაზრე! ვისთან დადგე...
გვერდია თუ ბომონდი,
სახელს ისეთს შეგარქმევენ -
შეიცვლები ...ბოლომდი.

2024

სირაქლემა

უზრდელია !! - სირაქლემა ...
მრავალს მიაყენა გვემა,
არ დაუთმეს ახლობლებმა,
ერთად შეუტია ბევრმა.

თავი მალა, "ტანი"... ვერა,
დააბნია ირგვლივ ყველა,
სიფხიზლე გამოიჩინეს,
დაანახეს... აღარ ბნელა.

2024

მ ხ ი ლ ე ბ ა, თ უ ქ მ ნ ი ლ ე ბ ა ?!

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ანგარებიან ადამიანს მიაჩნია - ყოველივე მას ეკუთვ-ნის. შესაბამისად, მისი დამოკიდებულება ყოფი-ერებაში ასეთია: "მინდა ყველაფერი მე მქონდეს და მეკუთვნოდეს".

ანგარებიანი ადამიანი სიტყვას არ იტყვის და ნაბიჯს არ გადადგამს ისე, რომ იქედან, რაიმე სარგებელი არ ნახოს, ისე აქვს ყველაფერი გათვლილი.

მისგან, ყველაფერს ისეთი მიმართულება აქვს მიცემული, რომ დროსაც, ადგილსაც და პიროვნე-

ბასაც ყველაფერს მხოლოდ პირადი სარგებლობისთვის და თავისი ეგოცენტრული მიზნის მისაღწევ საშუალებად აქცევს. ასეთი ადამიანი მთელი სიცოცხლე გამომ-ძალველური და მომხვეჭელური სურვილით ცხოვრობს.

ეკლესიურად, ა ნ გ ა რ ე ბ ა ძალიან დიდი ცოდვაა. ნ ა მ დ ვ ი ლ ი ადამიანი მხოლოდ თავისი სიამოვნებისთვის არ უნდა ცხოვრობდეს, მან უნდა შეიმეცნოს საკუთარი თავი...

P.S. ანგარებიან და გამომძალველ ადამიანებთან, თითქმის ყველას მეტ-ნაკლები დონით (ზოგჯერ აუცილებლობით, ან/და გაუთვითცნობიერებით) უწევს ურთიერთობა, რაც დამაფიქრებელი და ძალზე სამწუხაროა.

აბა, კარგად დავაკვირდეთ, ირგვლივ, რამდენია ამ კატეგორიის პარაზიტები...

დროული მუხრუჭი სასარგებლოა. შორს ყველასგან ამ კასტის წარმომადგენლები...

"სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს".

ნიკორწმინდა

რაჭის ულამაზეს მხარეს,
ადგილი აქვს წმინდათ-წმინდა,
ჭეშმარიტად თვალწარმტაცი,
მას უწოდეს ნიკორწმინდა.

ხალხი დინჯი მართლაც მშვიდი,
მტერთან ბრძოლის არ დამრიდი,
საოცრად პატივმოყვარე,
ძლიერები - ძმობის ხიდი.

ბუნებრივი პირობებით,
საოცარი ყველა ნიშნით,
მის წიაღში ლაღად ხარობს,
წიწვოვანთა ყველა ჯიში.

ნათლად გამორჩეულია,
ენდემური სოჭის გირჩი,
ევროპაში მოთხოვნაა,
შეძენისთვის დგანან რიგში.

სულიერების ტაძარი,
უკვე საუკუნებს ითვლის,
ერთიანობის სიმბოლო -
შეკვეთაა ბაგრატისი.

ძირძველ ხალხს წარმოადგენენ,
გეგეშიძე - ძმანნი მისი,
კანდელაკი, კობახიძე,
ჯმუხაძე და სხვებსაც ვითვლით,
გამრავლების მიმდევრები,
მრავლად არის - დვალიც ვიცით.

ულამაზეს სამყაროში,
თლუღის წყალმა თავისი თქვა,
ზღვა შეიქმნა მთის მასივში -
გააბრწყინა ნიკორწმინდა.

2024

* * *

(ჭკვა უხმარ არს...)

კაცი იტყვის? დასრულდება...
ქალმა თუ თქვა ! ასრულდება...
ნუ გამოთქვამ უაზრობას -
ყველაფერი გახუნდება.

2011

* * *

(ხედვა)

არ ჩანს ჩვენი ოცნება,
გაქრა ჩვენი იმედი,
ამდენი ხნის ლოდინით,
"გაფრენამდე" მივედით...

რა დღეშია ცხოვრება,
ამას დიდხანს ვითმენდით,
ვერ გავუძელეთ დრო და ჟამს,
ალბათ ყველა მივხვდებით...

ყალბი ხალხის შემყურეთ,
გზა აგვებნა დინების,
რა ვაკეთოთ არ ვიცით,
არ გვაქვს თავი მიგნების...

2008

ჩემი მხარის ყუმურის მონატრება!

რიკოთი გადმოვიარე,
დიდი გზა მშვიდად ვიარე,
შენ ჩემო თვალის სანათლევ,
მოკითხვა დაგიგვიანე.
საჩინოს, მინდვრებს მოვყევი,
მოსჩანს მაღალი მთებია,
სურვილი არ მაქვს შევჩერდე,
საკეთებელი ბევრია.
შუამთიდან - მსხალთავაკემდე,
ულამაზესი ხევია,
ამშვენებს წმინდა გიორგი,
ყუმურის მონასტერია.

სიკეთე მუდამ გვენახოს,
ყველას დამცავი ღმერთია,
გაილოურშიც ვიხილეთ,
ღვთისმშობლის ტაძრის ხედია.
ყუმურის წყალთან ჩამოვჯდეთ,
ირგვლივ წარმტაცი ხმებია,
ავაღორძინოთ ჰანგი ნადურის,
იგი ამ მხარის გედია.
ქვეყანა შემოვიარე,
კარგი გზა გამოვიარე,
შენ ჩემო დიდო იმედო,
სურვილი გაგიზიარე.

2023

მილოცვა

(ჩემს ძმასთან - თემურთან ოჯახში)

მილოცვის არსებობაზე,
"მწერლის გაზეთმა" გვაუწყა,
გადაწყდა პურის გატეხვა,
ზოგს კი იმედი გაუწყდა.
სახლთან პატარა ეზოში,
უმალ მოეწყო მაყალი,
მწვადის სურნელით მორწყული,
გაფხიზლდა ირგვლივ მრავალი.

გაიწყო სუფრა ბრწყინვალე,
ლორიც თან იყო ზღაპრული,
ხაჭაპურები -ცხელი მჭადები,
კეცებზე იყო ყველა დაკრული.
სუფრას მიუსხდნენ ლომები,
ხალხი ქეიფში ალალი,
თასებს აწვდნიდნენ ერთმანეთს,
დაცლაზე იყო თვალთვალი.
მილოცვის ტექსტის წაკითხვა,
თავს იდო იუბილარმა,
მოსმენა - დაწყნარებისთვის,
თავი იჩინა გრიგალმა.
ლალი დაჰქრის ნიავივით,
ყურს არ გიგდებს მოსმენისთვის,
ამ კარებში რომ მოიხმობ...
მეორედან ქრება მისით.
ყურს უგდებს ზოგჯერ თემური,
გზადაგზა ისიც კითხვებს სვამს,
ტექსტის წაკითხვას ხელს უშლის,
ეპატიება, ანდა რას იზამს.
თამადა - იუბილარი,
აღარ ჩერდება, ენაწყლიანობს,
რა გაეწყობა, რა უნდა ექნა,
ჯემალი კიდევ ... ზღაპრებს გვიამბობს.
მაინც ვერ შედგა ტექსტის წაკითხვა,
კახურმა ღვინომ თავისი გაჭრა,
სუფრა გაგრძელდა ათი საათი,
კაცმა არ იცის ვინ საით გაქრა.

უნდა ველოდოთ დრო-ჟამის გასვლას,
თუ განმეორდა მილოცვა ისევ ...
რომ არ დაგვჭირდეს შეგონებები,
ქცევის წესები უბეში გვიდევს.

11.11.2023წ.

* * *

გაიხარეთ, შინ და გარე,
გვერდში მყავდეს ჩემი მხარე,
არ გაუჭირვო უფალო
მოდგმიანად გ ა მ ი ხ ა რ ე.

2024

* * *

ოაზისის წითელ ღვინოს -
როცა ასხამ ბროლის თასში,
სურვილია ადღეგრძელო
შენაძენი - თეთრი რაში.
წყურვილს იკლავ,
სისხლძარღვებში...
ჩნდება მძლავრი ქარიშხალი,
უმალ გინდა რომ ჩააქრო,
ანთებული ცეცხლის ალი.

2024

იმედი

ზოგმა მიშველა - წამომაყენა,
ხელი ჩამკიდა გზას დამაყენა,
გადამავიწყდა ბევრისგან წყენა,
წინ გამეშალა ბრძოლის არენა.
ბევრს გაუკვირდა რომ ვერ გამასწრო,
ფარ-ხმალს არ დავყრი უკვე არასდროს,
ყველა სიკეთე ღმერთმა - მიბოძა,
არ დავივიწყებ, უფალს დიდება.
ბევრი ეცადა ჩემსა წაქცევას,
ვფიქრობ მოძულე ვერ დამეწევა,
დრო - ჟამის გამო ვიქმენ ფარაჯად,
კეთილ სულებთან ვდგები დარაჯად.
ზოგს სურს მიხილოს - წავიფორხილო
უფლის წყალობით არ დავიღლები,
ყველა მებრძოლთან ვივლი დიდებით,
გამარჯვებული კაცის ღირსებით.

2024

* * *

მზად ვარ გასვლაზე ყოველ წამს,
მაგრამ არ ვჩქარობ - იქ, რა ვაკეთო?
შენც ტყუილად ზიხარ, ისიც ფაქტია,
არც თავად იცი - რა გააკეთო !!

2024

* * *

(აი ია)

მადლიერებას ნუ დაუწუნებთ...
ესაა "კაცის" ამოსავალი,
ყველამ ჩახედოს საკუთარ სულში...
ეძებოს მისთვის - გამოსავალი...

2024

* * *

სხვამ, დაიმკვიდრა სხვისი ადგილი,
თუმცა არ იყო ესეც ადვილი,
ბევრჯერ ითქვიქრეს...არ სურდათ ასე,
რომ ყოფილიყო იგი ნამდვილი.

2024

იმედის ძაფი

ცნობილია, რომ "ძაფი" სუბიექტებს შორის კავშირის ძლიერი საშუალებაა. მას თვალისჩინივით გაფრთხილება უნდა - ვინაიდან, იგი ფაქიზია და თუ, ზემოქმედებით გაწყდება, შეუძლებელია მისი იმავე სახით აღდგენა. აღადგენ? მთლიანი მაინც ვერ გახდება. ვიცოდეთ იგი საბოლოოა და იმედის ძაფიც გაწყვეტილია.

გავუფრთხილდეთ!!!

* * *

მუზა, მესტუმრა ძველ დროს,
აღარ ვიხსენებ "ბერდოს",
უმჯობესია ... იფიქრო -
რისთვის კარგავდი ბევრდროს...

1997

სახალისოები

* * *

ხალხს არ ვცემ პატივს
უჟმურს - უმადურს,
ურეაქციო - რომ არის ასგზის,
ხედავ და ვეღარ გაიგებ,
რა უხარია, ან კიდევ - რა სწყინს.

* * *

ფულიანს გეფერებიან,
ბევრჯერაც გეტენებიან,
უფულოს არად გაგდებენ -
ზურგის შექცევით გხვდებიან.

2024

კონსტანტინე გამსახურდიას

კონსტანტინე გვყავდა - დიდი
არ უყვარდა კაცი ფლიდი,
მამულისთვის ააშენა
ბევრი უძლეველი ხიდი.
შედევრების დიდოსტატი
ურყეველი ... მართლაც მზიდი,
დრო და ჟამის შესაფერად
არ უნახავთ - იგი მშვიდი.
ხმალს იქნევდა, თუ ჩათვლიდა
არ გააჩნდა დიდი რიდი,
ერის ბედზე მებრძოლებთან
ჭეშმარიტად იყო - მშვიდი.
გონიერებს თაყვანს სცემდა
კორიფეებს დიდი რიდით,
ფრთები ესხა არწივივით
აღმაფრენის არდამრიდი.
უნარ - ჩვევებით განთქმული
სამშობლოზე არს გულჩვილი,
მუდმივ დიდებაში მოხვდა
სამეგრელოს მკვიდრი შვილი.

2023

ა რ ს ე ბ ა !

მშობლობა... ღრმა გენია,
სამყაროს - ტანდემია,
შვილობა თანმდევია,
მომავლის - გამჩენია.

მშობლები ბერდებიან,
შვილები ვერ ხვდებიან,
შვილები იზრდებიან,
მომავალს იძლევიან.

მშობლები არ ჩქარობენ,
განვლილს იგონებენ,
შვილებზე კვლავ დარდობენ,
წასვლაზე არ ჩქარობენ.

მშობლები ილევიან,
ყველაფერს განიცდიან,
შვილთა გზას ეტრფიან,
ძალ - ღონეს არ იშლიან.

მშობლობა... სხვა ფერია,
ნათელი აისია,
მშობლებთან განშორება,
მუდმივი დაისია.

2023

* * *

(შხამი უცვლელი)

ნეტავ რად გაჩნდა-
ამქვეყნად "გველი",
მინდა ამოვხსნა,
ოდითგან - ველი,

ორია იგი მთელ სამყაროში-
ქვეწარმავალი...ფეხზე მავალი,
უფრო საშიშმა ფეხზე მავალმა,
გესლით დაჩრდილა -ქვეწარმავალი,

რამ გააჩინა ერთიც - მეორეც,
ვის სჭირდებოდა, რას იძლეოდა,
გაქრეს არსება-ამ სახეობის,
ამოისუნთქავს კაცობრიობა.

2024

* * *

(წუხილი)

ჩაიდანი იწყებს დუღილს,
ვიღაც ... გამოხატავს წუხილს,
არ სურს აღიაროს ნება...
სხვაგან - ასე რომ არ ხდება.

დანაპირებს უბოძებენ,
საოცრებას უწოდებენ...
არ იქნება გვერდზე მზერა,
იმედია - მასაც სჯერა ...

გადაუვლის გასაჭირი,
გამოჩნდება ცის ნაპირი,
ცხოვრებას ... ახლით შეხვდება,
ცაიტნოტი - არ მოხდება.

2024

*** * ***

(ურჩი)

ზოგსა, ჰგონია გატყუილებს,
ფუჭია მისი მიზანი,
გონებას თუ არ მოუხმობს,
რისხვა შეხვდება გვიანი.
ზოგსა, სჭირდება გახედნა,
ვითარცა კვიცსა მოზარდსა,
თუ არ შედგება დროულად,
ვერ შეეშვება ბოდვასა.
აღზრდა არ ყოფნის უმეცარს,
ძნელად იღწევა მიზანი,
რადგან შეიპყრო ეშმაკმა,
მუდამ დარჩება ხიზანი.

2024

* * *

აიშალა გამა - ქალი,
მოთხოვა სამართალი,
გვიან მიხვდა სინამდვილეს,
არ ყოფილა - მთლად მართალი.

2024

* * *

მორწმუნე, ის კი არ არის,
ვინც დადის ეკლესიაში,
სანთლებს ანთებს და ლოცულობს,
ხედავენ მრევლის სიაში.

მორწმუნედ მაშინ ითვლები,
როცა სიკეთეს აშენებ,
გაქვს პატიების შეგრძნება,
სიყვარულს სულით ამშვენებ.

დახმარების ხელს გაიღებ,
სხვისი ჭირი თუ გადარდებს,
რომ ჩათვლი მარტო არა ხარ,
კეთილ მიდგომას გახდი გადამდებს.

2024

* * *

(მილოცვა)

სათნოები ზეიმობს -
აღნიშნავენ მიღწევას,
გზა გაიხსნა ცისკრისკენ,
მომავალი იქნება.

წარმატების შეძენას,
დიდი ღვაწლი სჭირდება,
ღმერთი ამჩნევს ყველაფერს,
გასცემს მადლს და დიდებას.

 გაუმართლა კეთილ ხალხს,
აღმაფრენა იწყება,
ვისაც მონდომება აქვს,
ბედნიერი იქნება.

მწვანე შუქი აენთო,
კიდევ მეტი სჭირდებათ,
ვინაც გულით დალოცოს,
არ მოაკლდეთ დიდება.

სათნოები ზეიმობს-
და აღნიშნეს მიღწევა,
გზა გაიხსნა ცისკრისკენ,
ასჯერ მეტიც იქნება.

2023

ლამაზი ქალი

ლამაზი ქალი, სამყაროდან სიკეთეს აფრქვევს...
ბევრს, უნებურად ეპარება მის მიმართ თვალი,
რა დროსაააო... მარტოდმყოფი ფიქრობდა ასე,
და სიახლესაც, არ იმჩნევდა ოცნების ქალი.

ბოლოს, ნატიფად გადახედა თავის სამყაროს,
ღიმილი - მორცხვად გამოხატა - ნაზი და თბილი,
ჰოი, საიდან გაჩნდა... უცხო არსებაო,
თავი ასწია და შეიკრა გულმკერდის ღილი.

2019

* * *

(უდიდესი მადლობა ნატას)

სიკეთის დიდი მთესველის,
დალოცვა ისმის გულითა,
თაყვანს ვცემ, მნათობ ვარსკვლავებს,
ვინც ბრწყინავს წმინდა სულითა.

20.09.2023წ.

სიმართლის სხივი

* * *

არ ვარ ნაწყენი - ყველას შევუნდე,
მაგრამ არიან რიგი ხალხისა,
ვისთანაც არ მსურს საერთო მქონდეს -
თუმცა განგებამ, ამ ბედს მაღირსა.

არიან ხალხნი - ვინც დამიმტკიცა,
რომ მათი ნდობა იყო შეცდომა,
დროა- დავტოვო მათი სამყარო,
ჩემი ღირსება მათ ვერ ენდობა.

* * *

საოცარია, მაშინ როდესაც -
შენს არსებას ჰყავს ადამიანი,
რომელსაც შენგან ერთი რაღაც სურს -
რომ იარსებო მის სამყაროში,
გხედავდეს იგი და თან იცოდეს
ბედნიერი ხარ... თუნდაც გვიანი!

"კაცის იმედი" - დიდ განძს გერჩიოს,
არა აქვს იმას განზომილება,
მატერიალურს ნუღარ დაეძებ -
სულიერება როცა იქნება.

* * *

უმადურ კაცს - ერთადერთი,
რაც უნდა მისცე - აჩუქო,
პანღური არის შორს მოქნეული,
შემდეგ კი კარგად დატუქსო.

უმადურობით ჭირშეყრილს,
დროებით უნდა გაუძლო,
ეცადე მალე ჩამოიშორო,
ახლობლების წრეს მალე აუწყო.

* * *

ცუდი მოენე ადამიანის -
არც არაფერი გინდოდეს,
დარწმუნდი წინ ვერ წაიწევ,
იქნებ გაქცევა დროზე გიჯობდეს.

მოლაყბე კაცს გაერიდე,
არ გაეკარო - ყველგან გდარაჯობს
დღეს თუ სხვის სახელს ლაფში ამოსვრის,
შენზეც არ იტყვის კეთილს არასდროს.

* * *

თანამდებობა თუ გინდა -
მარტო დიპლომი არ შველის,
ქცევის კულტურაც თან უნდა გქონდეს,
ყველას ექნება საშველი.

თუ არ ვარგიხარ სცენისთვის,
რისთვის შედიხარ - რას შვები...
მიდი სხვა საქმეს მიხედე,
დაგიფასდება გამზრდელი.

2024

* * *

(უსულგულო)

მილოცვა - მოწონების მადლს,
თუ გაიმეტებ მარგია,
დიდებას ვინმე რომ აღწევს,
იფიქრე - ისიც კარგია.

ნუ დაიჯერებ - ვერ შეგამჩნიეს,
თავს რომ აფარებ სოროში,
ჯობია კეთილგანწყობა...
წრუწუნა - ცხოვრობს ორმოში.
.
2024

შოვის ტრაგედია

ოცდასამი წლის სამი აგვისტო,
ჩვენი ქვეყნისთვის მწუხრით მოვიდა,
მოულოდნელი სტიქიის გამო,
ბევრის არსებას შევხვდით გოდვითა.
მთებში ნაშალი ყინვის ლოდები,
სწრაფად დაეშვა ბარისკენ,
შეცვალა მიმართულება,
მოშალა შოვის კარიბჭე.
სტიქიამ ძალზე იმძლავრა,
გადაუარა შოვის სანახებს,
აღარ დაზოგა დიდი - პატარა,
წალეკა ხალხი... მკვდრები ძლივს ნახეს.
სიცოცხლე მრავლად წავიდა,
ცხოვრება წარღვნით შთაინთქა,
ბევრის ოცნება დაინგრა,
ყველას მიზნები დაიმსხვრა.
კურორტზე მყოფი უმრავლესობა,
ვერაფრით ასცდა ღვარცოფის კლანჭებს!
სიკვდილის მოსვლას თვალში ხედავდნენ,
განწირულ მასას ... რა გადაარჩენს!!
მშობლები შვილებს ეძებდნენ,
შვილები მთელ არემარეს,
იმედი იწურებოდა...
ვერ ნახულობდნენ ერთმანეთს.

03.08.2023 წ.

* * *

გული მქონდა ძლიერი,
თუმც - ვიყავი ხნიერი,
არ მეშვება დასტაქარი -
ვფიქრობ არის ცბიერი.
        იმედს მაძლევს გარემოცვა,
        არწივთ მეფე ფრინველი,
        ვაკვირდები, ვინ სად არის,
        ოჯახია პირველი.
ორშაბათ დღეს დამიბარეს,
შემიცვალეს იერი,
ვეძებ ვნახო საქმის მქმნელი,
მსურს რომ იყოს ძლიერი...
        პასუხია აბდა - უბდა ,
        არ ეტევა ჩარჩოში,
        დამატებით კვლევა...უნდათ,
        სურთ, გამხადონ გავროში.
ერთ სახეში- გამოკვლევა,
არ ემთხვევა ერთმანეთს,
დღეს რაც ერთგან დაგიდგინეს,
სხვასთან სხვა რამ გინათებს.
        მესამესთან მისვლა გიწევს,
        გსურს გაიგო სისწორე,
        მორიგ დასკვნას ათვრიალებ,
        თვალს ვერავინ გისწორებს.

2023

* * *

(პარაზიტები)

ცხოვრებაში მრავლად არის...
გონჯები და მათხოჯები,
დროზე თუ ვერ მოვიშორებთ,
ფეხზე ვეღარ წამოვდგებით.

ნაძირლობას თაყვანს სცემენ,
როცა უსმენ ატირდები,
ამდენ უგნურს რა გაუძლებს,
თუ გადარჩი - გაგიუდები.

არ იცავენ სიტყვას ნათქვამს,
არ იციან მისი ფასი,
პირად მიზნებს ამართლებენ,
ბალღამს მიირთმევენ თასით.

მტრის დაკვეთებს ემონება,
უზნეონი კაცი - ქალი,
გრანტებს უხვად ღებულობენ,
არ აწუხებთ ქვეყნის ვალი.

ფხიზლად უნდა მოვეკიდოთ,
არ დავტოვოთ მტრების კვალი,
დროულად გადავამტვრიოთ,
კაცთმოძულე სექტის ხმალი.

2024

ჭეშმარიტება

* * *

ვინც გვერდს ჩაგივლის - რომ მიუბრუნდე,
და თუნდაც მყისვე პასუხი გასცე,
დაიზიანებ ნერვებს უზომოდ-
დროს დაკარგავ და ღირსებას დასცემ.

ეცადე, ყური არ უგდო -
ფიქრები სხვაზე გამიჯნე,
ძალით შემოჭრა თუ შეამჩნიო,
უბრალოდ გვერდზე გადააბიჯე.

* * *

ადამიანებს ხშირად ის მოსწონთ,
რასაც თქვენ მათთვის აკეთებთ,
გამკეთებელი არაფრად უღირთ -
მთლიანს, ნანგრევებს არქმევენ.

როგორც კი შეწყვეტთ ამის კეთებას -
მაშინვე წყდება ლმობიერება,
ფიქტიურობა სწრაფად გაქრება,
კაცის დანახვა არ მოგინდება.

* * *

უბრალოდ ვცხოვრობ - მარტივად ვიღწვი,
ვინმეს ცხოვრებას არ ვბაძავ,
მჯერა უფალის - მადლობას ვეტყვი,
სიკეთის ერთ ხეს - თუ დავრგავ.

2024

* * *

(მ წ უ ხ ა რ ე ბ ა)

ბინდი ჩამოწვა საქართველოში,
გლოვის ზარია ჩვენს ქვეყანაში,
სტიქიამ ხელი დაგვრია,
შოვში და ზემო რაჭაში.

დაუნდობელმა მეწყერმა,
აღარ დაინდო დიდი - პატარა,
საშინელებამ შეძრა სამყარო,
ბედკრული ხალხი ბნელში ჩაყარა.

სტიქიას ებრძვის საღი ძალები,
დროზე გაირკვეს - რა ხდება,
ცუდის მოსურნეც მრავლად გამოჩნდა,
ჩანს... ბოროტებას არ ეშველება.

აგვისტო 2023

* * *

(გამონათქვამი)

სამყაროში ხელოვნური მიუღებელია ყველაფერი. ბუნებრივი ნებისმიერი კუთხით უპირატესია იმიტაციაზე, თუნდაც თვალწარმტაცი არ იყოს ეს ყოველივე.

ვირწმუნოთ, რომ ფოტოზე გამოსახული ადამიანების, მომღიმარი სახე ძალაუნებურად ხელოვნურია, ანუ მოჩვენებითია სილამაზის წარმოსახვისათვის. ამ მიზნით დაჭერილი სახე - ბუნებრივად სულ სხვანაირია, როგორც სიმახინჯის, ისე სილამაზის მხრივ.

გავფრთხილდეთ!
"შეცდომა არ დავუშვათ - არ ვენდოთ ყველას".

* * *

(გამონათქვამი სა-მურა)

თვლა, ეშლება - რომ დათვალოს,
აზრს ვერ იკრებს - რომ გათვალოს...
აირჩია აღმაფრენა,
უგნურობა ... რომ დამალოს.

1998

შეხედულება !!!

* * *

ტყუილის თქმით არვინ კვდება,
მისი მთქმელი არ ინდობა,
იღუპება მეგობრობა,
ნდობა - ადამიანობა.

* * *

ყველას! ვერ უმხელ შენს გულისტკივილს,
მით უფრო დარდის ნამდვილ სამყაროს,
თუნდაც ეს იყოს - ერთი არსება
ეს მძიმე ტვირთი შენთან ატაროს.

ხედავდე იგი, რომ გითანაგრძნობს,
ტკივილებს შენსას ღიად გაანდობ,
რადგან აღარ ჩანს - ასეთი ვინმე,
ირჩიე, გზა რომ თავად განაგრძო.

* * *

ყველაზე ცუდი ის არის,
სულიერად ...რომ ხარ დაღლილი,
ხმამაღლა გინდა წარმოთვა,
თავი მაინც გაქვს დახრილი.

გინდა თქვა შენი სათქმელი...
ვაი თუ მახე დაგიგეს,
იცი, რომ აზრი დაკარგა,
მაინც ვერავინ გაგიგებს.

* * *

არ გაგიმართლა? არ ნიშნავს იმას,
განწირული და მარტოდმარტო ხარ,
ღმერთი, მუდმივად გვერდში გყავს,
შენთვის იძლევა გაბრწყინებულ გზას.

* * *

არ მიუბრუნდე...იმ პიროვნებას,
ვინაც, ღირსება შენში ვერ ნახა,
კეთილგაგებას - პატივი არ სცა,
შენი სიკეთე ძირს დაანარცხა.

თუმც, მიუტევე შენი ვალია,
არ გახდე უღირსის სწორი,
დათმე იქ სადაც დასათმობია,
რჩევა- ეს არის არ ვცდები მგონი.

* * *

ზღვა ღელვისგან იწმინდება ბუნებრივად...
გარე გააქვს უსარგებლო ნარჩენები,
სიწმინდესაც ინარჩუნებს თვისობრივად,
მტვრად იქცევა სიბინძურის - გამჩენები.

* * *

უთვისტომო, მღელვარებას - რომ დაიწყებს ...
აშკარად ჩანს, გაუფრინდა მიდგომები,
შედეგების მოლოდინი ასულდგმულებს,
ახლოვდება მდაბიოთა ვერდიქტები.

1975

* * *

(თანადგომა)

ღმერთმა ყველას გადმოხედოს,
დასტაქართან შებმულს,
უწყალობოს - გაუმართლოს
მოკვდავს გულშეპყრობილს.

ჭეშმარიტი შეხვდეს უძლურს,
გამომკვლევი და მკურნალი,
ჰიპოკრატეს ფიცის დამდებს,
უნდა ენდონ - გულს უთხარი!

2023

* * *

უხეშობას ემონები
დაგიკარგავს გაგება,
მოსვენება თუ გინდოდა
ჯობდა გავის დადება.

უზნეობით იკვებები
ფიქრები გაქვს სიყალბის,
სანამ ცხვირს არ წაიტეხავ,
რა გსურს, მაინც გვითხარი.

1998

* * *

(აბაااა?)

ბოროტებას, ვერ ჩაიდენს ყველა,
თუ არ არის ერთობ შენიღბული,
ვერ შეაღწევს მსხვერპლის სამყაროში,
დაეხშობა წაწყმედილი სული.

წარმოშობით, მართლაც ავი სული,
ბოროტებით ვერ დაიპყრობს მწვერვალს,
ფინალამდე დაემსხვრევა ნება,
გწამდეთ იგი ეზიზღება - ყველას.

როცა შეძლებს, სისატიკის გადმონთხევას,
ზეიმს აწყობს, დაიმკვიდროს - სავარძელი,
დაიშლება დაწყევლილი ბეწვის ხიდი,
ბოლოს ვინმეს, არ შერჩება - ახლანდელი.

2023

ნაძირალა

(ფიქრი ზღვის პირას...)

პირდაპირი მნიშვნელობით "ნაძირალა", ღვინის დანალექი - ძირში დარჩენილი უვარგისი მასაა, რომელსაც ზიანი მოაქვს - თავად იმ ქმნილებისათვის, რომლის წიაღიდანაც იგი ბუნებრივად გამოიდევნა და სიწმინდის შესანარჩუნებლად, დაუყონებლივ ხდება იმ ნალექის იზოლირება და განადგურება, სასარგებლო სითხის- ღვინის გადარჩენის მისაღწევად.

გადატანითი, ანუ "ლანძღვითი" მნიშვნელობით, ნაძირალა ყოვლად ცუდი, ამორალური, უზნეო, სოციალურად ყველაზე მდაბიო ადამიანია. ასეთი არსების სამოქმედო ფუნქციაში, დამატებით ასევე შესაყვანია... გაიძვერობა, აღვირახსნილობა, ცილისმწამებლობა, ბოროტება და ა.შ. რამეთუ, ყველა მიუღებული და არაადამიანური თვისება, უდავოდ ნაძირალა ხალხშია დაბუდებული, ხოლო შესაბამისად მისი მატარებელი მეტად საშიში, მავნებელი პარაზიტია - კაცთა მოდგმისათვის. იგი ხელისშემშლელი და შემაფერხებელია საზოგადოების განვითარებისა.

ამდენად, ასეთი "წარმონაქმნი" მოსაკვეთია ჭეშმარიტი ადამიანების სამყაროდან. რადგანაც ნაძირალას არ გააჩნია - რწმენა ღმერთისადმი, სიყვარული არავისი და არაფრის, პატივისცემა და სინდის-ნამუსი.

ამასთან, პირადი სიამოვნებისა და განდიდება - გამდიდრების მიზნით იგი დაუფიქრებლად ჩაძირავს (გაანადგურებს) ნებისმიერს - უახლოესების ჩათვლით (დედმამიშვილები და შვილ-მომავალიც კი) და სანაცვლოდ დაეუფლება უსაქციელო ცხოვრებას, გარყვნილებას, ოქრო - ვერცხლს, სამოსელს, თუ სხვა მეშჩანურ ნივთებს.

ცხადია, ნაძირალას შეცვლა - გამოსწორების არანირი გზა არ არსებობს.

ადამიანთა სამყაროდან ასეთის მოკვეთა - მოშორება, როგორც სასარგებლო საქმის კეთება, ცოდვად არ უნდა ჩაითვალოს, რადგან, იგი თავად ცოდვისა და ცდუნების უდიდესი საბადოა.

ნიშანდობლივია, რომ უნკურნებელი სენის მატარებლისგან, ზიანდება და ირყვნება - ღირსეულთა სამყარო.

...გავუფრთხილდეთ ღირსეულთა გარე-მოს. ვეცადოთ დავიცვათ პატიოსნება, სიწმინდე და უმანკოება!!

ყველაფერის შესრულებას, ნუ "მოვითხოვთ" მხოლოდ ღმერთისგან!!!

მართებულია, კაცს კაცის სახელი ჰქონდეს, ქალს კი ქალის ...

* * *

{თვალით დანახული}

გარეწარი შეუფასებელია ყველასთვის. თუ შეძლებ მისთვის ნიღბის ჩამოხსნას - დიდი მონაპოვრის მფლობელი ხდები, ასეთის - სამყაროში.

* * *

(გეყოფა)

მოლანდებებს... ჰგავს შენი ოცნება,
ყური დამიგდე დრო რომ მოგრჩება,
მეტი იფიქრე - "მეგობრობაზე",
კმარა ამდენი ... ვფიქრობ, გეყოფა!!!

1999

* * *

(აი, ია !)

ზღვის კოსტუმით ცურვა... სურდა,
ვერ შედგა იგი როგორც მირაჟი,
ბოლოს "აუზი" ერგუნა,
წყალს აგროვებდა მცირე "დრენაჟით".
ზღვის წყალს ელოდა დღედაღამ,
ვერ მიაღწია- ნამდვილად,
ცურვის კოსტუმის შეძენის შემდეგ,
მისი დამხმარე ნახა - ადვილად.

გამოდგა ვიწრო ეს შენაძენი,
უხერხულობამ იწყო დინება,
სინდის - ნამუსი ვერ დაიმალა,
გახშირებულა ნახვა - რიდება.
        გულ - მოხდილობას, რომ ხედავთ...
        ლაღად ჩამჯდარა "მკერდი" ზომაში,
        ვაცალოთ გასეირნება,
        ყველა მსგავსია - "ასეთ ზონაში".
ასაკს, ნუღარ ეკითხებით,
იგი არც ისე ბევრია,
ნუღარ შეჭამეთ შეეშვით ...
ცხოვრება, ძალზე - გრძელი აქვს.
        წლები მართლა გავიდა,
        რაც არ ენახა ზღვის წყალი,
        ნივთები ბევრი შეგროვდა,
        დუჟინი სუპერ-ცინცხალი.
აუზში ... ჩასვლით იხარა,
დაიწყო ფვეხზე ტრიალი,
ფოტოგრაფებმაც ... დათირეს,
მოსალოდნელი ფინალი...
        "სელფებით" გული იჯერა,
        კადრები დარჩა მრავალი,
        ფეისზე მისი დადებით,
        მორჩა - გაფრინდა, ზღვის წყალი.

2000

* * *

(ჰეგემონი)

წადით... დროზე დაისვენეთ !!
ზღვის ტალღებში იხარეთ,
მთის ჰაერიც თუ დაგჭირდეთ...
სადაც გინდათ იარეთ !!

შეისრულეთ ... ოცნებები,
კეთილი! - არ ახაროთ,
სურვილს აღარ დაგიშლიან ...
სხვები, რომ გაახაროთ !!!

წარმატებებს... რომ მიაღწევთ,
ისევ, იგი ანახლეთ,
ჰეგემონთა მიმდევრებმა,
თავი აქაც ახალეთ!!

2015

* * *

(ნეტავი ნატვრა ამიხდებოდეს)

ზღვის სეზონი მიიწურა,
ვერ წავედი - ერთად ერთი,
დიდი ხანი არ მენახა,
ბათუმი და ქობულეთი.

სურვილს, ხელი შევუშალე,
შარზე ვიყავ - ახლა ვხვდები,
ვაღიარებ, ცოდვა ვქენი,
იმედია ... ისევ წავალ,
სანამ უფრო დავბერდები.

ვერ გავთვალე ბევრი რამე,
დაგვიანდა გეფიცები,
მცხუნვარე მზეს ვეფიცხები,
თბილისში ვარ დარდით ვკვდები.

თანადგომას მოველოდი,
გულმოწყალე ხალხის ნებით,
კუდი, ყავარზე გავიდე...
ოცნებაც კი დამრჩა - გვერდით.

2023

* * *

ჭკვა - არ იყიდება, ვისაც იგი გააჩნია - ფასდაუდებელი განძის მფლობელია...

* * *

(შმაგი თვალაბეიშვილს)

კაცი ეს არის, ვინც შექმნა,
აისის ამობრწყინება,
თხოვნისას გვერდში რომ იდგა,
გვიბოძა ფოტო- ქმნილება.

ვაჟკაცი კაცის ვიხილეთ,
სიკეთის გამოვლინება.
შმაგიმ რაც შეძლო თვალით დანახვა,
სახეზე დაგვრჩა, ჩვენ ის გვჭირდება.

წიგნის "აისის" გამოცემისთვის,
კლიმატი შექმნა როგორც დიდება,
გაცოცხლდა აზრი რეალობისთვის,
მზე ყუმურისთვის გამობრწყინდება.

2021

შეგონება

რად გინდა, იყო სახელოვანი,
თუ არ უყვარხარ - ზოგადად მასას,
აზრი დაკარგა ყველა დიდებამ
დაემსგავსები - ცარიელ მასრას.

2024

* * *

(ა დ ა მ ი ა ნ ი)

ყველა ეცადოს - მთელ სამყაროში,
არ მიაყენო ვინმეს ზიანი,
სასურველია, ბევრმა იწამოს,
ღმერთისგან იშვა ადამიანი.
ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე,
გამეცნო თქვენთვის ჩემი მიზანი,
ვინც იბადება ამ ქვეყანაზე,
მრავალს სურს გახდეს ადამიანი.
ასე არ ხდება საუბედუროდ,
ბევრისთვის ფიქრი რჩება გვიანი,
კაიკაცობა ფიქრით არ მოდის,
ძნელია გახდე ადამიანი.
უგნური ... ბრძენს ექიშპება,
დღე უბნელდება მზიანი,
ვერ მიაღწია საწადელს,
ვერ გახდა ადამიანი.
სიმდიდრეს ცოდნა არ მოაქვს,
მას დააგროვებს ვინმე ფხიანი,
მრავალ სირთულეს გაუძლებს,
სულგრძელი ადამიანი.
ავი კაცობის მეხოტბეს,
ყველასთვის მოაქვს რაღაც ზიანი,
ასეთს არასდროს დაუშვებს,
ნამდვილი...მტკიცე ადამიანი.

გზა გაუკვალო მრავალ მოსურნეს,
ჰქონდეს სურვილი - დიდი მიზანი,
უქმად ჩაივლის სულისკვეთება,
ყველა ვერ "ხდება"... ადამიანი.

2023

*** * ***

(გამოსავალი)

ყორნები, ლეშს ეტანება -
ჩვევა აქვთ ამისთანაო,
ცოცხალს ჭიდილი სჭირდება,
ბრძოლა და დიდი ძალაო!
მუქთად ცხოვრება არჩიეს,
არაფერს ქმნიან არაო,
ყნოსვის იმედად ხარობენ,
არ ესმით ანა - ბანაო.
პარაზიტობას შეჩვეულს,
აღარ სურთ შეცვლა რეჟიმის,
ჩარევას არ ღებულობენ,
შიში აქვთ მწვავე ვერდიქტის,
ძნელად იცვლება მიდგომა -
დღეს იქნება, თუ ხვალაო,
ეცადონ სწორად შეხედონ,
დამდგარა ოქროს ხანაო.

ქაოსს მოიტანს ყოველთვის,
ნებისმიერის ქცევაო,
დღეს თუ ჩაგრულზე თარეშობს,
ხვალ უბადრუკი ხდებაო.
        კაცი არ ვარგა უზნეო -
        ზოგის ქმედება ბნელია,
        სინათლეს გვაძლევს ცისკარი,
        გენები შეუცვლელია.

1979

კეთილშობილება

ყველაზე მეტად მას უთანაგრძნე,
ვინც დაიჩაგრა რთული ცხოვრებით,
ცდილობს, რომ ფეხზე წამოდგეს
ყოფა აგრძელოს წრფელი გონებით.

ყველაფრის მიუხედავად
არ ფიქრობს დანებებაზე,
არ ეგუება დუხჭირ ცხოვრებას
იმედითაა ამ ქვეყანაზე.

ღმერთმა უსმინოს - ხვალინდელი დღე,
განსხვავდებოდეს ყველაზე,
დროზე აენთოს ბედის ვარსკვლავი
მჯობნი არ ჰყავდეს ამ ქვეყანაზე.

კეთილ კაცს ბედი უღიმის
მისთვის ოდესღაც იდარებს,
მწვერვალს ის იპყრობს ყოველთვის
ვინც გაჭირვებულს იფარებს.

ბოროტი მუდამ შლეგია
უგნურების გზას აგრძელებს,
არ გაუმართლებს მუდმივად
ვეღარ აცდება ნანგრევებს.

2024

* * *

(შ ე ნ)

დიდი თასით თუ შემასმევ რჩეულ ღვინოს,
მზად ვარ ჩვენთვის ყველაფერი გავაკეთო,
უარს თუ იტყვი, დავღონდები სამუდამოდ,
დავფიქრდები - ამის მერე, რა ვაკეთო!!

მწამს, რომ გულით გადაგყვები ცხოვრებაში,
გაგინათებ დამძიმებულ რთულ სამყაროს,
ხშირად გრძნობით შევეხები დიდ მწვერვალებს...
კულულები, ვინმეს რომ არ - დაეყაროს !!!

2022

* * *

(მისაღწევი ჭეშმარიტება)

უფალმა დაგვასაჩუქრა,
მოგვმადლა ვაჟიშვილები,
მადლობა გამჩენს ... ყველაფრის გამო,
რომ გაგვახარა შვილიშვილებით.

ვალში არ დავრჩით წინაპრებს,
ისე გავზარდეთ შვილები,
არც მათი მოდგმა შეგვარცხვენს -
ბრწყინვალე შვილიშვილები.

მთავარი, მაინც ის გახლავთ,
რომ ვიამაყოთ - შვილებით,
სჯობს გაამართლოს ოცნებამ,
რომ არ იარონ ცუდი თვისებით.

ბევრი რამ - გადამდებია,
ხშირად მოვსინჯოთ ისრები,
არ მოვისვენოთ დღედაღამ...
ვარსკვლავს ემსგავსონ - შვილიშვილები.

ღმერთისგან ძალა მოგვეცეს ...
კიდევ დავხვეწოთ შვილები,
ვალში არ ვიყოთ ვინმესთან,
დავზარდოთ - შვილთა-შვილები.

2023

* * *

ნურასდროს მოითხოვ იმას... და იმდენს, რაც კეთილი ურთიერთობის დამანგრეველი გახდება.

რ ე ა ლ ო ბ ა

* * *

მუდამ ვცდილობდი ...
არ მეტკინა - გული ვინმესთვის,
ღრმა გულნატკენი საბოლოოდ
თავად მე შეგრჩით,
აბა რა გითხრათ - ასე მოხდა,
სხვას აღარ ვერჩი...

არ ვიმოქმედოთ უმეცრებით
ვინმეს რომ ვავნოთ,
არ შევქმნათ ჟამი გულისტკენის -
სწორთა დაგმობის,
მუდამ ვიზრუნოთ ღირსთა მიმართ -
ვიყოთ დამთმობი,
და არასოდეს გვეშინოდეს
ხალხთან დადგომის.

* * *

არასდროს არ მოატყუილო,
ვინაც ბოლომდე გენდობა,
პატიოსნება უკვდავი გახლავთ
ყველას არ შველის შენდობა.

ნუღარ ამტკიცებ სიმართლეს -
იგი არავის სჭირდება,
მართალი თუ ხარ ვინმესთან,
ისედაც წარმოსჩინდება.

* * *

შენს ცხოვრებაში არ აიძულო -
არც სიყვარული, არც მიმოწერა,
ისე მიუშვი თავის ნებაზე-
სითბო, კავშირი და ყურადღება.

საღად გათვალე ვის უნდა ენდო
ურთიერთობა აღარ რიგდება,
ვისაც უნდიხარ - უნდა იცოდე,
მას იძულება არ დასჭირდება.

* * *

გამწარებული კაცის წუხილი,
ღმერთს მუდამ ესმის - უნდა იცოდე,
ნუ უბოროტებ, ნუ გაამწარებ,
გაფრთხილდი - სჯობს გეშინოდეს!

რად ჩაგრავ, თანაბრები ხართ,
ხმას რად იმაღლებ ნეტავი,
ვინ წამოგასხა ჩაგვრის მანტია,
შენგან რომ გახდეს კაცი ბეჩავი!

* * *

გჯეროდეთ ბევრჯერ ჩუმად ვარ,
როცა მფუთავენ ტყუილის სამოსში,
მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს,
ყველას მჯეროდეს რთულ სამყაროში.

ხშირად მარტივად ვუყურებ,
ჩემს თვალში კაცი როგორ ეცემა,
მერე კი ჩემს გზას მარტო ვაგრძელებ,
სანამ პასუხი არ გაეცემა.

* * *

ფულში ნუ გაცვლით თვისებებს:
სინდისს, ნამუსს და ვნებასა,
სიყვარულს გულში შემოჭრილს
და ურყევ მეგობრობასა.

ღმერთისგან მოძღვნილ საჩუქარს
ფრთხილად მოეპყარ იცოდეთ,
პატიოსნებას -კარი გაუღეთ
უმჯობესია კაცად გიცნობდნენ.

2024

* * *

(დრო მეფობს...)

არწივების საბუდარი დაიშალა...
ცაზე გაჩნდა საოცარი სიბნელე,
ვერ აღიქვეს რეალობა ბინადრებმა -
დადგებოდა შემზარავი სიძნელე.

ობლად დარჩა მწვერვალები ... კლდის მასივზე,
დაიკარგა საოცარი სიმდიდრე,
ვერ აღსდგება აწ გამქრალი მიდგომები,
მუხლმოყრით რომ სიმართლესთან მიხვიდე.

* * *

საბუდარს! კი სხვა დაეუფლება
გაითავისებს შექმნილ გარემოს,
თავიდან შექმნის მუდმივ სამყაროს,
დაემსგავსება უცხო პალერმოს.

2010

* * *

მათრობს, სამყარო აპრილ - მაისის,
გამობრწყინება დილის აისის,
ბუნების ძალამ მუდამ გვამყოფოს,
ყველას გვეხილოს მადლი დაისის.

2012

* * *

(უსაშველო - მაშველი)

სნეულს მკურნალი სჭირდება
მოსაძებნია გამოსავალი,
თუ დროზე ვერ მოხერხდება -
გზა ჩაინგრევა კეთილსავალი.

გულშემატკივრის ვალია,
მალე იპოვოს წამალი,
მკურნალსაც შერჩევა უნდა -
არ გაიწიროს საწყალი.

ცხოვრება იმას გვანახებს,
ბევრს ვეღარ შველის წამალი,
წყალში იყრება ყოველი
გარჯა - მცდელობა მრავალი.

სნეულის განკურნებისთის
არ უზრუნვია ახლობლებს,
მძიმე შედეგებს ვერ გრძნობდნენ...
გამოსავალის ძებნაში,
ისინი ერთად ცხოვრობდნენ.

შედეგი დადგა არაფრის მთქმელი,
ვეღარ უშველეს სანდომეს,
რჩევები გვიან მიწვდილი
თავდახრის სურვილს განდომებს.

არ განიკურნა სნეული,
ვერ მოიძებნა წამალი მეტი,
დაბადებიდან ასე ყოფილა -
სტატუსით დარჩა ისევ ზედმეტი.

აღარ ეშველა, როგორც ავადმყოფს,
არც კი გამოჩნდა გამოსავალი,
ვეღარ გამართლდა ჩანაფიქრის გზა,
მცდელობა დარჩა გარდამავალი.

ავადმყოფს! მკურნალი უნდა,
ვერ მოიძებნა გამოსავალი,
ბევრი ეცადა და ვერ მოხერხდა
ხე იდგა შუაში - მძლე ტანმაღალი.

1990

*** * ***

(დილა- 03.06.2023 წ)

ამოვედი ოაზისში,
მადლობა ღმერთს - შემძლედ ვიშვი,
ხვნა - თესვაში ოფლი ვღვარე,
მომაკითხავს მტერ - მოყვარე.
ქვევრებს მოვხდი ღვინით სავსეს,
სანოვაგეც არ მადარდებს,
დროზე მოდით მეგობრებო,
ჯერ არ ვხურავ მარნის კარებს.

2022

მეგობარი

(არ ეხება - ყველას)

ცხოვრებაში ფართე მცნებით -
არ არსებობს მეგობარი ...
თუ სჭირდები?? გაგიხდება
ენატკბილი - მოუბარი.

სუფრას როცა მიუსხდებით,
ვინმე არ ჰყავს შენი დარი,
თუ იპოვის გამოსავალს,
ახალს ეძებს - სულმდაბალი.

ცდილობს სისხლი ამოგიშროს,
მიაღწიოს საწადელს,
შორს დადგება, არ იხსენებს,
ამაგს შენგან - განაღებს.

ღმერთმა არ ქნას... თუ დაგჭირდა
თანადგომა - მცირედი,
არ გეგონოს - ახლოს იყოს,
ნუ გექნება იმედი.

თუ მას უნდა ხლართავს ქსელებს,
ცდილობს თავად იხაროს,
თეთრზე გაგიტარებს მუქ ფერს,
ოღონდ გზა გაინათოს.

არ სჭირდები ასი წელი,
როცა მიზანს მიაღწევს,
ავიწყდება ერთგულება,
უმიზეზოდ მძინვარებს.

შენგან გაღებული მადლი,
იკარგება უმიზნოდ,
მელას თვისებებს იყენებს,
ასე უნდა - უნიჭოს.

თუ ვერ შეძლებ... დაეხმარო,
ხვრელებს ეძებს ავი თვალით,
ცდილობს სხვა ამოირჩიოს,
და გაუხსნას გულისკარი.

გამოგძალავს რაც მას უნდა,
ამოივსებს უგნურ სულს,
ცხოვრებას წუმპეში ატარებს,
განურჩევლად, ყველას - სძულს.

1977

*** * ***

(მოკითხვა ფატიმას)

მეც, გიყურებთ შორიდან,
არ გავდივარ ზონიდან,
დრო დადგება გინახულებთ,
სალამს გიძღვნით გორიდან!!

2023

* * *

(შორია, შეგონებამდე)

გზად, შეხვედრია ნება დონისა,
სამყაროს ქმნიდა სახე ნდობისა,
ცად გაიფანტა დრო სანუკვარი...
დამკვიდრებული - ერთად დგომისა.

წინხედვა იყო უპირველესი,
ჩაქრა ქმედების ლამპარი,
გაუგებრობით - უმიზნო ხედვით,
დაისაკუთრეს მძიმე თავზარი.

გზააბნეულმა სიავემ,
ერთობ დაკარგა სადავი,
აღარ მოხდება ცუდის განკითხვა,
თუმცა არ იყო - ვიღაც მართალი.

სამება მოდის უფლისგან,
ამაზე დიდი ქვეყნად არ არის...
ჭეშმარიტება - პატიოსნებას
არასდროს ჰყავდა რამე სადარი.

2023

* * *

(ასე ჯობს)

მზეო! გამოჩნდი დრო დადგა,
ღრუბლებში - ნუ იმალები,
სადამდე გინდა მანდ ყოფნა,
ღირსეულს - რას ევალები?

გაბრწყინდე ! ასე ჯობია,
ყინული ვეღარ დამდნარა,
მიმალვამ რა მოგიტანა,
ხალხი ლოდინმა დაღალა.

ისმინე რჩევა უბადლო,
ნურავის დაემალები,
თუ არ დაიშვა შეცდომა,
ღიად დატოვე კარები.

2000

* * *

(ჯიხვი)

მოინდომა კლდეზე ასვლა,
სურდა მაღლიდან ეცქირა,
ვერ მიაღწია საწადელს...
გამეფება არ ეღირსა.

გადაწყვიტა აღმართის ხვნა,
სურდა მიზანს მიეღწია,
გაერიდა გარემოცვა ...
სავსე დერგი - დაამსხვრია.

საჯიხვეთში დარჩა ჯიხვი,
არსებას მისას - ლაქი ერია,
სკოლა - ლიცეუმს დაეძებს...
თუმც, ვერ გახდება ჯიხვი - ფერია.

2001

* * *

გვებრძვის სატანა, გვწამლავს მიგნებით,
გონებას გვიხშობს ...ოღონდ წინსწრებით.
უფალი ღმერთი დადის დიდებით,
დრო - ჟამი გავა...ეშმაკს მივწვდებით...

2023

* * *

(რჩევა)

დროზე მოიშორე ტვირთი! -
ბედნიერად იგრძენ თავი,
დარდების მოსაცილებლად,
მეწყერს გააყოლე ზვავი.

დააკვირდი როცა ირჩევ -
რომ არ გერგოს ვინმე ავი,
ხერხემლის გამრუდებამდე,
სისხლს გაგიშრობს ... "ვითომ - კრავი".

ნუ იკბინები, მასე არ ვარგა,
არავის მოსწონს - ყორანი შავი,
გაიაზრე, რომ მალე გაქრები...
აღარ გექნება - არაფრის თავი.

1978

* * *

(ძ ა ხ ი ლ ი ს ნ ი შ ა ნ ი)

წერტილის დასმა!! - არ არის ძნელი,
გამორჩეულად თუ ხარ ძლიერი,
რთულად აღიქვამ ურთიერთობას,
სახეზე რომ გყავს ვინმე... ცბიერი!

ჩანს, ვეღარ შედგა მშვიდი გარემო -
არ გადაიდგა ბრძნული ნაბიჯი,
აღარ გამოდგა წარსულის შეცვლის,
დამკვიდრებული ფორმა - მახინჯი.

დაფიქრებასაც - არა აქვს აზრი,
ვეღარ უშველის საჭისმპყრობელი,
ბედს შესჩივლებ, თუ უღირს საქციელს
ხელიდან მიდის დრო ულმობელი.

წერტილის დასმა ბოლო ხერხია...
აღარ იშლება ესეც წესია,
თუნდაც გადაწყდეს ხიდის აღდგენა,
სახეზე რჩება - რაც გითესია...

1997

* * *

(ციური მნათობის გახსნა - ღირსება როდია...)

ვარსკვლავის გახსნა მოდა გამხდარა,
ყველას ერგუნა, ვინც ფხიზლად არის,
ღირსი - უღირსი ვეღარ მოქმედებს,
თუნდაც არ იყოს ვარსკვლავთსადარი.

ნებართვის მიმღებ - გამცემნი,
გაგვიხდნენ ჭირის ამტანნი
ჭეშმარიტების უმძიმთ გარკვევა,
რადგან არ რჩებათ - ძალა გამტანი.

საშიშროება როცა შეიქმნა,
არ გამქრალიყო მნათობის - კვალი,
ვერ დაელოდნენ მეორედ მოსვლას,
მალე შეიქმნა სულ სხვა ვარსკვლავი.

ამშვენებს იგი მცირე გარემოს,
ფართეა მისი სხივი სანახი,
შესცქერის ზეცას სიმართლით,
არ გააჩნია - ქვეყნად დამძრახი.

მაღალი ღმერთის შიშს არ განიცდის,
შორს უდგას ექო განგაშის,
უღირსის ვარსკვლავს ყველა შეამჩნევს,
გვინდა მებრძოლი იყოს მართალი,
ღირსების ჯილდო თუკი გერგება,
ვერ აღიქმები - როგორც ჩამქრალი.

2019

* * *

ჩემი დატვირთვის რა გითხრათ,
ხან ასე არის, ხან ისე,
მთავარი მაინც ერთია -
კარგად მეყოლოს მესტვირე...

1977

* * *

(აღმოჩენა)

დატვირთულია მუდმივად,
ერთგული ერთი - მაშველი,
ათას... შეზღუდვას აწესებს,
გზასაც ეძლევა - საშველი.

აკეთებს შეტყობინებებს,
მიმართულებებს - ასჯერ მეტს,
ხელს ნუ შეუშლით საქმეში,
რიდით შესცქერის - ფრაგმენტებს.

2023

* * *

(ყურადღებით)

არავის არ დაემონო,
ნურცა ნურავის იმონებ,
ეშმაკის ფეხს თუ მიყვები -
სახელით ვეღარ იცხოვრებ.

შეიძინე უნარ - ჩვევა,
ძნელი არაა იცოდე,
ქრისტეს გზაზე გაიარე,
ვაუკაცი რომ ხარ... იცოდე!

2024

* * *

(კეთილი)

ვინც მოვიდეს გაიხაროს,
სიყვარულში დაიხარჯოს,
კეთილი გულით მოვლენილს,
ცხოვრებაში გაუმარჯოს.

სუფთა გულით შემოსული,
სანატრელად აღარ გვექცეს,
მუდამ სიხარული გვქონდეს,
ჭირი ლხინად გადაგვექცეს.

კეთილს ვუწილადებ დიდ სულს,
არ მწამს, ვეღარ ვიტან ორგულს,
გვერდში დავუდგები წმინდას,
გარჯას შევუფარდებ - მიზანს.

ღირსეულთან ავიშენებ კერას,
ცხოვრებაში არ ვენდობი ყველას,
გულს გავუხსნი მხოლოდ კეთილ მზრახველს,
გვერდს ავუვლი სათავისოდ მნახველს.

2023

*** * ***

(ღირსეულს)

მზის სადარი ხარ, სრული - ბომონდი,
გაფრქვეული გაქვს სხივი - ბოლომდი,
ცისკენ მიიწევს შენი - გოდოლი,
აღარ მაოცებს, ბევრს რომ - მოსწონდი...
მწვერვალზე დგახარ - ანგელოზურად,
ღირსებით ავსებ ყოფას - მდედრულად,
ანთებული ხარ, ვითარც - კოცონი,
სიკეთე თან გდევს ყველგან - მეგზურად.

2021

* * *

(ასეა ეს - ასეც იქნება)

ვფიქრობ, კეთილშობილი ვარ
ვსუნთქავ პირად გარემოში,
მიყვარს ხალხთან მეგობრობა
განვსხვავდები ბარე - ორში.

არ ვთხოვ ვინმეს ჩემთვის რამეს
მერიდება - შეწუხება,
ბედნიერად მაშინ ვთვლი თავს,
ერთგულება თუ არ - ჭკნება.

აღელვებაც ვიცი მყისვე
ვერ ვატარებ - სიტყვას ისე,
პასუხს ვაძლევ საკადრისად
მომხვდურს!! მივაგებ - რისხვებს,

თუ ვერ ზომავს, თავს ვერ იჭერს
გზას ვანახებ - სინათლისკენ,
შევეცდები გავერიდო -
მივანიშნებ - ურდულისკენ.

ზრდილს, გაგებულს და ზომიერს
პატივსა ვცემ კიდით - კიდე,
თუ კვლავ შეცდა უგნურებით,
გვერდზე გავწევ - ნდობის კიბეს.

არ მწამს თლიდი და უგნური,
მიყვარს კაცი - წმინდა სულის,
ბნელთან არ მსურს დროს დაკარგვა,
მზერა, დანახვა - ორგულის.

2022

* * *

(ნათქვამია)

ნაჭუჭში ჯდომას თავისი დრო აქვს!
ვერ გამოვიდა?! - უკვე მკვდარია,
გონიერისთვის მუდამ მზე არის,
უმადურისთვის სულ ავდარია.
არ უფიქრია შუქი ეხილა
ჩანს ვეღარ შესძლო - დრო კი გალია,
ამაოდ დარჩა ურჩის ქმედება
სინდისის ქეჯნას - ხელი დარია.

2023

* * *

ზედმეტს არ ვიდებ გულში,
არ იყვავილებს ნუში,
ბრწყინვალედ მახსოვს ისიც,
თუ რა გადამხდა გუშინ,
ვერ დავივიწყებ ვერა,
თუ ვინმე მყავდა სულში

2023

* * *

{დედის დღე 3 მარტი - თამარ ფოფხაძეს}

მშობლის სტატუსი ღმერთმა გარგუნა,
ატარებ დედის მანტიას,
ვეკოს და ნატას ბედნიერებით
შეხვდები მრავალ განთიადს.

დედის - დედობაც სანდრომ გაჩუქა,
აშენებ ბუდეს, მართლაც საზრიანს,
მუდამ იფრინე მთის მწვერვალებზე,
ემსგავსე არწივს, ძლიერს - მადლიანს.

2021

* * *

(ჭეშმარიტება)

სიმდიდრეს ბევრი მეგობარი ჰყავს,
სიღარიბეს კი... არც - ნათესავი,
ყველას გვერგუნოს დიდი საუნჯე,
ნდობა არ დაგვრჩეს დასათესავი.

არ ჩავიხედოთ სხვის მიღწევებში,
ვიზრუნოთ - ვპოვოთ ამოსავალი,
ჩვენგან შექმნილი ბევრად მარგია,
იგია, მართლაც გამოსავალი.

2020

* * *

(ადრე და ამჟამად)

ციხეს აგებდნენ სოფელ საროსში,
წყურვილს იკლავდნენ წმინდა წყაროში,
დრო შეიცვალა, საპირისპიროდ,
უგნურება ჩანს მთელ სამყაროში.

2022

ლექსად ნათქვამი გამონათქვამები

* * *

მომავლისათვის აგებენ მიზნებს,
რისთვისაც ხშირად იცვლიან ნიღბებს,
ზოგს ავიწყდება რაც უკვე ნახეს,
არ ჩანს - კარგავენ ბუნებრივ სახეს.

ორმაგ სტანდარტებს ყველა ვერ ირჩევს,
ცუდი ზრახვები თავს სადღაც იჩენს,
ნამდვილი კაცი სიმართლეს მისდევს,
ნიღბის ტარება ბევრ რამეს იწვევს.

* * *

ყველაზე ჩლუნგი - ლაყე თავები,
ყველაზე მეტად ამპარტავნობენ,
შესწავლილია მათი თვისება,
რაზედაც თითქმის აღარ დაობენ.

მოუწოდებენ მსგავს წარმონაქმნებს,
სხვებს ნუ ახვევენ საფრთხის მახეში,
რომ აღიკვეთოს მომავლისათვის,
ჩვენს სამყაროში მათი თარეში

* * *

სიკეთე ყველას უკეთე -
ოღონდ შურიანს არა,
კეთილი რომ ხარ ის შეშურდება,
გაბოროტდება მარად.

შურიანს ხელს ნუ გაუწვდი,
გზა ნახოს - თავად გამაგრდეს,
ირწმუნე - არ გასწორდება,
მსგავსი არსება რომ არ გამრავლდეს.

* * *

ვინც გიფრთხილდება - მას გაუფრთხილდი,
ის არის შენი ქცევის ნაწილი,
იცი რომ შენთვის ცუდს არ ისურვებს,
მეგზური შეგხვდა კარგი აღზრდილი.

ძლიერს დაუთმე წუთისოფელი,
ჩათვალე გზა გაქვს სწორად რჩეული,
შემობრუნდები სიკეთისაკენ,
გინდაც რომ იყო გადაჩვეული.

* * *

არ داااببرალო - ვინმეს რაიმე,
შენს ცხოვრებაში რაც გინდა იყოს,
ყველას ეკუთვნის თაყვანისცემა,
ვისაც არ ესმის - უნდა გაიგოს.

ადამიანთა ერთმა ნაწილმა -
განახა ბედნიერება,
ცუდებმა მოგცეს გამოცდილება -
ამ სამყაროში რა ხდება.

საუკეთესო ხალხმა გაჩუქა -
დაუვიწყარი გრძნობები,
საშინელებმა გაჩვენეს -
უკვდავი გაკვეთილები.

მადლობა ამ ხალხს - ჩვენი აღზრდისთვის,
დიდება ყველას - ყველაფრისათვის.

* * *

აღელვებულ ზღვას გავს ცხოვრება,
გვერდს ვერ აუვლი არ იბანაო,
ეს მაშინ ხდება როდესაც,
ცურვა არ იცი... მაინც ბანაობ.

რომ იბანაო ცურვა ისწავლე,
ზღვა ხშირად ღელავს ესეც ფაქტია,
ვერ აიცილებ რთულ ვითარებას,
გინდაც შეცვალო ძველი მანტია.

* * *

ადამიანი თუ მაიძულებს,
ზურგი ვაქციო - არ ვედგე მხარში,
რაც გინდა მოხდეს შემდეგ ეტაპზე,
ვერასდროს შევალ მასთან კონტაქტში.

რჩევას აძლევენ ახლო წრეს,
ყველასთან იყვნენ დამთმობ - ამტანნი,
რჩეულ ვინმესთან თუ დამეგობრდი,
თავსაც ურჩიე გახდე გამტანი.

* * *

ცხოვრება მეტად ხანმოკლე არის -
ყველაფერი რომ სწორად აკეთო!
აღარ იფიქრო დროს ნუ დაკარგავ,
ჯობს, რაც შენ გინდა - ის გააკეთო.

შექმენი გულით რაც შეგიძლია,
აკეთე შენი საკეთებელი,
სათნო არსებებს გზა გაუხსენი,
მომავალს ამცნე საშენებელი.

* * *

საცოდავია ყველა მოკვდავი,
ვინც ფიქრობს იგი სხვაზე მეტია,
თუ ვუმკურნალებთ - ასე აჯობებს,
ნაკლებს შევხედავთ - ქვეყნად რეტიანს.

პურის თავთავი თავდახრილია,
თავს არ იწონებს - დიდ მადლს აკეთებს,
სარეველები მაღლა ისწრაფვის,
ანადგურებენ, მიწის - ნაკვეთებს

* * *

არ მაპატიოთ თუ გაწყენინეთ,
ღირსი იყავით ყველანი,
ვისაც ვერ მოგწვდით მელოდეთ,
დაგედევნებით თეთრი მერანით.

ვიბრძოლოთ სიმართლისათვის,
ქცევა ვიხილოთ "ჩემი"-დან,
რომ დავინახოთ სიმართლე,
მოვუხმოთ ქალღმერთს - "თემიდა"-ს.

* * *

არ მიაყენოთ ზიანი -
ვინმე თუ თქვენზე სუსტია,
არ შეიძულოთ მოკვდავი -
თუ ამჩნევთ არ შეუძლია.

თქვენ შეიძლება "დღეს" ძლიერი ხართ -
არ დაგავიწყდეთ "დრო" უფრო მეტი,
ასანთს მილიონს გვაძლევს ერთი ხე,
არ დააგროვოთ იგი ზედმეტი.

ხელს ნუ აღვმართავთ ვინმეზე,
ღმერთი განსაზღვრავს რისი ღირსია,
მილიონი ხე რომ განადგურდეს,
ასანთი, ერთიც საკმარისია.

2024

ჭიტა !!

გადავიდა ქარიშხალი,
ამინდია ძალზე მშრალი,
დაიკარგა ქინძისთავი,
შემოცურდა სუფთა ნავი.
ტაშ-ფანდურში ხელის გაშლით,
კარგად ჩანდა ვინ - ვისაში,
მძიმე ადგილის თამაშით,
სხვები ჩაერია შუაში...

2023

ნდობა პირველია!

რადგან, ერთხელ მოდის ნდობა,
თანადგომა სჭირდება,
თუ არ გაუფრთხილდით სტუმარს,
სამუდამოდ გვშორდება,
შემდეგ ბევრიც რომ ვეხვეწოთ
აღარ დაგვიბრუნდება.

2024

ჩემი მიდგომა

მუდამ გამოვხატავ იმას -
რასაც ვფიქრობ და განვიცდი,
არ შემიძლია თამაში,
სხვა რა ვაკეთო, არ ვიცი.

ეს ჩემი სინამდვილეა
მთელი პრობლემა აისით,
არ მერიდება არავის
შედეგს მაჩვენებს დაისი.

2024

დაგვიანებით შექმნილი

* * *

(ფ ა ს ი)

ფასი ეძლევა ყველაფერს,
მისი დაკარგვის - მერე,
თვალწინ დიოდა სწრაფი მდინარე
მაინც ეგონათ ღელე.

ყველამ იცხოვროს საღი გონებით
პატივი დასდოს დღევანდელს,
არ დაუკარგოს ვინმეს არსება,
ფასი, რადგანაც საზღვრავს ყველაფერს.

* * *

ვისაც აქვს ორი თვისება
პატიოსნება და ერთგულება,
ეს გახლავთ იდეალური,
სხვა უკეთესი ვის ეგულება?

მოკვეთილია ყველასგან
უზნეო კაცი, როგორც არსება,
გამოეცლება წუთისოფელი
მისი სახელი აღარ დარჩება.

* * *

საკუთარ სულში რომ ჩაიხედავ,
როცა მიხვდები იგი სუფთაა,
გერგო რა - დიდი ბედნიერება
ყველა სიკეთე უკვე შენთანა.

ერთადერთი სამოსია ღირსება,
რასაც ვერავინ ვერ გაგხდის,
ის არის შენი კუთვნილი
ვერ წაგართმევენ ვერასგზის.

* * *

გაუფრთხილდი შენი სულის მელოდიას,
დაიცავი უდიდესი საგანძური,
არასოდეს არ აჩუქო, იგი- იმას,
ვისაც სმენა - საერთოდ აქვს დაკარგული.

2024

* * *

(ხედვა)

რადგან ვერ ხედავ ჰაერს !
არ ნიშნავს იმას- შეწყვიტავ სუნთქვას,
ეცადე ვინმეს არ დაემონო,
აჰყევ სამყაროს ბრუნვას.

რაკი ვერ ხედავ მაღლა ღმერთს !
არ ნიშნავს იმას - დაკარგო რწმენა,
დიდ სიკეთეზე უარის თქმით -
იქნებ ირგუნო წყენა.

ისუნთქე სუფთა ჰაერი
არ დაიკარგოს რწმენა,
მოერგე ჩვეულ პირობებს
უფალმა მოგცეთ ლხენა.

2024

* * *

არასდროს არ გაამართლო
ადამიანის უდიერება,
ვინც ვერ გაგიცნო - ვერ დაგინახა
რისთვის დაეძებ, რაში გჭირდება?

გახსოვდეს! თუ ძვირფასი ხარ -
უთუოდ დაგაფასებენ,
გულს არ გატკენენ თუკი უყვარხარ,
უბრალო მხარედ აღარ გაქცევენ,

შენს გვერდით ყოფნა თუ უნდათ
ზურგს არასოდეს არ შეგაქცევენ,
იძულებულსაც აღარ გაგხდიან
მათთან იყო და სხვაგან წახვიდე.

2024

* * *

დაბრკოლება არ არსებობს
რომელსაც ვერ გადალახავ,
არ გასულერთდე იბრძოლე
გამარჯვებას თავად ნახავ.

გადაუჭრელი პრობლემა
არ არსებობს თუ ხარ კაცი,
არ შეეგუო უღირს გარემოს
დათვასდება შენი ღვაწლი.

არ არსებობს ლაბირინთი,
საიდანაც ვერ გამოხვალ,
იბრძოლე და გაიმარჯვე
კეთილი გზით ყველგან წახვალ.

2024

* * *

(ჩინური სიბრძნიდან)

შური - გართმევს წარმატებას,
ვეღარ შესძლებ აღმაფრენას,
შეეცადე გამოსწორდე,
თუ გსურს სიკეთის გზას - ფლობდე.

სიძულვილით - იკარგება,
სანუკვარი ჯანმრთელობა,
სხვას ვერ ართმევ ნათლად ხვდები,
უსუსურის სკამზე ჯდები.

ახალგაზრდობას ჰკლავ ბრაზით,
სურვილები ქრება დარდით,
იკარგება სამყოფელი,
გიმრავლდება გამყოფელი.

შური, სიძულვილი - ბრაზი,
ვერ იქნება ფიანდაზი,
მიდგომა სჯობს მუდამ ნაზი,
რომ არ განადგურდეს "ვაზი".

2024

რ ჩ ე ვ ა

* * *

ადამიანი რომ გერქვას -
უნდა გაგაჩნდეს ძვირფასი გული,
ძვირადღირებულ სამოსს შეეშვი
ატარე მხოლოდ კეთილი სული.

კაცის სახელი რომ გქონდეს -
უნდა დათესო სიკეთე,
ზღაპრების თხრობას შეეშვი
ბეჩავს და ღატაკს მიხედე.

* * *

ცხოვრებამ თუ გაგიმართლა
ზოგჯერ უფალსაც შეხედე,
არ დააგროვო განძი იმდენი
სინდისიერ კაცს შიშით ვერ შეხვდე.

რომ არ დაგჭირდეს კუჭის წაკვეთა
საკვებს ბევრს ნულარ მიიღებ,
იკითხე.... ვინმეს პური თუ უნდა -
სამარემდე რომ ტანჯვით მივიდეს.

2024

გაზაფხულია ყველაფერი

* * *

გაზაფხულია,
გამორჩეული -
ბედნიერების
დიდი საწყისი,
ახლად იწყება
თბილი სიცოცხლე,
გამარჯვებების
მძლე დასაწყისი.

ბუნება იცვამს,
მწვანე სამოსელს -
ვარდი იბრუნებს
სიცოცხლეს,
გაზაფხულს მოაქვს
სულში ხალისი
მის მობრძანებას...
ყველა რომ გრძნობდეს!

* * *

ხარების დროც ხომ -
გაზაფხულია!
ქრისტეს მოვლენის -
ამ ქვეყანაზე,
ქალწულ მარიამს
აუწყეს რიდით...
ჭეშმარიტია -
იგი ყველაზე.

გაზაფხულია,
როდესაც -
ქრისტე, იმარჯვებს
სიკვდილზე,
უძლეველია ღმერთის
სამყარო -
ჯვარზე გაკრული
ზეცას იმკვიდრებს.

გაზაფხულზე
გველოდება -
დიდებული
აღდგომა,
აღტაცების
მომგვრელია -
ქრისტეს -
გზაზე დადგომა.

* * *

გაზაფხულია,
ბედნიერება -
უფალმა ყველა
ახაროს,
აყვავდეს ჩვენი
სამყარო
მრავალ დღესასწაულს
დაგვასწროს.

2024 წლის გაზაფხული

ესეც შენ !

(წიგნი მერვე)

ცხოვრებამ ლხინი ბევრი განახოს,
არ გაგიჭირდეს რაიმე,
ავტორის მხარში თანადგომისთვის
სიმდიდრით მუდამ აივსე.

კეთილი საქმის კეთებისათვის,
მკითხველთან ერთად გლოცავს უფალი,
მალე დაგეპყროს ყველა მწვერვალი,
იყავი მუდამ თავისუფალი.

2024

* * *

(სამადლობელი)

რასაც მიყურებთ, ისა ვარ,
მერგო პრემია - აკაკის,
მწვერვალებს შევეთამაშე,
შიში აღარ მაქვს - არაფრის.

ეს ჯილდო მერგო ბოლო ნაშრომში...
{"ჯვარიქედიდან დანახული ჩემი სამყარო",
"გზა უფლისკენ"}
შედეგად მოვხვდი მწერლის ჩარჩოში.

პირველად დამაჯილდოვეს,
პრემიით - ნიკოლაძესი,
საფუძვლად ედო ლექსთა კრებული
("ქართული სიწმინდეები"),
შემდგომში ისევ, სხვაც - უმჯობესი.

დროულად მოხდა წიგნების აღქმა,
არ შემხვდა ვინმე სულით მონური,
პირველად მერგო "ევროპულ მხედვის",
ხოლო შემდგომში "მგოსნის ჩონგურის".

მადლობელი ვარ ყველა მოღვაწის,
ვინც შეასრულა დიდი მისია,
ჯილდოს მფლობელის სახელი მომცა,
რაზეც არასდროს არ მიფიქრია.

2024

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თვალსაჩინო მოღვაწეები

რ ე ვ ა ზ მ ი შ ვ ე ლ ა ძ ე

საქართველოს სახალხო მწერალი

(პროზის დიდოსტატი. ღირსეული მამულიშვილი. ჭეშმარიტი შემოქმედი. კაცი მებრძოლი. სიმართლის მთქმელი ადამიანი. ნიჭიერი შემოქმედი. ქვეყნის სადარაჯოზე მდგომი)

აი, რას გვამცნობს გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ - 2012 წელს რევაზ მიშველაძის რჩეულ თხზულებათა ოცდახუთ ტომად გამოცემისას:

„თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის რევაზ მიშველაძის შემოქმედება კარგა ხანია მსოფლიო ლიტერატურის ორგანულ ნაწილად იქცა.

მკითხველი ამ ტომების წაკითხვისას ადვილად დარწმუნდება, რომ მწერლის ჟანრულად უაღრესად მდიდარ ნაწერებში ჩანს არა მარტო საქართველოს პრობლემები, არამედ ქართული სარკმლიდან დანახული მსოფლიოც“.

ვფიქრობ, აქ ყველაფერია ნათქვამი - ამ დიდსულოვან, უნიჭიერეს და გაბედულ ადამიანზე. ნათლად ჩანს, რომ ბატონი რევაზი თავდაუზოგავად იბრძვის, რათა უდიდესი კვალი დატოვოს თავისი ბრწყინვალე შემოქმედებით. დიდი სურვილია, რომ სიმართლის მთქმელმა და დიდებულმა ადამიანმა, ხანგრძლივად იღვაწოს ჩვენი ქვეყნის სასახელოდ და საბედნიეროდ. კლასიკოს მწერალს - ბატონ რევაზს უფალი ფარავდეს მუდამ და იძლიეროს, კიდევ უფრო მეტი დაფასება და მაღალი ჯილდოები ეხილოს მის უამრავ მკითხველს და თაყვანისმცემელს.

დიდი ქართველი მწერალი და ნოველისტი რევაზ მიშველაძე დაიბადა 1940 წლის 1 იანვარს სოხუმის რაიონის სოფელ ბაბუშარაში მამა — პედაგოგიკის პროფესორის აქვსენტი მიშველაძისა (1915-2005) და დედა — ქართულის მასწავლებლის თინა გველესიანის (1920-2006) ოჯახში. ბავშვობა გაატარა მარტვილის რაიონის სოფელ თარგამეულში, სადაც იზრდებოდა 7 წლამდე. 1947 წელს შეიყვანეს ქუთაისის ვაჟთა მე-7 სკოლაში, სადაც სწავლობდა 1954 წლამდე. 1954 წელს გადაიყვანეს ქუთაისის №4-ე საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1958 წელს და ჩაირიცხა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, საიდანაც პირველი კურსიდანვე სასწავლებლად გადავიდა ივ. ჯავა-

ხიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1964 წელს დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება. 1964-1966 წლებში სწავლობდა ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურაში. 1966 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1973 წელს სადოქტორო დისერტაციები.

1966 წლიდან 2006 წლამდე უწყვეტლივ მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ ასისტენტად, შემდეგ კი დოცენტად და პროფესორად. ბოლო ოცდაათი წელი - უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგედ.

1970 წლიდან არის ჟურნალისტთა კავშირის წევრი, 1974 წლიდან - მწერალთა კავშირის წევრი. 1987-1990 წლებში იყო ჟურნალ „კრიტიკა“-ს მთავარი რედაქტორი, ხოლო 1993-1999 წლებში ჟურნალ „ნუგეშის“ მთავარი რედაქტორი. 2007-2010 წლებში - მწერალთა კავშირის თავმჯდომარე. ამჟამად საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, „მწერლის გაზეთი“-ს სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კულტურის მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი — სრული პროფესორი. 1999-2003 წლებში იყო საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი „საქართველოს აღორძინება“. 1999-2004 წლებში - საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის სამოქალა-

ქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

სხვადასხვა დროს მიღებული აქვს შოთა რუსთაველის (1998წ.), დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, დავით კლდიაშვილის სახელმწიფო, ნიკო ლორთქიფანიძის, მემედ აბაშიძის (1999), ავეთიკ ისააკიანის და სხვა პრემიები. არის „ღირსების ორდენი“-ს (1999წ.) და „ივანე ჯავახიშვილის მედლის“ კავალერი. მინიჭებული აქვს „ქართული კულტურის ამაგდარი“-ს (2009წ.) და „ქართული პროზის რაინდი“-ს წოდებები.

ერთადერთი შვილი არჩილი (1973-1993წწ) დაეღუპა რუსეთის წინააღმდეგ აფხაზეთის ომში. ჰყავს შვილიშვილი — შიო (დაბ. 1989წ.), ეკონომისტი. ორი შვილთაშვილი - რეზო და იოანე.

თავს მივცემ უფლებას და ჩემი წინამდებარე წიგნის მკითხველს წარმოვუდგენ ფასდაუდებელი მწერლის - ბატონ რეზო მიშველაძის შემოქმედების ძალზე საინტერესო და გენიალური ნაწარმოებების (ნოველები და სხვა...) მცირე ჩამონათვალს, რომლებიც პერიოდულად გამოქვეყნებულია ქვეყნის სხვადასხვა გამომცემლობებში და ვფიქრობ იგი ყველასათვის - შეხსენების საუკეთესო საშუალება იქნება:

- ჩემი ცრემლი და სიყვარული (ნოველები):
- რჩეული ნოველები;
- უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია:
- ახალი ნოველები;
- ეპოქა და თანამედროვე მწერლის როლი;

- განაჩენი (ნოველები);
- ცხელ გულზე დაწერილი პიესები;
- ჯაჭვი (ნოველები);
- გზა;
- რჩეული თხზულებების ოცდახუთტომეული;
- ჩურჩულს გადაჩვეული კაცი (რომანი);
- ციყვი ბორბალში (რომანი);
- წამება (რომანი);
- ქრისტე (რომანი);
- რჩეული ნოველების ორტომეული;
- ქართველობა ბედისწერაა;
- პოლიტიკის კულტურა და კულტურის პოლიტიკა;
- გალიაში რომ გაგზარდე... (ნოველები);
- შენ ჩემთვის რა გატირებდა (კრიტიკული წერილები).

2021 წელს რევაზ მიშველაძემ მარტვილის რაიონის სოფელ თარგამეულს (სადაც მან ბავშვობა და ყრმობა გაატარა), საჩუქრად გადასცა 3500 (სამი ათას ხუთასი) წიგნი. ამჟამად ამ სოფელში არსებობს ბიბლიოთეკა წარწერით: „საქართველოს სახალხო მწერლის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის რევაზ მიშველაძის სახელობის ბიბლიოთეკა“.

გენიალური მწერლის - ბატონ რევაზ მიშველაძის სამ-წერლო ასპარეზზე გამბედაობა და სიმართლის თქმა სა-

ყოველთაოდაა ცნობილი. სწორედ ამიტომაცაა, რომ იგი ასე მოჭარბებულად უყვარს მკითხველთა ფართო წრეს და მთელ საზოგადოებას. აღნიშნულის საილუსტრაციოდ, სხვა მრავალ ნაწარმოებს თავი რომ დავანებოთ, ამ დიდებულმა ადამიანმა, თავისუფალი სიტყვის მოჯადოებული და დაუძლეველი წრე აშკარად გაარღვია საბჭოთა ეპოქის მმართველობის პერიოდში, კერძოდ - გასული საუკუნის 60-იან წლებში, მაშინ როდესაც ჩვენს ქვეყანას დაუპატიჟებელი და ქართველი ხალხის დაუძინებელი მტერი, კაცთმოძულე არაადამიანი (პირველი მმართველი) ნიკიტა ხრუშჩოვი ესტუმრა.

სწორედ, მას მიუძღვნა (ასევე, მომდევნო პერიოდში სხვებს - მის მსგავსებს) და ყველას გასაგონად ბასრი კალმის მოსმით - თქვა, ერთობ აუცილებელი და ყველასათვის მოულოდნელი სიმართლე („მაღალი სტუმარი“). მისმა გადადგმულმა გაბედულმა ნაბიჯმა, შემდგომში თავისთავად ბევრი სასიკეთო შედეგი გამოიღო. ამ შემთხვევაშიც თავს ვაძლევ უფლებას ეს დიდებული ქმნილება უცვლელად წარმოვადგინო ჩემსავე წიგნში.

მაღალი სტუმარი

თვითმფრინავის კიბეზე რომ ჩამოორსაფეხურდა, უეცრად შეჩერდა, დამხვდურთ გაუღიმა და ხელი დაუქნია.

ხეპრული, ტეტიური, ცოტა არ იყოს, უტიფრული ღიმილი ჰქონდა.

აღტაცებისგან, ლამის მუხლებზე დაცემულ, ვაშაურას ძახილით აკანკალებულ ბრბოს დაჰყურებდა.

აეროპორტის მოედანს ორმწკრივად შემორკალული ჯარისკაცები სმენაზე იდგნენ.

საიდუმლო სამსახურის შემკრთალი თანამშრომლები მაღალი სტუმრის შესახვედრად შერჩეულ მოქალაქეებს, ყოველ შემთხვევისათვის, ხელებში შეჰყურებდნენ და შიგადაშიგ ტაშსაც დასცხებდნენ; აქაოდა, ჩვენც „უბრალო მოკვდავნი“ ვართ, სტუმართმოყვარეობის ადათმა მოგვიყვანა აეროპორტში და ბედნიერად ვრაცხთ თავს, მესიას ასე ახლოს რომ ვხედავთო.

სტუმარმა უკრაინულ კვართზე მოსხმული პიჯაკი გაიხადა და უკან მდგომს მიაჩეჩა. ჭილოფის ქუდი მოიხადა და ჭილო-ფის ქუდიც უკან გადააწოდა, მაგრამ იმ წამსვე გადაიფიქრა. ქუდი კვლავ ჩამოიმხო თავზე. ამჯერად პირდაპირ ჩამოიმხო, შებრუნებულად, ულაზათოდ, ნერვიულად.

„მე ვიცი რას ნიშნავს სამხრეთის მზეო“, — ჩაილაპარაკა.

იდგა და ხელს იქნევდა.

სცენარით თვითმფრინავის კიბეზე ამდენ ხანს შეჩერება არ იყო გათვალისწინებული და გულდაგულ ნარეპეტიციებ კლაკიორებს ხელისგულები დაასკდათ ტაშით, ხოლო მეფისნაცვალი და მისი ამხანაგები ლამის კიბეზე აფრენილიყვნენ და ხელში

აეყვანათ ძვირფასი სტუმარი. ვოროშილოვის ულვაშა მთავარმასპინძელი ისე ყელმოღერებული იდგა, გეგონებოდათ, სადაცაა სიმღერას წამოიწყებსო.

სტუმარი იდგა და ღიმილით ათამაშებდა ჰაერში თავის ცხრაფუთიან მარჯვენას.

დაიღალნენ ტაშის დამკვრელები.

შეშფოთება დაეტყოთ ცერემონიალის რეჟისორებს და დაცვის თანამშრომლებს.

თურმე დასჯა ასეც შეიძლება. იდგე, იღიმებოდე და მასპინძლები ვაშა-ტაშით გაასავათო.

„არა გიშავთ, ქართველებო, კეთილი ინებეთ, იდექით ცოტა ხანს. კარგად დამიმახსოვრეთ. მე თქვენ, რასაკვირველია, არ გენდობით, ჩემს მდგომაროებაში არც უნდა გწვეოდით თბილისში, მაგრამ ვერ მოვისვენე. მინდა ერთხელ კიდევ დავრწმუნდე, ვინ ვარ, რას წარმოვადგენ და რა სწრაფად იცვლება დრონი.

იდექით, იდექით, უკარით ტაში, არა გიშავთ, მე ოცდახუთი წლის განმავლობაში ვიდექი და ვეღრიჯებოდი თქვენებურ ულვაშას. გამოსცადეთ, როგორია თვალებში ყურება. აბა, გაბედეთ განზე გახედვა. ხომ არ გგონიათ, თქვენს იმედზე ვარ. ორი ათასი რჩეული ბიჭი მიცავს. ხელის გატოკებას ვერ მოასწრებთ, თუ კი რამ გაივლეთ გულში. სიგრძეს სიგანედ მოგიქცევენ.“

სტუმარი იდგა და იღიმებოდა. თამამი, ნიშნისმოგებითი, დამსჯელი ღიმილით.

„ფეხქვეშ მეგებით, გასაგებია. სხვა გზა არა გაქვთ. ო, როგორ გძულვართ ახლა. სიამოვნებით ჩამყლაპავდით, რომ შეგეძლოთ. მე თქვენ კარგად გიცნობთ, თავხედი და თვალთმაქცი ერი ხართ. თქვენ გგონიათ დავიჯერე, რომ თითქოს ულვაშა იმპერატორის ღირსების დასაცავად აღსდექით იმ დღეს? როგორ გეკადრებათ. თქვენ ისიც კი ფეხებზე გეკიდათ. თქვენ თქვენი ქართული, ბნელი ზრახვები გაქვთ,

მაგრამ არაფერი გამოგივათ. ვერ მოგართვეს.

დამთავრდა თქვენი პარპაში. ის გველის წიწილაც გაგისრისეთ, უპაპოდ დარჩენილი, ძალაუფლებისაკენ რომ მიცოცავდა.

ჰო, უკარით ტაში. თვალებში მიყურეთ. სად გაქრა თქვენი სიამაყე, თქვენი განსაკუთრებულობა. თქვენი დიდი ისტორია. თავი რომ მოგაქვთ ყველასთან. რაო, აღარა ხართ ტრაბახის ხასიათზე?

იდექით და უკარით ტაში. მე თქვენ გიჩვენებთ, როგორ უნდა „გამორჩეულ რასასთან ლაპარაკი“.

მაღალი სტუმარი იღიმებოდა.

მერე ეტყობა ხელი დაეღალა, მაგრამ უტიფარი ღიმილი კარგა ხანს შერჩა სახეზე.

დიდხანს ღონივრად იკრავდა გულში ცრემლ-მოდგარ, თითულვაშა, სალდაფონ მთავარმასპინძელს.

მერე ყველაფერი ჩვეულებრივად ჩატარდა.

იყო ზღაპრული სუფრები, ზეაღმტაცი შეძახილები, ხელზე კოცნები, ჭყინტი სიმინდის მიწოდებები და იყო გაუთვალისწინებელი რამ- ქარიშხალას სტადიონზე იმპერატორი სიტყვას რომ ამბობდა, მისი უშველებელი სურათი ქარმა ჩამოხია და შეატრიალა.

ამ სტრიქონების ავტორს ეს ამბავი ცუდად ენიშნა.

რაც შეეხება სტუმარს, ქარის ოინბაზობა მანაც შეამჩნია, მაგრამ სერიოზული მნიშვნელობა არ მიუცია.

ეგ იყო მხოლოდ, საჩუქრებით გატენილ თვითმ-ფრინავში რომ ჯდებოდა, თანაშემწეს გადაულაპარაკა:

— კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა ცხოვრობდნენ მუდამ ქართველები ასეთ ძვირფას ადგილებში. შეიძლება ერი სანატორიუმულ პირობებში იყოს სულ? იქნებ ვიფიქროთ იმაზეც, რომ მორიგეობით იცხოვროს საბჭოთა ხალხმა კავკასიაში. ა, რას იტყვი შენ?

თანაშემწეს რა უნდა ეთქვა.

1964

ჩემის მხრივ, გულისწყვეტას გამოვთქვამ, რომ დიდ ქართველს, საქვეყნოდ ცნობილ კეთილშობილ ადამიანს, ჭეშმარიტად სახელოვან და ღირსეულ კაცს - ბატონ რევაზ მიშველაძეს, როგორც ყველა მამულიშვილი, უდიდეს პატივს ვცემდი, ვადევნებდი თვალს სათანადოდ, მაგრამ უშუალოდ პირადად ახლოს არ ვიცნობდი. მიუხედავად იმისა, ჩემის მხრივ იგი ვალდებულებას წარმოადგენდა და ბევრი საერთო ნაცნობი და მეგობარი გვყავს. ამის დასაძლევად დამიდგა დრო და 2023 წლის 11 ნოემბერს, მოხდა ჩვენი შეხვედრა - მისივე პირად გარემოში. გულახდილად ვისაუბ-

რეთ სხვადასხვა მნიშვნელოვან თემებზე და გულთბილად დავშორდით ერთმანეთს. ამ მოკლე ურთიერთობით, მე ვიხილე საოცრად ზრდილი, დარბაისელი და მაგალითის მომცემი, საინტერესოდ მოსაუბრე ადამიანი, რომელმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ბედნიერად ვთვლი თავს და ამ ფაქტით მუდამ ვიამაყებ ცხოვრებაში.

თავს ვაძლევ უფლებას, რომ ჩემს მორიგ გამოსაცემ წიგნში - "მწვერვალი", გამოვაქვეყნო კლასიკოსი მწერლისადმი ჩემგან მიძღვნილი მოკრძალებული ერთი ლექსი, რომელიც საინტერესო უნდა გახდეს ჩემი მკითხველისათვის:

სახალხო მწერალს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს - ბატონ რევაზ მიშველაძეს

ამაყად დგომამ დიდება მისცა,
საქვეყნოდ გახდა ცნობილი,
არ უყვარს უკან დახევა,
არ მოსწონს დიდი ლოდინი.

პირდაპირ ამბობს სათქმელს ყველასთვის,
არ თმობს, არ მალავს - რაც უნდა ითქვას,
ამხელს მანკიერს და მიუღებელს,
მისი კალამიც ... წმინდად აღიქვამს.

ბევრსაც ეცადნენ ვერ შეაჩერეს,
კლასიკოს მწერალს - როგორც უხდება,
ერისთვის შექმნა დიდი საუნჯე,
წაკითხვა უნდა ... ნუ გვავიწყდება.

მწვერვალი

საყვარელ კუთხეს წიგნები მისცა,
ასი კი არა - ათასობითაც,
მსგავსი ნაბიჯი არვისგან ახსოვთ,
მწერალი იყოს... ან, ვინმე - გინდაც.

სამშობლოს აღმასვლისათვის,
სირთულის გზებით იარა,
პირმშო ათხაზეთს რომ შეეწირა,
მძიმე ტრამვები გამოიარა.

ღმერთმა დალოცოს - გააძლიეროს,
მწერალთ სამყაროს ძლიერი ბურჯი,
კვლავაც იპყრობდეს მწვერვალებს,
მისი ცა იყოს მუდმივად ლურჯი.

2024

(ავტორი)

მაყვალა გონაშვილი

დაიბადა 1959 წლის 1 მარტს, სოფ. არბოშიკში (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი). 1981 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, მუშაობდა ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციაში. 1990 წელს დააფუძნა ახალგაზრდა მწერალთა ასოციაცია „გულანი“. რედაქტორობდა 1995 წელს დაარსებულ ინგლისურენოვან შემეცნებით-გასართობ საყმაწვილო გაზეთს „ჰელოუ, ბეიბი“. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი. 2004 წელს აირჩიეს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ.

ქართველი პოეტის, ქალბატონ მაყვალა გონაშვილის პირველი ლექსები და მინიატიურები 1968 წლიდან იბეჭდებოდა საყმაწვილო ჟურნალ-გაზეთებში („ნორჩი ლენინელი“, „პიონერი“), გამოქვეყნებული აქვს კრებულები: „ყაყაჩოების კოცონი“ (1985), “მზის ცრემლი“ (1987), „მე თქვენ მიყვარხართ“ (1990), „სალოცავი ჩემი, საფიცარი ჩემი“ (1994), „სახეები და სახელები“ (1999), „ძახილი“ (2001),), „გუმბათებიდან მზის მადლი ჟონავს“

(2003), „მართალს ვიტყვი“ (2006), „აქედანა და თქვენამდე“ (2009), „მზე შინა“ (2010) და სხვ. გამოცემული აქვს საბავშვო წიგნები: „კიჭას საოცარი თავგადასავალი“ (1987), „კუდიანი ვარსკვლავის სამეფოში“ (1991), „მე პატარა ქართველი ვარ“ (1992), „გოჭი კიკის საოცარი თავგადასავალი“ (2006). გონაშვილის ლექსები თარგმნილია უცხო ენებზე.

2008 წელს მაყვალა გონაშვილს მიენიჭა ანა კალანდაძის, 2010 წელს – ილია ჭავჭავაძის, ხოლო 2021 წელს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიები.

გასულ უახლოეს პერიოდში, ერის მოძულე ადამიანების უგნური გადაწყვეტილებით, საქართველოს მწერალთა კავშირის არსებობა-არარსებობის შესახებ დატეხილი მძვინვარე ქარიშხლის შემდეგ, დღეს, რომ ქართველ ერს მისი კვლავ ფეხზე დგომა შემორჩა, იგი მრავალ გვერდში მდგომ ადამიანებთან ერთად - წლების მანძილზე კავშირის უცვლელი ხელმძღვანელის, ქალბატონ მაყვალა გონაშვილის უდიდესი დამსახურების შედეგია და ასეთი ღვაწლისათვის ამ ბრწყინვალე ადამიანს, ჩვენი ქვეყნის ყველა ღირსეული წარმომადგენელისაგან დამსახურებული გულითადი მადლობა ეკუთვნის.

უფალი იცავდეს ქალბატონ მაყვალას, მუდმივად ხელი შეუწყოს ეროვნული საქმის კეთება - გაგრძელებაში და პირადი წარმატებების მოპოვებაში.

(ავტორი)

ამასთან, თავს ვთვლი ვალდებულად, რომ მკითხველს დამატებით წარმოვუდგინო ქალბატონ მაყვალას საუკეთესო ლექსებიდან გარკვეული ნაწილი:

სიტყვის „საწოვარა"

მე არც „გრუზია" მინდა ვიყო და არც „ჯორჯია"
ჩემი სამშობლო, ჩემი მიწა ერთი გოჯია,
აქ თითო კენჭი ჩემი სისხლით დაწინწკლულია,
ასე რომ ბორგავს ზღვა კი არა ჩემი გულია.
და რახანია შეხსნილი მაქვს მკერდზე იარა,
მომხვდურის ჩექმამ ამ მკერდზედაც გადაიარა.
გადაშლილია დედამიწა - დაფა ჭადრაკის,
ჭადრაკის ნაცვლად ყომარბაზი ნარდით ერთობა.
და პირდაფჩენილ ხალხის მასას, ვით საწოვარას
ტენიან სიტყვებს „სამართალი", „ხალხთა ერთობა",
„ადამიანთა უფლებები", „დემოკრატია"
სცენაზე ქოროდ ჩამომდგარა ათი პარტია.
მთავარ როლისთვის ლიდერები შებმიან ერთურთს,
ტაკიმასხარა ტანზე ირგებს გმირის მანტიას.
ტირის ქალწული, ქორწილამდე დაქვრივებული,
ბავშვებს აცვიათ მეორადი ტანზე ჭინჭები
და ვირტუალურ სამყაროში სიკვდილის ჩრდილებს
სიცოცხლის ფასად ამარცხებენ ჩვენი ბიჭები.
ჩემი სიმცირით მამცირებენ, ჩემი სიკეთით,
პოლიტიკას კი საძაგელი სუნი აქვს შმორის.
ვდგავარ დაღლილი სიმართლის და სიცრუის კართან
და ვეძებ საზღვარს სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის.

ღმერთო, შენ მიხსნი, კიდევ... ჩემი ძველი ფესვები,
მე რა გამტეხავს, სანამ ჩემი ზეცა მახურავს.
როგორ ვასმინო მე სიმღერა ბრძნული, ქართული,
კაცობრიობას, გადაქცეულს ფულის მსახურად:
მე ვერც მომხდურმა და ვერც მოძმემ გრანტიჭამიამ
ვერ დამავიწყა წინაპართა ადათ-წესია,
ბევრჯერ ვყოფილვარ, უწყის ღმერთმა ამ დღეში, მაგრამ,
„მაინც ვიცინი, ერთხელაც არ დამიკვნესია“.

ფერიცვალება

ეძებდნენ ერთ-ურთს, ვით გამართლებას,
ღმერთი და კაცი, კაცი და ღმერთი,
მე კი დაჭრილი ფრთები მეჭირა,
თქვენ რომ მარაო გეგონათ თეთრი.
მე არც კი მახსოვს, როგორ შემაჭრეს
ფრთები და ზეცის კარი დამიხშვეს,
ჯერ ამიხილეს თვალები, მერე
ზეცის ეკლიან მკერდზე გამიშვეს.
და მიწა, როგორც დაღლილი კაცი,
ჩემგან ითხოვდა შველას და ალერსს,
ხან მიწყრებოდა სულ უმიზეზოდ,
ხან მპირდებოდა ზურმუხტს და ლალებს.
ეჭვიანობდა უზომოდ ქარზე,
ხანაც მიგებდა ფეხთ იის ნოხებს,
მე ვიცი, თუკი ერთხელ დავეცი
ანდა დავხარბდი, გულს მოიოხებს.

ზეცა ხარხარით და მუქ-ლურჯ თაღებს
შეზარავს ჩემი ქალთან მსგავსება,
მუხლი სუსტი და თვალები ხარბი
და წამიერი ვნებით ავსება.
ნუთუ არ იცის ცამ ყოვლისმცოდნემ
ფერიცვალება რისი ბრალია,
რომ ფრთებდაჭრილი და თვალხილული
თვით ანგელოსიც სუსტი ქალია.
ეძებდნენ ერთ-ურთს, ვით გამართლება
ღმერთი და კაცი, კაცი და ღმერთი,
მე კი დაჭრილი ფრთები მეჭირა,
თქვენ რომ მარაო გეგონათ თეთრი.

სამების კართან

ნ. ხერკელაძეს

უკვე მოვედით სამების კართან,
უკვე ავლიეთ მთები ალევის,
და უმიზეზოდ ვარ სევდიანი,
როგორც სიზმარში ნამტირალევი.
რას არ გაუძლო ტაძარმა დღემდე,
რა წვიმებს, ელვას, ღმერთო, რა ქარებს,
ისე ლამაზი არის ყოველი,
ლამის ელდისგან აქვე გავქვავდე.
შენ მეკითხები, რად ვარ მოწყენით,
აჰა, დღეობა, ცხენით ჯირითი,
მთები გვირილით მოგვირისტული
და საცალფეხო ცისკენ ბილიკი.

მაინც გულს დარდი რად მიღრღნის ასე,
რატომ არა ვარ დღეს ბედნიერი?
ტრადიციების ძველ ნასუფრალზე
რად ილხენს ჩემი დაღლილი ერი?
რას მეტყვი, ძმაო, რით მანუგეშებ?
რის მაქნისია სიტყვა ლიტონი,
ვერც აქ ვიპოვე, ამ სამოთხეში
ამ ჩემი სულის პარაკლიტონი.
დრო იყო ამ მთებს, ამ გზებს, ამ ტაძარს
სულ სხვანაირი შუქი ებურა,
და ხევისბერიც, სოფლის ნამუსი,
შენს ფერ-ტილოზე გაქვავებულა.
სად არის ის გზა, ჩვენ რომ გავკვალავთ?
ფუჭ ფაცი-ფუცში გადის ცხოვრება.
რას ვეტყვით შვილებს ჩვენს გმირობაზე?
გვეყო წარსულით თავმოწონება.
ვინ უნდა გასცეს კითხვას პასუხი?
ერის ტკივილი ვინ დაიტიროს,
ჰო, დიდი საქმე, ხვალ მე ლექსს დავწერ,
შენ ფერადებით მოხატავ ტილოს.
და საკუთარი საქმით და ფიქრით,
ჩვენც დავყუჩდებით და დავმშვიდდებით,
და გაგვიტაცებს ქალაქი თავის
ღღეობებით და პანაშვიდებით...
დაგვავიწყდება, რომ უნდა ვიყოთ
ჩვენი თავის და ფიქრის უფალი,
ჩვენს მიტოვებულ სოფლებს დაივლის
ქარი _ ერთგული ჭირისუფალი.

ჩვენი მწერალთა სამყარო

ნინო უძილაური

ვაჟას მოდგმის ფშაველი პოეტი, ნინო უძილაური, დაიბადა ილიას სამშობლოში, ქ. ყვარელში, სადაც საშუალო სკოლა წარმატებით დაამთავრა და უმაღლეს განათლებას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე ეზიარა. იგი პროფესიით მშენებელ-ინჟინერ-პედაგოგია.

ნინო უძილაური საქართველოს მწერალთა კავშირისა და ამ კავშირის გამგეობის წევრია; აგრეთვე მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „გულანი“-ს ნამდვილი წევრი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, საერო-სამეცნიერო საერთაშორისო აკადემია „ფაზისის“ აკადემიკოსი.

იგი მრავალი პრემიისა და ჯილდოს ლაურეატია. მისი პოეტური კრებულებია:

1. „ლექსები“;
2. „მე ფშავლის ქალი“;
3. „მარადისი“;
4. „მე, შენ, ის...“.

სახელოვან და ღირსეულ პოეტს, ქალბატონ - ნინო უძილაურს ვიცნობ ქართველ მწერალთა დიდი სამყაროდან.

წარმოგიდგენთ მისდამი შექმნილ ჩემს მოკრძალე-ბულ ლექსს:

ნინო უძილაურს

ვაჟას მოდგმის ხარ ფშაველო,
დაბადებულხარ ყვარელში,
პოეტობის გზა ირჩიე,
ილიას - არე-მარეში.

ფშაველის ქალი -მაღალი,
ბრწყინვალების გზით მარები,
ღირსეულადაც შეაღო,
მწერალთა სახლის კარები.

უამრავ ლექსის ავტორო,
გერგუნა ჯილდო მრავალი,
მხარში უდგახარ მოკეთეს,
გზა დაგელოცოს სავალი.

(ავტორი)

ნება მიბოძეთ, ქალბატონ ნინოს საუკეთესო შემოქ-მედებიდან წარმოგიდგინოთ რამოდენიმე ლექსი. დარწმუნებული ვარ, მისი კიდევ ერთხელ გადახედვა

დიდად მოხიბლავს მკითხველს:

მზე ილიასი

გაანათა საქართველო, მზემ, ილიას გულიდან,
ამოხეთქა სიყვარულმა ზეციერის უბიდან,
მხოლოდ ერთი სხივი იწვა დედამიწის გულ-მკერდზე
და იმ ერთი სხივით წერდა სულნათელი ერ-ბერზე.

უკვდავებამ აქ დახატა სიყვარულის პორტრეტი,
საქართველომ აამღერა ვერ ნამღერი სონეტი,
განმეორდა საუკუნის დროდ ქცეული მისია,
ჯერ ზვარაკად შეწირული, დღეს დიდების ღირსია.

მზე აენთო სატრფიალოდ მშობლიური ცის კარზე,
თან სხივები ათამაშა უღმერთობის მიჯნაზე,
კალამს ცრემლი დასდიოდა და მგოსანთა ენაზე,
იქმნებოდა ბრძენი სიტყვა საქართველოს მიწაზე.

დრო არ დაგვინდობს

ზოგისთვის სწრაფად გარბის დრო,
ზოგისთვის მიიზლაზნება,
ეს უცნაური სამყარო,
სიზმრის ავ-კარგი ზმანება,

საიდან მოდის, საღ მიდის,
სად უცნაურად ზვავდება,
სიტყვა და ნაამაგარი,
ცოდვად და მადლად ზღვავდება,
ვერასდროს მივხვდი ამ ქვეყნად,
ვინ ვისთან რატომ ზავდება,
ერთს ვიტყვი...დრო არ დაგვინდობს,
სადაც სურს, იქ დამთავრდება.

დედობის ზღუდე

გათენებულ დღეს ჰქვია სიცოცხლე,
ცხოვრება ღირდა სწორედ ამ დღისთვის,
ქვეყნად მე მხოლოდ შენთვის ვიცოცხლებ,
მზეს ჩამოგიყვან შენი ბაღისთვის.

უსაზღვრო გრძნობამ უხილავ ფორმით,
ისევ ჩემს გულში აგიგო ბუდე,
მე ვლამაზდები შენს გვერდით დგომით
და მაძლიერებს დედობის ზღუდე.

გამიფერადე ეს სიყვარული,
ღიმილით ვითვლი წუთებს და წამებს,
როდესაც თვალებს დაფარავს რული,
ცრემლად შევრჩები მაგ შენ წამწამებს.

ფიქრი დამესხა

ფიქრი დამესხა თავს,
ფიქრი გუშინდელ დღის,
ეს ღამე სიკვდილს ჰგავს,
სიცოცხლე მძებნელს გზის.

სახლის იშლება ყორე,
ქვებით ნაშენი მთის,
სული ვიბრალო თორემ,
ცრემლი ისედაც მდის.

ფიქრი დამესხა ავი,
არგათენებულ დღის,
ღამე ჩამოდგა შავი,
სხივი ჩამუქდა მზის.

დეზდემონა (დეზი) ემანულიძე

დაიბადა ქ. ბორჯომში. გაიზარდა დედულეთში, დიდი იაკობ გოგებაშვილის სოფელ ვარიანში - ბებიასთან და პაპასთან. სკოლაში სწავლობდა წარჩინებით, უყვარდა წიგნების კითხვა. ბავშვობიდან აქტიურად იყო ჩაბმული ლიტერატურულ კონკურსებში, სადაც ხშირად აღწევდა წარმატებას, იღებდა სიგელებს და მედლებს. სკოლის წლებში იყო თეატრალური სტუდიის, მუსიკალური და ცეკვის სკოლის მოსწავლე.

სკოლის დამთავრების შემდეგ ჩააბარა სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა წარჩინებით და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია, სამართალმცოდნის სპეციალობით. აქვს სერტიფიცირება ზოგადი ფსიქოლოგიის მიმართულებით. არის კოლხეთის აკადემიის წევრი. გააჩნია სამსახურეობრივი გამოცდილება მოსამართლის და გამომძიებლის თანაშემწის საქმიანობაში. უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად იყო ასისტენტი სამართლის კურსზე, შემდეგ კი ლექციების ჩატარების კუთხით ჰყავდა სალექციო კურსის სტუდენტები. აქვს პედაგოგიური გამოცდილება როგორც

სამართალმცოდნეობის, ისე ფილოლოგიური (ქართული ენა და ლიტერატურა) მიმართულებით. ჰყავს მოსწავლეები, სტუდენტები და აბიტურიენტები.

ქალბატონ დეზის ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. მიაჩნია რომ ყველზე დიდი ჯილდო და მადალი მისთვის დედობაა, რომელიც ყველაფერზე წმინდა და სანუკვარია სიცოცხლისათვის.

იგი წერს ლექსებს, მოთხრობებს, აკეთებს მინიატურულ ჩანახატებს. სიყვარულია მისთვის სიცოცხლის სითბო, ძალაა მზისებრ სადაროდ მასში ღვთისაგან ბოძებული. მადლობს უფალს, რომ თავის ხატებად მოავლინა, სანთლად აანთო იმ დიდი ტაძრისა, რომელსაც ადამიანი ჰქვია.

ქალბატონი დეზი გახლავთ რანდენიმე პოეტური კრებულის თანაავტორი. მისი ლექსები შესულია "ლექსის აკვნის "-ის 8 ტომში, ‘’21-ე საუკუნის ქართული პოეზიის” - 3 ტომში, ცალკეულ ტომეულებში: ”სამშობლოვ - ჩემო", "ბავშვობავ ჩემო", "სიყვარულის ასი ლექსი", "ჩემო ძვირფასო". ასევე მისი ლექსები შეტანილია უკრაინისადმი მიძღვნილ წიგნში "ჩემო უკრაინა". განსაკუთრებით სიამაყით აღნიშნავს, რომ მისი ნაშრომები იბეჭდება ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილური აკადემიის მიერ გამოცემულ ანთოლოგიის კრებულში და ჟურნალ "ათინათში". მისი ლექსები დაიბეჭდა შოვში დატრიალებული ტრაგედიისადმი მიძღვნილ წიგნში „საქართველოს სტკივა შოვი და ვერე...”

მისი ლექსები თარგმნილია რუსულ, ინგლისურ და უკრაინულ ენებზე. მის ლექსებზე დაწერილია მუსიკა, რო-

მელზეც შესრულებულია ასევე სიმღერები.

არის "პერსონა 2022"-ის დაჯილდოებული - "ლიტერატურაში შეტანილი წვლილისათვის, "რეფორმა-TV" - ის დაჯილდოებული და "საქართველოში ქალის ღირსების სახე"- ს ჯილდოს მფლობელი.

ამ კეთილშობილი პიროვნებისათვის, რომელსაც ყოველთვის თავადაც აღნიშნავს - ყველაზე დიდი ჯილდო და ღირსება ადამიანობაა, რომელიც გულის სითბოთი და გონების განმსჭვალულობით, სურს მიიტანოს ხალხთან, სიყვარულისა და კეთილშობილების სიმბოლოდ, ლოცვად მეგობრობისა და ერთგულებად ადამიანური ღირსებისა.

აღნიშნულით, უკვე ყველაფერია ნათქვამი, მის საინტერესო შემოქმედებასთან ერთად, თუ რას წარმოადგენს ჩვენი სახელოვანი ქალბატონი.

(ავტორი)

ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ ქალბატონ დეზისადმი ჩემგან მიძღვნილი ლექსი

* * *

{სახელოვან პოეტს - დეზი ემანულიძეს}

სახეზეა აზროვნება -
საოცარი იერი ...
ღმერთმა გვიბოძა არსება,
კეთილი გულისხმიერი.

მოჭარბებული მორწმუნე -
მდიდარი სულით ძლიერი,
ღრმად ხედავს ირგვლივ სამყაროს,
მდგრადი და სინდისიერი.

მრავალს იზიდავს შემოქმედებით,
არსებობს დიდი მიზნებით,
კალამი უჭრის ბრწყინვალედ,
ამაყი არის - დადის დიდებით.

ეხმიანება თაობის აღზრდას,
თავს არ იშურებს... მისი წესია,
ნეტავ ვინ შესძლებს დათვალოს,
რაც, რომ სიკეთე დაუთესია.

დეზის... შვილია - ვინც კი აღზარდა,
მწვერვალს აშენებს შედეევრებისა,
არ ელოდება უკუშედეგებს,
კმაყოფილია მისი ბედისა.

ჩანს აღიზარდა - კეთილ ოჯახში,
სახეზე არის მართლაც შედეგი,
ღმერთო დალოცე - გაუძლიერე ...
მის სამყაროში არის !!! შემდეგი.

2023

ასევე, წარმოგიდგენთ პოეტი ქალბატონის დეზი ემანულიძის ნაწილ ლექსებს და ვფიქრობ, რომ მათი გაცნობა მკითხველისათვის დიდი სიამოვნების მიმნიჭებელი გახდება

თავისუფლება - საქართველოა !!

სამშობლოს ტკივილს გული დაუსერავს,
მის ბედნიერებისთვის მინდა რომ ვდუღდე,
თავისუფლებისთვის ბრძოლაში დაჭრილს
სიცოცხლის ყიჟინა მინდა რომ ქუხდეს.

"სამშობლო, ჩემი გულის ფეთქვაა"
შვილი ვარ, ჩემი ქართულ მთა - ბარის,
მტკივა, აფხაზეთს ფრთა - მოტეხილი,
ენგურს ვესწრაფვი შეკვრას კამარის.

ელგუჯა ადეიშვილი

სამეგრელოში იარებს ვილბობ,
ფსოუს წყალს შევსვამ გულდაკოდილი,
თავისუფლების სიცოცხლით მებრძოლს,
ღრმად მაქვს ფესვები მე დაკოჟრილი.

გურიის მთებში ქრიან ცხენები,
ბახმაროს სუნთქვით გულანთებულნი,
საწერეთლოში ჩანგურს დავმღერი,
სამურზაყანოს სხივანთებული.

ვდგავარ იმერეთს, მაღლობზე გორას,
შორს, დარდით გავცქერ მარუხის ტეხილს,
ტკივილით ვიწმენდ კოდორის ცრემლებს,
ვეღარ ვერევი ფიქრებს ატეხილს.

საქართველოზე გული მიტირის,
გული, ბედიის ტაძარში ფეთქავს
ხმაღაღადისით, უფალთან ჩოქვით
მოქვის მონასტერს მსურს ლოცვა მეთქვა.

აქ, სამაჩაბლო მისველებს თვალებს,
ლიახვს ჩამოაქვს ცოდვის ცრემლები,
სისხლმა შეღება წვერიახოს მთა
ყველას დასერილ გულს ვეფერები.

გმინავს, ტკივილის ხმა უდრტვინველად,
მტერს რომ უმღერდნენ გმირულ "შავლეგოს"
ანწუხელიძის ამაყ, ქართულ სულს ვფიცავ,
სიკვდილს, სიცოცხლე რომ შევაგებოთ!!

თავისუფლება - ჩვენი სუნთქვაა,
ტანჯვა ვერ მოგვკლავს, მტერი ვერ დაგვცემს,
თავისუფლება - საქართველოა!!
ქართველებს ვერვინ რომ ვერ წაგვართმევს!!

მე, სიყვარული მომიყვანს შენთან

მინდა გიყვარდე გრძნობად გულისა,
ვთრთოდე შენს გულში ვითა ღიღილო,
ცას შემიბოჭო მზისა სხივები,
დღენი სიცოცხლის გამიღიმილო.

მინდა გიყვარდე ვნების ალერსით,
ვითა ვაჟკაცის გულსა სჩვევია,
მინდა ვიხაროთ იმ ნაკვალევით,
ჩვენს განვლილ გზებზე რომ ამჩნევია.

მინდა ლექსებით ქარგავდე ზეცას,
ვნებით მომიყვე ზღაპარი წმინდა,
მინდა, მიმღერო ქარის ნანინა,
შენგან დუმილიც მეტყველად მინდა .

მიჯნურ - გვირგვინი დამადგა ტრფობის,
ვნების ფიალით მასვა ზედაშე,
ცოდვის აალდეს სარეცელს ცრემლი,
ლოცვად ვეტრფოდეთ ერთურთს მე და შენ.

მინდა, კაწრავდეს სულსა გოდება,
გამიჯნურებულ ამოძახილის,
რწმენით მჯეროდეს მე, შენი ფიცი,
ცას ექოდ ქუხდეს ტრფობის ძახილი.

მინდა მაწვიმო სიამე ურვად,
კოცნით შემიშრო სველი თვალები,
გტკიოდეს მუდამ ნეკნის იარა,
სხეულს აენთოს ცეცხლის ალები.

მინდა, გიყვარდე გრძნობად გულისა,
სიყვარულისა იდგას ნამქერი,
მე, სიყვარული მომიყვანს შენთან,
დამწვავს ვით ღვთიურ ტრფობის სანთელი.

ლალი ჩხეიძე

მედიკოსი, პოეტი დაიბადა 1958 წლის 30 ნოემბერს, ქ. თბილისში. 1975 წ. დაამთავრა თბილისის 123-ე საშუალო სკოლა, წარჩინებით. იმავე წელს ჩააბარა სამედიცინო სასწავლებელში, რომელიც 1977 წელს დაამთავრა წითელ დიპლომზე. მუშაობა დაიწყო თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს ენდოკრინოლოგიურ განყოფილებაში.

1978 წელს დატოვა საქართველო, გაემგზავრა ყაზახეთის ქ. ცელინოგრადში (ამჟამად ასტანა) სამედიცინო ინსტიტუტში ჩასაბარებლად. სწავლასთან ერთად მუშაობდა სამშობიაროში...

ამჟამად ცხოვრობს ყაზახეთის ახალ დედაქალაქში - ასტანაში.

“ორმოცი წელი მოწყვეტილი სამშობლოს ფესვებს, მინდა ვიცოდე ნეტავ სად იქნება მე და სიყვარულის ბოლო ნავსაყუდი...

მინდა ჩავაბარო წარსულს გზა გავლილი და დავიწყებას მივცე ყველაფერი..." - წერს ლალი ჩხეიძე...

წარმატებები ღირსეულ ქალატონს!

(ავტორი)

წარმოგიდგენთ ქალბატონ ლალის ლექსებიდან რამდენიმეს:

* * *

სიყვარულო, ნახე დღესაც გაწვიმდა...
უშენობით გული როგორ დამძიმდა...
არ გეგონოს გულში გრძნობა გაცივდა,
სიყვარულო, დარდი ცრემლად გაწვიმდა...

დამიჯერე, ჩემთვის თეთრი ვარდი ხარ.
სილამაზე დაგიჩრდილავს რა გითხრა?
დღესაც ისევ დარდიმანდი კაცი ვარ...
ქალღმერთად გცან.
გული როგორ ამტკივდა...

შენ ჩემს გვერდით? ილუზია არ მინდა...
ჩემს ფიქრებში თეთნულდი და ვაზი ხარ...
შემიყვარებ? მეცხრე ცაზე ამიყვან.
მე უშენოდ ,,გადაჭრილი ვაზი ვარ."

6.09.2022წ.

* * *

დარდმა ფიქრებს გზა გაუხსნა.
გაგიხსენე გული ჩამწყდა.
დარდიმანდი შენი სული,
სამოთხეში ხეხილს სხლავდა.

თვალში ცრემლი დაიბადა.
ძინ, ლარნაკი გაიბზარა.
ის ლარნაკი გაზაფხულზე
იის კონას რომ იკრავდა.

ძინ, ლარნაკი გაიბზარა.
გამხმარ იის თვალში ცრემლი
დაიბადა, დაიბადა.
გაგიხსენე გული ჩამწყდა.

14.08.2022წ.

* * *

როდესაც ჩემს სახლთან მოხვედი,
თვალს არ გაცილებდი სარკმლიდან.
იდექი.
გულს დარდი შეეხო,
ლოდივით დამძიმდა, გაწვიმდა...
გელოდი...
ლოდინმა დამღალა,
ო, როგორ დამღალა, რა გითხრა?!
მწყუროდი.
ალერსი მწყუროდა.
თვალები ცრემლებმა დანამა.
წახვედი, გული წაიყოლე.
ცრემლების ზღვა დამრჩა, ზღვა დამრჩა.

20.02.2022წ.

ვალიკო კაკაურიძე (მიმინო)



დაიბადა თბილისში 1959 წლის 18 დეკემბერს (წმინდა საბას ხსენების დღეს) დედ-მამის - ლამარა ფოცხვერიას და გურამ კაკაურიძის ოჯახში. ჰყავს ერთი ძმა და ორი და. შექმნილი აქვს ოჯახი - ჰყავს ქალ-ვაჟი და სამი შვილიშ-ვილი. (მისივე რწმენით მფარ-ველობს წმინდანები- ბარბარე და ნიკოლოზი). წარმოშობით იმერელია, ზესტაფონი - პირველი სვირიდან. დაამთავრა თბილისის 57-ე საშუალო სკოლა. გააჩნია უმაღლესი განათლება - დაამთავრა საქარ-თველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, პროფესიით მანქანათმშენებელ-ინჟინერი.

ჩაბმულია ლიტერატურულ საქმიანობაში, გამოცემული აქვს ორი კრებული. წიგნი პირველი და წიგნი მეორე - "ლექსად ნათქვამი ამბები". ასევე არის შვიდი სხვადასხვა წიგნის თანავტორი.

აქტიური წერა და ლექსების გამოქვეყნება დაიწყო 2020 წლიდან. ჩამოაყალიბა საქველმოქმედო შემოქმედთა საზოგადოება "მიმინო" და ამ საზოგადოების სახელით გამოცემული აქვს ორი საქველმოქმედო კრებული: "ჩემი სამშობლო" და "საქართველოს სტკივა შოვი და ვერე".

ლექსი ყოველთვის უყვარდა - მოკლე და გარითმული. ბავშვობაში მეგობრებს დაბადების დღეებზე უძღვნიდა ლექსებს. როგორც თავად ამბობს, მისი დედა ქალბატონი ლამარა ფოჩხვერიაც წერდა ლექსებს (სამწუხაროდ მისი ჩანაწერები დაკარგულია). დედის საპატივცემულოდ გადაწყვეტილი აქვს საკუთარი ლექსების კრებულის სახით გამოცემა.

ბატონი ვალიკო გახლავთ მწერალთა კავშირის წევრი. 2023 წელს იგი დაჯილდოვდა ქართული კულტურის ქომაგის წოდებით, ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის და ქართული მწერლობის თანადგომისთვის.

ამ შესანიშნავ და საინტერესო ადამიანს ვიცნობ მისი სამწერლო ასპარეზზე გამოჩენიდან, მათ შორის წიგნიდან „ჩემი სამშობლო“ (პატრიოტული ლირიკა, რედაქტორი - მანანა გორგიშვილი), სადაც შეტანილია ასი პოეტის ლექსი საქვეყნოდ ცნობილი პოეტებისა, როგორიცაა: მაყვალა გონაშვილი, ერეკლე საღლიანი, ბაღათერ არაბული, თემურ ჩალაბაშვილი და სხვები - მათ შორის თქვენი მონა- მორჩილისაც...

(ავტორი)

ამასთან, დიდი სიამოვნებით წარმოგიდგეთ ბატონ ვალიკო კაკაურიძის (მიმინო) რამოდენიმე ლექსს, რაც ჩემი აზრით მკითხველისათვის საინტერესო იქნება:

მე და ჩვენ

დავიბადე ვერაზე,
ვიზრდებოდი ვაკეში,
კოჭობანა ვისწავლე,
ჩემი უბნის ბიჭებში.

ბიჭი ვიყავ ხუჭუჭა,
ყველა უბანს ვიცნობდი,
ვაკელების ღირსებას,
ვაკის პარკში ვიცავდი.

ოპერის წინ საათთან,
ძმები ვიკრიბებოდით,
დარიალის სარდაფში,
კოლორიტებს ვხვდებოდით.

ნაღდი თბილისელები,
თბილისურად ვცხოვრობდით,
განა ღვინით, ან არყით...
სიყვარულით ვთვრებოდით!

2023წ.

ადამის მოდგმავ!

ადამიანის ბუნება ამინდს ჰგავს, ასე მგონია,
პაპანაქება სიცხეში ხანდახან წვიმის ომია.
ზეცას შეხედავ, რას ხედავ? ცად ცისარტყელა ხამ-ჰურობს,
წვიმის წვეთები ჯერ კიდევ ხის ტოტებიდან წკაპუნობს.

ადამის მოდგმა, ბუნება, დაუნდობელი სულია,
მლაშე წვეთებად იღვრება, ღაწვებზე წვიმის სუნია.
ძმათა გულები დამშრალა, შეუბრალებლად ორგულობს,
ბოღმა და გაუტანლობა, შთამომავლობად ორსულობს.

2023 წ.

ალალად

ცხოვრებაში მუდამ ხელგაშლილი ვარ,
გულში მყავხართ სუყველანი, ჭირიმე,
არასოდეს მშურებია არვისა,
არასოდეს არაფერზე ვტირი მე.

დრო მოვა და ამ ქვეყნიდან რომ წავალ,
მინდა, მწვანედ ბიბინებდეს ველები,
მაკედონელს სიტყვას დავესესხები,
„სასახლიდან მომიჩანდეს ხელები!“

12.09.2023წ.

ნინო როსტიაშვილი (ნერუ)

დაიბადა ქ. თბილისში 1971 წლის 17 დეკემბერს (ბარბარობას), სახელოვანი მშობლების (მამა- დურმიშხან როსტიაშვილი, დედა- სოფიო ცინდელიანი) ოჯახში.

ნინო როსტიაშვილმა დაამთავრა ქ. თბილისის 159-ე საშუალო სკოლა. ფიზიკური კულტურის ტექ-ნიკუმი, ფიზიკური კულტურის აკადემია და სამედიცინო ტექნიკუმის- სამკურნალო ფაკულტეტი. 30-წლიანი უწყვეტი სტაჟით მუშაობს ახალშობილთა მასაჟისტ-მეთოდისტად.

სხვადასხვა დროს საქმიანობდა: მეთოდისტ-რეაბიტოლოგად - ქ. თბილისის სახელმწიფო სარეაბილიტაციო ცენტრიში (1990-1991წ); მასწავლებლად- ქ.თბილისის მე-2-ე ექსპერიმენტალურ -(1991-1995წ); ანაგის (1995-1998წ); თბილისის 154-ე საჯარო სკოლებში- (1998-2009წ). მედდად ჩაჩავას სახელობის სამეანო-კვლევით ინსტიტუტიში (2003-2009წ).

როგორც თავად აღნიშნავს, პოეზიის სიყვარული ბავშვობიდან გაუღვივდა და თავიდანვე დაიწყო ბავშვური განცდების ლექსად გადმოცემა. საუბარს ლექსის წერას ამჯობინებს. ხშირად საჭესთან "მსტუმრობსო მუზა" და შუქნიშანთანაც კი ჩაუნიშნია ლექსები.

გაგვანდო და გვითხრა, რომ მის მიერ გამოსაცემ მესა-მე კრებულს ერქმევა „ლექსები შუქნიშანთან" (წარმატება

ვუსურვოთ ავტ.) გამოცემული აქვს ლექსების ორი კრებული: „ანი, თბილისო და ჰოე, საქართველო“ და „თუ მეფობა გინდა, ადედოფლე ქალი“. ამასთან გახლავთ ოცამდე წიგნის თანაავტორი.

მის მიერ შექმნილი თოთხმეტი ლექსი ულამაზესად ააჟღერა კომპოზიტორმა მაია სიჭინავამ. ორი სატრფიალო ლექსი- ნატალია ჭელიძემ და სამი- გიული ერგემლიძემ.

ნინო როსტიაშვილი გახლავთ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი და საქველმოქმედო საზოგადოება “მიმინო”-ს თანადამაარსებელი, რომელიც ჩამოაყალიბა მისმა მეუღლემ, ვალიკო კაკაურიძემ. საზოგადოების სახელით გამოცემულია სამი კრებული: “ჩემი სამშობლო”, “საქართველოს სტკივა შოვი და ვერე” და “შეუცნობელია გზანი უფლისანი”.

ნინო როსტიაშვილი არის სპორტის ოსტატი აკრობატიკაში (ბილიკზე ხტომა), ასევე 1986 წლის საქართველოს ჩემპიონი.

ჰყავს მეუღლე და ერთი ქალიშვილი. მეუღლე-ვალიკო (მიმინო) კაკაურიძე გახლავთ პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.

სახელოვან ქალბატონს ნინო როსტიაშვილს და მის მეუღლეს ვალიკო კაკაურიძეს ვიცნობ მწერალთა კავშირიდან. იგი ამ საზოგადოებაში და მის წევრებში ითვლება როგორც ღირსეული და საპატიო ადამიანი. უდიდეს პატივს ვცემ მას და მის ოჯახს.

მისი მრავალი ლექსებიდან მკითხველს წარმოგიდგენთ მხოლოდ ორ ლექსს და მიმაჩნია, რომ აღნიშნულით კიდევ უფრო კარგად გაიცნობს ჩვენი ქვეყნის საზოგადოება

უფალო შემინდე...
„ვია დოლოროსა“

ღმერთო...
რამდენჯერ გისაყვედურე, რად არ მანიშნებ მეგობარს
მზაკვრალს,
არა და როგორ გადამავიწყდა, თვით მეგობარმა ამბორით
გაგცა.
ღმერთო...
რამდენჯერ გისაყვედურე, რატომ დაუშვი ჩემი დაცემა,
არა და როგორ გადამავიწყდა, გოლგოთის გზაზე სამჯერ
გაცემა.
ღმერთო...
რამდენჯერ გისაყვედურე, რად არ მარიდე ეკლიან გზასა,
არა და როგორ გადამავიწყდა, აღდგომამდეა .... „ვია
დოლოროსა“.
ღმერთო...
რამდენჯერ გისაყვედურე, რად არ შემოსე ყველა შიშველი,
არა და როგორ გადამავიწყდა, შემოგაფლითეთ ჩვენ
სამოსელი.
ღმერთო...
რამდენჯერ გისაყვედურე, რად არ აპურე ყველა მშიერი,

არა და როგორ გადამავიწყდა, წყალი გვთხოვე და ძმარი
გაპკურეთ.
ღმერთო...
რამდენჯერ გისაყვედურე, რატომ გამრავლდნენ ავაზაკები,
არა და როგორ გადამავიწყდა, რომ ბარაბაში თავად
გაგცვალეთ.
ღმერთო...
რამდენჯერ გისაყვედურე, დედა არ უნდა სტიროდეს აკვანს.
არა და როგორ გადამავიწყდა, თვით მარიამი სტიროდა
თვის ყმას.

2022

„დროშები ჩქარა"...

(გალა)

იყო დღეები არ მქონდა გროში,
ჭიქა ყავა და უხორცო ბორში,
ზამთარში მეცვა ზაფხულის ქოში
და დავდიოდი როგორც გავროში.
ქუჩაში იყო ჭორი, როშვები,
სკვერს ედებოდნენ, როგორც ბოშები,
რა საჭიროა თუნდაც გროშები,
თუ მეგობრები მყვანან ბროშები.

ჩქარა აღმართეთ ყველამ დროშები,
თავისუფლებას უფრო ვშორდები,
სულო გაუძელ, ნუ მეთოშები,
შენ იმოძრავე, ნუ გამშორდები.
გაკვირვებული, ნუ მაშტერდები,
თორემ იცოდე გამოშტერდები,
უკან დაგრჩება ნაძვის „როშები“,
როცა ცხოვრებას ჩამოშორდები.
უნავთო „ლამფა“, უშეშო ფეჩი,
ვირთხა სოროში, ლომები გვერდში,
გმირები ომში, ლაჩრები სხვენში,
აბა ცხოვრებავ დღეს მე რას გერჩი.
იყო დღეები არ მქონდა პური,
ქუჩაში იდგა ქაოსის სუნი,
სახლში მიმქონდა დაღლილი სული,
მაგრამ არასდროს წამსვლია გული.
მაშინაც იყო ბოღმა და შური,
მაშინაც ეცხოთ სახეზე მური,
ზოგი მუნი და ზოგი ამური,
ყველა ვიყავით, ცხოვრების მდგმური.

1999

თენგიზ ფანცულაია

თენგიზ (თენგო) რომანის-ძე ფანცულაია დაიბადა 1961 წლის 16 ოქტომბერს სამტრედიის რაიონის დაბა კულაშში, მშობლების: რომან ექვთიმეს-ძე ფანცულაიასა და დარეჯან აფრასიონის ასული დოლიძე-ფანცულაიას ოჯახში. ჰყავს მეუღლე-მარინა გილაური-ფანცულაია, 3 შვილი და 1 შვილიშვილი.

1978 წელს დაამთავრა სამტრედიის რაიონის სოფელ ნაბაკევის საშუალო სკოლა. 1978-79 წლებში მუშაობდა ქუთაისი საექსკურსიო ბიუროს, სამტრედიის ფილიალში ჯგუფის გამყოლის თანამდებობაზე. 1979-81 წლებში მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური -ზემდეგის ჩინით. 1979 წლის დეკემბრიდან 1983 წლის სექტემბრამდე პერიოდში გახლდათ ქ. ქუთაისის შსს 35-ე სპეცკომენდატურის პასუხისმგებელი მორიგის თანაშემწე და პასუხისმგებელი მორიგის მოვალეობის შემსრულებელი.

1983 წელს ჩაირიცხა და 1985 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. ბრიანსკის პოლიციის სპეციალური სასწავლებელი, სამართალმცოდნეობის სპეციალობითა და ბაკალავრის ხარისხით. 1991 წელს წარჩინებით დაამთავრა სსრკ შსს აკადემიის თბილისის ფაკულტეტი სა-

მართალმცოდნეობის სპეციალობითა და სამართლის მაგისტრის ხარისხით.

მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე: ქუთაისის შს სამმართველოს მე-2 განყოფილების საპასპორტო ქვეგანყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ქ. ქუთაისის შს სამმართველოს ავტოქარხნის ქვეგანყოფილების საპასპორტო სამსახურის უფროსი; ქუთაისის შს სამმართველოს მე-2 განყოფილების ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის ინსპექტორი, ქუთაისის შს სამმართველოს მე-2 განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორი; საქართველოს შსს საგამოძიებო დეპარტამენტისა და კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებელი. 2008 წლიდან საქართველოს შსს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო პოლიციის დეპარტამენტის ახალგორის რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე და უფროსის მ/შ; თიანეთის რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე, 2009 წლიდან ახალგორის რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე და 2013 წლიდან ამავე სამმართველოს დეტექტივ- გამომძიებელი. 2006-2007 წლებში საქართველოს შსს აკადემიაში, კითხულობდა თავისივე ნაშრომების, ლექციების კურსს. 2003 წლის დეკემბერში წარმატებით ჩააბარა პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა. ამჟამად არის თადარიგის პოლიციის პოლკოვნიკი- შს ორგანოების დამსახურებული მუშაკი.

იგი დაჯილდოებულია მესამე, მეორე და პირველი ხარისხის მედლით „უმწიკვლო სამსახურისათვის“. საქართველოს შსს სისტემაში 40-წლიანი მუშაობის მანძილზე გააჩნია მრავალი სახის სიგელი და სხვადასხვა სახის წახალისება. არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი. მინიჭებული აქვს მენტორი-პოლიციელის წოდება.

გატაცებულია სპორტით. იყო საქართველოს შსს საფეხბურთო გუნდის მოთამაშე-მწვრთნელი და მრავალი საფეხბურთო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი. არის ვეტერანი-75-ის ფეხბურთელთა გუნდის პრეზიდენტი. იყო სპორტ საზოგადოება „დინამო“-ს საბჭოს წევრი. 2001 წლის მაისში, ფეხბურთის განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, საერთაშორის ოლიმპიური კომიტეტის ხუან ანტონიო სამარანჩისა და ფიფა-ს პრეზიდენტის ზეპ ბლატერის მიერ დაჯილდოებულია საპატიო სიგელით.

თენგიზ ფანცულაიას ლექსები გამოქვეყნებულია საქართველოს ჟურნალებსა და გაზეთებში. იგი არის გამოცემა „21-ე საუკუნის პოეზიის“, „ლექსის აკვანი“-ს და სხვადასხვა გამოცემების ტომების თანაავტორი. საქართველოს ჯუმბერ ლეჟავას მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ჟურნალ „ათინათი“-ის სპორტული განყოფილების რედაქტორი და ლექსების თანაავტორი, საქართველოს ჯუმბერ ლეჟავას მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელო-

ბის მწერალთა, პოეტთა და საზოგადო მოღვაწეთა კავშირის „პოეტები საქართველოსი“ თანადამფუძნებელი და სწავლული მდივანი; საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის მწერალთა, პოეტთა და საზოგადო მოღვაწეთა კავშირის კრებულის „პოეტები საქართველოსი“ თანარედაქტორი და თანაავტორი.

გამორჩეულ ადამიანს - თენგიზ ფანცულაიას ვიცნობ მწერალთა სამყაროდან, პერიოდულად ვეცნობი მის საინტერესო შემოქმედებას. გვაქვს კარგი მეგობრული და კოლეგიალური ურთიერთობა. იგი გამოირჩევა უაღრესად დადებითი თვისებებით და თანადგომით. ატარებს ღირსეული ადამიანის სახელს. მეამაყება, რომ ვართ მეგობრები.

(ავტორი)

მკითხველს წარმოვუდგენ მის მიერ შექმნილ რამოდენიმე ლექსს:

მადლობა უფალს

მადლობა უფალს ყოველი დღისთვის,
და ქვეყანაზე ჩვენ მოვლენისთვის,
თვალის გახელა, ცხრათვალა მზისთვის,
ცივი წყარო და შრიალა ტყისთვის.

მადლობა უფალს, ძმისა და დისთვის,
ჩვენზე მზრუნველი ტკბილ მშობლებისთვის,
დიდი მადლობა მეგობრებისთვის,
დაუვიწყარი სკოლის წლებისთვის,
მადლობა უფალს ჩვენი სულისთვის,
ყოველი დილით გზის დალოცვისთვის,
გულს,რომ გვიძგერებს სიყვარულისთვის,
ვაჟკაცს განაწყობს ქალის ტრფობისთვის.
მადლობა უფალს ოჯახისათვის,
თბილი მეუღლის, შვილებისათვის,
მადლობა ჩვენი გამხნევებისთვის,
ჩვენი ცოდვების მიტევებისთვის.
მადლობა უფალს გაჩენის დღისთვის,
არიდებული ბნელი სენისთვის,
სიკეთე, მადლი, სიხარულისთვის,
იმედით სავსე ჩვენი გულისთვის.
მადლობა უფალს, ყოველი დღისთვის,
ღვთისმშობლის წილხვედრ ჩვენი ერისთვის,
ერთიანი და მუდამ მთელისთვის,
ქართველი ხალხის მოფერებისთვის.

სიკვდილით შეწუხებული სიკვდილი

რატომ გინდებათ ერთურთს ესროლოთ
მკვლელი სიტყვები, ქვა და ტალახი?
სამოთხისაკენ მიმავალ გზაზე,
გასათიბია უკვე ბალახი...

შემოგვითვალა თურმე სიკვდილმა:
-მარტო მე რად ვარ ბოროტი მკვლელი,
რად ვეღარ ხედავთ ირგვლივ არ დარჩა,
მამულის, ენის და რწმენის მცველი!..
რად დაივიწყეთ ადამის მოდგმამ,
ქვრივი, ობოლი და გვერდში მდგომი?
თქვენი ბინძური ზრახვებისათვის,
რად გააჩაღეთ ამდენი ომი...
რად გაგიცივდათ ადამიანებს,
ადრე თბილი და კეთილი გული?
რატომ არჩიეთ მოძმის ფერებას,
თქვენი სიხარბე, ვერცხლი და ფული?
თავად თქვენა ხართ სიკეთის ნაცვლად,
სიკვდილის თესვით დაკავებული!
რატომ არ გინდათ გადაარჩინოთ,
მოშიმშილე და გაჭირვებული?
მჭედელს შესტირა, თურმე საწყალმა,
ყოფილა ძალზე შეწუხებული:
-თავად თქვენა ხართ სისხლს და მკვლელობას,
სხვების დაღუპვას მოწყურებული...
მე, გაცილება, არა ვინმეს კვლა,
მქონდა უფლისგან დავალებული!
სამოთხის კართან რომ მიმეყვანა,
უფლისა ნებით მიცვალებული...
თავსაბურავი ჩამოვიფარე,,
არ დამინახოთ ატირებული...
თეთრი სამოსი შავით შევცვალე,
სისხლი არ ნახოთ იქ მიცხებული...

აღარ ყოფილა მარტო სიკვდილი,
ადამიანის მტერი და მკვლელი,
თურმე სამოთხის გზის გასათიბად,
სჭირდება ჩვენთვის ცნობილი ცელი!

პ.ს:

დღეს შემეცოდა ცოტა სიკვდილი,
ამეცრემლა და მგონია ვტირი...
ერთმანეთი რომ გადავარჩინოთ,
უბრალოდ ქცევა გვქონოდეს თბილი.
პოეტებმაც გავაჩაღოთ,
პოეზიის ლაღი რთველი,
ხალხს ბწკარები.მივაწოდოთ,
მხოლოდ თბილი,მოსაფერი.
თანამოძმეს ავარიდოთ,
ტკვილი და მძიმე სენი,
ავაყვავოთ სამშობლო და
დრო დაგვიდგეს მოსალხენი.
ერთმანეთს არ შევუმოკლოთ,
უფლის ბოძებული დღენი,
იქნებ სიკვდილს არც დასჭირდეს,
დაუჟანგდეს მისი ცელი.

ზენაარო გეხვეწები

ზენაარო გეხვეწები,
დამილოცე ჩემი ერი,
დაიცავი, ააარიდე,
ყოველგვარი განსაცდელი,
ცუდისაგან განაშორე
თანამოძმე, ახლობელი,
გულიანს და მადლის მთესავს,
ყველგან მოუმართე ხელი.
ნუ იქნები გზაცდენილის,
ძალზე მკაცრი განმკითხველი,
ლმობიერი გამიხადე,
ზოჯერ მკაცრი ბრალმდებელი.
შვილზე მოფიქრალი დედა,
არ გახადო ცრემლის მდენი,
გთხოვ,რომ აღარ მოუმატო,
დარდი, სევდა, სატანჯველი.
ქართველებს არ მიაკარო,
ბოღმა, შური, ყველა სენი,
ვინც შესცოდა ან დაიბნა,
ეშმაკისგან დაიხსენი.
გლეხი კაცი და მშრომელი,
გამიხადე ღონიერი,
სოფლად სახლი არ მანახო,
მიგდებული, ცარიელი.

მაპატიე ამდენ თხოვნას,
რომ გაკადრებ, ერთი ბნელი,
რა ვქნა, კარზე მომდგარია,
გვიტევს ყველა სახის მტერი,
        დამილოცე, მიდღეგრძელე,
        სიკეთის და მადლის მქმნელი,
        ამიყვავე გამიმრავლე,
        ჩემი ხალხი ძველისძველი.

პ.ს:

მომეძალა ფიქრი, მე ნაბახუსევზე
ცოტა პირადულზე, ამ ჩვენ ტანჯულ ერზე,
ყველას სატკივარზე, საშიშ განსაცდელზე,
ლამაზ სამშობლოზე და ჩვენ მოსავლელზე.
        ისევ ვაწუხებ მოწყალე უფალს,
        რომ შეეწიოს ერს,
        ცოდვილებზე და უმადურებზე,
        ნუღარ აიღებს ხელს.

დიდი პოეტის თემურ ჩალაბაშვილის ნათელ ხსოვნას

ჩალაბაშვილი იყო არსება...
იგი ყოველთვის ჩვენში დარჩება!!
28.12.2023წ. (ავტორი)

პოეტი, ჟურნალისტი - თემურ ჩალაბაშვილი დაიბადა 1951 წლის 12 ნოემბერს, სიღნაღის რაიონის სოფელ ძველ ანაგაში.

1976 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ლექსების წერა მესამე კლასიდან დაიწყო. მისი ლექსები პერიოდულად რაიონულ გაზეთებში იბეჭდებოდა. შემდეგ ლიტერატურულ ჟურნალ "დრო-შა"-ში. მისი პოეტური ნათლობა რესპუბლიკურ პრესაში აქედან დაიწყო. ასევე, უნივერსიტეტის ჟურნალ "პირველ სხივში", დამწყებ მწერლებთან ერთად (მოყოლებული ნოდარ დუმბაძის თაობიდან) იღებდა მონაწი-ლეობას. იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულ-ტეტის სამეცნიერო ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრო-

მელი. მუშაობდა გამომცემლობის სახელმწიფო კომიტეტში უფროს რედაქტორად, გამომცემლობა "მერანი"-ს განყოფილების გამგედ. გახლდათ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე (2018წ), ჟურნალისტთა კავშირის წევრი.

სხვადასხვა დროს მიღებული აქვს ჯილდოები: ვაჟა-ფშაველას, ივანე მაჩაბლის, გალაკტიონ ტაბიძის და ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიები. საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ლიტერატურული პრემია "მუზა" (2023 წ). იყო თბილისის საპატიო მოქალაქე (2018 წ).

გამოცემული აქვს ოთხი კრებული: "მზე მამულის კვამლში", "სანთელი", "პოეტის ასი ლექსი", "დაგიჩოქებენ ჩემი ლექსები".

გარდაიცვალა 2023 წლის 27 დეკემბერს. დაკრძალულია მახათას მთის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში (თბილისი).

მინდა მკითხველს გახსენების მიზნით წარმოვუდგინო თემურ ჩალაბაშვილის მხოლოდ ერთი საუკეთესო ლექსი, რომელიც ვფიქრობ დიდ ინტერესს გამოიწვევს:

"მე რომ წყურვილს ვიკლავ პეშვით,
მზე რომ ნამავს ღიღილოს,
აი, ამ სიცოცხლის ეშხი
განგიცდია სიკვდილო?!"

ჩემი ნაწილი - სამეგობრო წრე

ნანა ლომთათიძე

დაიბადა 1957 წლის 02 ოქტომბერს ქ. თბილისში, მამა - ვლადიმერ ლომთათიძე - ექიმი /ქირურგი/, სამედიცინი სამსახურის პოლკოვნიკი, სახ. სამედიცინო ინსტიტუტის სამხედრო კათედრის გამგე, აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილების ხელმძღვანელი /1912წ.-1990წ./, დედა - ნინო ჩხიკვაძე -ლომთათიძე, აგრონომი, თამბაქოს მრეწველობის ტექნოლოგი, დიასახლისი /1925წ.-2019წ./ ოჯახში, ძმა - გია ლომთათიძე, გახლავთ თორაკოქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი /1954წ./.

ნანა ლომთათიძემ 1974 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. თბილისის 53-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1981 წელს - სახ. სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი, სპეციალობა - სამედიცინო საქმე.

1981-1982 წლებში გაიარა რკინიგზის #2 კლინიკურ საავადმყოფოს ინტერნატურა, მიენიჭა ექიმი-თერაპევტის კვალიფიკაცია. 1983წ. - ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი, სპეციალიზაციის კურსი კარდიოლოგიაში, 1986-1990

წლებში - თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ასპირანტურის სრული კურსი სპეციალობით კარდიოლოგია, 1991წ. - ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი, კვალიფიკაციის კურსი ფუნქციურ დიაგნოსტიკაში, 1992წ. - თბილისის #1 კლინიკური საავადმყოფოს კარდიოლოგიური განყოფილება, სტაჟირება ტრანსეზოფაგურ კარდიოსტიმულაციაში. მიღებული აქვს სერტიფიკატები: 2001წ. - ნებადართული სპეციალობა - კარდიოლოგია (სახელმწიფო სერტიფიკატი #006739), 2003წ. - თბილისის სახ. სამედ. აკადემია: "ფიტოთერაპია გულ-სისხლძარღვთა სისტემის ზოგიერთი პათოლოგიის დროს" /განმახორციელებელი/, 2003წ. - თბილისის სახ. სამედიცინო აკადემია - "გულის ქრონიკული უკმარისობა: დიაგნოსტიკა, მკურნალობა" /სერტიფიკატი/, 2006წ. - ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტალი - "ელექტრო-კარდიოგრამის ანალიზი მინესოტას კოდით" /სერტიფიკატი/, 2006წ. - თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტი - "მწვავე კორონარული სინდრომების მკურ-ნალობა"/სერტიფიკატი/, 2007წ. - თბილისის სახ. სამედ. უნივერსიტეტი - "ტაქიარითმია-დიაგნოსტიკური ალგო-რითმი" /სერტიფიკატი/, 2007წ. - ომის ვეტერანთა კლინიკუ-რი ჰოსპიტალი - "გახანგრძლივებული QT სინდრომი, შე-მოკლებული QT სინდრომი, მარჯვენა პარკუჭის არით-მოგენული დისპლაზია" /სერტიფიკატი/, 2013წ. - ნება-დართული სპეციალობა - საოჯახო მედიცინა (სახელმწიფო სერტიფიკატი # 012553). 2013წ. გაიარა საოჯახო მედიცინის ეროვნულ სასწავლო ცენტრში - "მომიჯნავე სპეციალობების

ექიმების ოჯახის ექიმებად გადამზადების პროგრამა“.

სხვადასხვა დროს მუშაობდა და გახლდათ - 1981წ.-1982წ. - რ/გ #2 კლ.საავადმყოფოს ინფარქტის განყოფილების ინტერნი, 1982წ.-1990წ.- რ/გ #2 კლ. საავადმყოფოს ეკგ კაბინეტი-კარდიოლოგი, ინფარქტის განყოფილების ინტენსიური თერაპიის ბლოკი - მორიგე კარდიოლოგი, 1990წ.-2003წ.- ეკგ კაბინეტის გამგე, 2003წ.-2011წ. - ეკგ კაბინეტი - კარდიოლოგი, 2011წ.-2012წ. - თბილისის ცენტრალური საავადმყოფო - კარდიოლოგი, 2012წ.-2013წ. - შპს სამედიცინო ცენტრი „GEOSWITH”-კარდიოლოგი, 2013წ.-2017წ.- თბილისის ცენტრალური საავადმყოფო- ოჯახის ექიმი, მულტი-პროფილური კლინიკის კარდიოლოგი, 2017წ.- დღემდე - შპს კლინიკა “ნიუმედი“- ოჯახის ექიმი /სადაზღვევო კომპანია “აი ჯი ჯი“/.

ჩემი (და არა მარტო...) შეხედულებით ქალბატონი ნანა, პირველ რიგში გახლავთ - სახელოვანი, ღირსეული, განათლებული, ზრდილი, სიკეთის მატარებელი და ყველასათვის საპატივცემულო ბრწყინვალე პიროვნება, ანუ ისეთი, როგორიც უნდა იყოს - კარგ გარემოცვაში და ოჯახში გაზრდილი ადამიანი. ამავე დროს, იგი გახლავთ - მედიცინის ფასდაუდებელი სპეციალისტი, რკინიგზის მმართველობითი რგოლის მრავალრიცხოვან მუშაკთა საიმედო დასაყრდენი.

ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ ამ სახელოვანი და ღირსეული მანდილოსანისადმი, ჩემგან მიძღვნილი მოკრძალებული ლექსი:

ნანა ლომთათიძეს

ჰიპოკირატეს ფიცის დამცველს -
აღმაფრენა მის დიდ გამზრდელს,
პაციენტის შემბრალებელს,
ღმერთი მუდმივად იცავდეს.

რკინიგზელი ხალხის იმედს -
სნეულთა მხსნელს და დიდ გამრჯეს,
ებრძვის შეყრილ უძლურებას,
იგი კერას უმალ აგნებს.

გულისყურით უსმენს ყველას -
გულს უსინჯავს შველის კიდეც,
შესაშური მკურნალია,
დაეძებენ კიდით - კიდე.

მკურნალობის მსურველები -
რიგში დგანან მისაღებში,
აღარ უნდათ სხვა ექიმი -
მათ, ნაპოვნი ჰყავთ ნუგეში.

(ავტორი)

თორნიკე (ლეონტი) ადეიშვილი

დაიბადა 1955 წლის 23 ივნისს ვანის მუნიციპალიტეტში, სოფელ ყუმურში. მშობლები: მამა - აკაკი ადეიშვილი (1917-2000) პედაგოგი, დედა ნუნუ თავაძე - ადეიშვილი პედაგოგი.

1972 წელს დაამთავრა ყუმურის საშუალო სკოლა. იმავე წელს სწავლა გააგრძელა ივ. ჯავა-ხიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1977 წელს.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, სპეციალობით მუშაობდა: სახელმწიფო გაერთიანება „თბილპურში“, ასევე „დოოსაფის“ სახ.კომიტეტში რევიზორად, „სამთო ქიმიის“ საწარმო გაერთიანების სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ინჟინერ-ეკონომისტად. 1980-1982 წლებში მსახურობდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში. არის თადარიგის ოფიცერი-კაპიტანი.

1983-1993 წლებში მუშაობდა ქ. თბილისის ავტოგასამართი სადგურების გაერთიანებაში საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების უფროსად, შემდეგ გაერთიანების სამმართველოს უფროსის მოადგილედ. ამავე დროს იყო სამმართველოს პროფკავშირული კომიტეტის არჩეული თავმჯდომარე.

1993-2002 წლებში იყო ქ. თბილისის ავტოგასამართი სადგურების ბაზაზე შექმნილი შ.პ.ს. „თბილპეტ-როლსერვისის“ გენერალური დირექტორი. ამავე დროს იყო ქ. თბილისის მერიის ავტოგასამართი სადგურების ექსპლუატაციაში მიმღები მუდმივმოქმედი კომისიის წევრი. შემდეგ შ.პ.ს. „გ-2003“ დამფუძნებელი და დირექტორი, 2010-2016 წლებში მუშაობდა მთაწმინდის რაიონში „ძველი თბილისის ახალი სამუშაოთა მწარმოებლად. ამჟამად დასაქმებულია ერთ-ერთ შ.პ.ს.-ში კონსულტანტად.

ჰყავს მეუღლე ლაურა ძამანაშვილი, ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი. ვაჟიშვილი გიორგი ადეიშვილი - პროფესიით ეკონომისტი, 2002 წლიდან ცხოვ-რობს ა.შ.შ, რომელსაც ყავს ერთი შვილი ნია ადეიშვილი. ქალიშვილი თამარ ადეიშვილი - არის ეკონომისტი, მუშაობს “ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ში.

თორნიკე ადეიშვილს საზოგადოება იცნობს როგორც ღირსეულ, სახელოვან და განათლებულ პიროვნებას. იგი განსაკუთრებით გამოირჩევა დიდი ადამიანური თვისებებით, გულისხმიერებით და უამრავი სხვა სიკეთეებით. იგი ყოველმხრივ მისათითებელი პიროვნება გახლავთ. დიდია მისი წვლილი ყველა იმ ღონისძიებაში, რაც კი ოდესმე ჩვენს მშობლიურ კუთხეში გატარებულა.

თორნიკე დაბადებული და აღზრდილია სანიმუშო ადამიანების ოჯახში, რომელთაგან დაეკვება მხოლოდ სიკეთის კეთება.

ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს ჩვენი საამაყო ვაჟკაცი თორნიკე ადეიშვილი.

(ავტორი)

ნინო ჯავახიშვილი

დაიბადა 1976 წლის 29 მაისს ქ. თბილისში, სახელოვანი ადამიანების - თემურ ჯავახიშვილის და თინიკო კორკოტაძის სახელოვან ოჯახში. მამას - თ. ჯავახიშვილს დამთავრებული აქვს ქ. მოსკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კავშირგაბმულობის ფაკულტეტი და მუშაობდა ქ. თბილისის ვაკის რაიონის კავშირგაბმულობის განყოფილების უფროსის მოადგილედ და ტელეკომის განყოფილების უფროსად (1980წ- 2005წ), დედამ, თ. კორკოტაძემ - დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კოლეჯი და სამიანობა დაიწყო 1984 წელს წყნეთის პოლიკნინიკაში მედდის თანამდებობაზე და მუშაობს დღემდე. და - მარიამ ჯავახიშვილი, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტი, საქმიანობა დაიწყო ქ. თბილისის პროფკავშირებში, ხოლო შემდგომში მუშაობს ქ. თბილისის 118- ე საბავშო ბაგა-ბაღში.

ნინო ჯავახიშვილმა 1993 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. თბილისის 137- ე საშუალო სკოლა, ხოლო 1997 წელს - საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის სამკურნალო ფაკულტეტი სპეციალობით - სამკურნალო გამაჯანსაღებელი მუშაობა.

1999 წელს გაიარა სპორტული გამაჯანსაღებელი მასაჟის

სრული კურსი და მიენიჭა კვალიფიკაცია, მიღებული აქვს სახელმწიფო სერთიფიკატი. 2000 წელს გაიარა კომპიუტერული პროგრამების სრული კურსი „შპს კომპიუ-ტერლენდი“. 2001-2004 წლებში გაიარა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით და მინიჭებული აქვს მაგისტრის ხარისხი.

2005 წლის 10 აგვისტოს კურორტ წყალტუბოში მიღებული აქვს მონაწილეობა - საერთაშორისო სამეცნიე-რო სიმპოზიუმი „კურორტული ფაქტორების კომპლექსური გამოყენების აქთიურ საკითხებში - კარდიორესპირატუ-რული სისტემის მაჩვენებლების ანალიზი ფიზიკური დატვირთვის დროს“

კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გავლილი აქვს:

საქმის წარმოებისა და საარქივო საქმის სალექციო სრული კურსი (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ეროვნული არქივი) -2021 წ.

ინტერპერსონალური კომუნიკაციის ტრენინგი -2021 წ.

ზოგადი მედიცინის ტრენინგი (შპს ცოდნის მაძიებელი)-2022

სტრესის მართვის ტრენინგი -2020 წ

შრომის უსაფრთხოების ტრენინგი -2023 წ

მონაცემთა დაცვის ტრენინგი -2023 წ.

1998 წლიდან 2007 წლამდე მუშაობდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის დაუსწრებელი სწავლე-ბის ფაკულტეტზე, შემდგომ სამკურნალო ფაკულტეტის საქმის მწარმოებლად.

2007 წლიდან დღემდე მუშაობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში.

სახელოვან და ღირსეულ ადამიანს, პერსპექტიულ ახალგაზრდას - ნინო ჯავახიშვილს ვიცნობ მეგობრებისა და ახლობელი ადამიანების წრიდან. იგი გამორჩეული პიროვნებაა ყველგან, სადაც კი საქმიანობს და ეწევა მოღვაწეობას. გახლავთ საოცარად ზრდილი, ყურადღებიანი, კომუნიკაბელური, ყველასადმი დამხმარე და გვერდში მდგომი პიროვნება. ჩემი აზრით მსგავსი მანდილოსნები უნდა იზრდებოდნენ ყველა ოჯახში.

მკითხველს ამ ეტაპზე დიდი სიამოვნებით წარმოვუდგენ ამ შესანიშნავი და გულისხმიერი ადამიანისადმი ჩემგან მიძღვნილ მცირე ლექსს

*** * ***

(ნინო ჯავახიშვილს)

ანგელოზის სადარი,
სიკეთეში მაღალი,
არსად არ ჩანს ასეთი -
ნ ი ნ ო ს არ ჰყავს ბადალი.
უმაღლესმა ქმნილებამ,
აღმავლობით იაროს,
დიდი კეთილთვისებით,
სამყაროში იხაროს.
უნარ- ჩვევით განთქმულმა,
მწვერვალები დაიპყროს,
უფალის მადლით ამაღლდეს,
მომავლისთვის - მზად იყოს.

2024 **(ავტორი)**

გთავაზობთ ელგუჯა ადეიშვილისადმი მიძღვნილი წერილებიდან ამონარიდებს:

ელგუჯა ადეიშვილი - 75

75 წლისა შესრულდა პოეტი ელგუჯა ადეიშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ელგუჯა!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი კოლეგები გულითადად მოგესალმებიან მწერალთა კავშირის წევრს, არაერთი პოეტური კრებულის ავტორს და გილოცავენ დაბადების 75 წლისთავს. თქვენი კრებულები, ისეთები, როგორიცაა „ქართული სიწმინდეები“, „აპაციის ყვავილობ“, „ილია და რკინიგზა კახეთში“, „ჯვარიქედიდან დანახული ჩემი სამქარო“, „გზა უფლისკენ“, „ჭალასამზიარი“, „აისი“, მშობ-

ბელი ქვეყნის უსაზღვრო სიყვარულითაა გამსჭვალული, იმ იდეალებისა და ტრადიციების ერთგულებით, დღევანდლამდე რომ მოიყვანა საქართველო. თქვენს ლექსებში ნათლად იკითხება, თუ რა დიდი რუდუნებით იღვწით ჩვენი სამოციქულო დედაეკლესიის საკეთილდღეოდ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თქვენ ხომ ქტიტორი ბრძანდებით სოფელ ყუმურის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიისა...

სად არ გიმუშავიათ- საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში და ფინანსთა სამინისტროში, საგადასახადო სამსახურსა და კონტროლის სახელმწიფო კომიტეტში, კონტროლის პალატაში, საბაჟო დეპარტამენტსა და საქართველოს რკინიგზის მონიტორინგისა და ინსპექტირების დეპარტამენტში და ყველგან დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდით...

არჩეული ხართ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველოს“ ნამდვილ წევრად, გაზეთ „ქალდეას“ სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარედ, ფაზისის საერო-სამეცნიერო საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსად და პრეზიდიუმის წევრად.

თქვენი მრავალწლიანი ღვაწლი ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიით აღინიშნა.

თქვენს ჯილდოებს შორის საპატიო ადგილი უჭირავს საქართველოს სულიერი მწყემსის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის დალოცვის სიბელს; არჩეული ხართ ვანის საპატიო მოქალაქედ.

ბატონო ელგუჯა!

კიდევ ერთხელ მოგილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენი სამწერლო ოჯახის წევრს. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემდგომ შემოქმედებით სრულყოფას.

საქართველოს მწერალთა კავშირი

საიუბილეო თარიღის ვულოცავ ჩემს კეთილ და საამაყო მეგობარს - საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია "ქალდეა-საქართველოს" და კოლხეთის (თაზისის) საერო, სამეცნიერო საერთაშორისო აკადემიების ნამდვილ წევრს- აკადემიკოს ელგუჯა ადეიშვილს!

მრავალჟამიერ!

მწერალი აკადემიკოსი - **ვაჟა ეგრისელი.**
2023

ჩემს აღმზრდელს, ყველა სფეროში “დიდ კაცს", ელგუჯა ადეიშვილს ვულოცავ საიუბილეო თარიღს და დიდ მიღწევებს ...

დარწმუნებული ვარ, ეს მხოლოდ დასაწყისია. ვისურვებდი უფრო მეტმა გაიგოს მისი მამულიშვილური, პატრიოტული სულისკვეთებით განვლილი დიდი ცხოვრებისეული გზის შესახებ და მიბაძონ მას. მადლობა ყველაფრისთვის ...

პატივისცემით, **ვანო ჯაფარიძე**
2023

გილოცავთ ბატონო ელგუჯა თქვენი წიგნის დაბადებას, რომელსაც მართლაც შეიძლება რომ ენციკლოპედია ეწოდოს. ძალიან საინტერესოა ბატონი ელგუჯა ადეიშვილის წიგნი "გზა უფლისკენ". ვკითხულობ და ძალიან მომწონს, რადგან წიგნი იძლევა საშუალებას, რომ მკითხველი გაეცნოს წიგნში შესულ ცნობად სახეებს პოეტებს, მეცნიერებს, პროზაიკოსებს, სასულიერო პირებს, მხატვრებს,ეკონომისტებს.

რაოდენ საამაყოა, როცა ავტორის განვლილი გზა, რომელიც თავად გაიკვლია, ახალგაზრდობას უადვილებს და მიმართულებას აძლევს მათ წარმატებისკენ.

ყველა დაგლოცოთ უფალმა. ამინ!!!

პატივისცემით, **ლიანა ალადაშვილი** - ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პოეტი და მუსიკოსი.
2023

კიდევ ერთ ღირსეულ პიროვნებას... ვანის საპატიო მოქალაქეს ბატონ ელგუჯა ადეიშვილს... გილოცავთ დამსახურებულ ჯილდოს "ქართული კულტურის ამაგდარის წოდებას" კულტურის დარგში დამსახურებულად.

წარმატებები ვანელებისგან!...რამეთუ ხშირად გვიწვდი დახმარების ხელს.

პატივისცემით, **ნატო მეფარიშვილი** - მწერალი და ჟურნალისტი, საქართველოს მწერალთა და ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირების წევრი. ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი.

2023

წიგნს, რომ კითხულობს ადამიანი ეძებს.... მიიღოს სიამოვნება, გაიგოს რაიმე და შეიძინოს ცოდნა.

მე თქვენს წიგნებში ეს ყველა ფაქტორი ვნახე.

გაიხარეთ!

პატივისცემით, **ვახტანგ ჭაფოძე** - მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახ. უნივერსიტეტის პროფესორი

2022

შემთხვევა ციხისძირში

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ზოგადად რაიმე სახის საქმიანობის დაწყება-განხორციელებისას, ყველა ნიუანსი დეტალურად უნდა გაითვალოს, რადგანაც სხვა შემთხვევაში ზოგჯერ შესაძლოა აშკარად მოულოდნელ სირთულეს და გამოუსწორებელ შედეგებსაც კი გადააწყდეს ცალკეული პიროვნება თუ ადამიანთა ჯგუფი.

ერთ დღეს (18.02.2023წ), გვიან საღამოს საათებში, ჩემი შვილისგან (შალვა ადეიშვილი) მივიღე სატელეფონო შეტყობინება, რომ მე და მისი 15 წლის ვაჟიშვილი (გეგა ადეიშვილი), სასწრაფოდ უნდა გავყოლოდით მცხეთის მუნიციპალიტეტის მუხრანის დასახლებაში არსებულ ფერმერულ მეურნეობაში.

მგზავრობისას გაირკვა, რომ ამ საწარმოში დასაქმებული პირების მიერ პირუტყვის გეგმიური დაკვლის მიზნით, მეზობელ სოფელში (კასპი, სოფ. ფერმა) მოქმედ ცხოველთა სასაკლაოზე ავტოტრანსპორტით გადაყვანილი იყო ბაგურ კვებაზე მყოფი ერთი მძიმეწონიანი ბუღა-პირუტყვი. იგი მხილველთა საუბრის მიხედვით, სასაკლაოს შესასვლელ კარებთან მიყვანისთანავე ვერ დაიმორჩილეს, რადგან მას პასუხისმგებელი პირების გაუფრთხილებლობით, თუ სხვა მიზეზით, წინასწარ არ ჰქონდა გაკეთებული სპეციალური დამაწყნარებელი საშუალება, იგი დაფრთხა და გაშმაგებული ცხოველი მაღალი სისწრაფით გაიქცა - თავდაპირველად სასაკლაოს ტერიტორიაზე, ხოლო შემდეგ ამ საწარმოს ეზოს ღობის გარეთ.

რამოდენიმე ადამიანის დაუყონებლივ მიდევნების მიუხე-

დავად, პირუტყვი ვერ იქნა შეკავებული და უგზოუკვლოდ გაუჩინარდა მინდვრებში.

ამდენად, საჭირო გახდა დამატებითი ძალის მობილიზება ადგილსამყოფელის დასადგენად და გაშმაგებული პირუტყვის შესაპყრობად, ან/და აუცილებლობის შემთხვევაში სხვა ღონისძიების (ლიკვიდაცია) გასატარებლად. რამეთუ არსებობდა საშიშროება, დასახელებულ ტერიტორიაზე ფეხით მოსიარულეთა და ავტომანქანების დასახიჩრება - დაზიანებისა. მითუმეტეს, რომ სასაკლაოს ტერიტორიაზე, დამფრთხალი ცხოველის თავაწყვეტილი მოძრაობისას საგრძნობლად გამოვიდა მწყობრიდან ორი ერთეული მიკროავტობუსი.

დანიშნულების ადგილზე ჩასვლა მოგვიხდა ღამის სიბნელესა და ცუდ კლიმატურ პირობებში. გაირკვა, რომ ინტენსიურ ძებნაში ჩართული იყო ფერმერული მეურნეობის რამდენიმე პასუხისმგებელი პირი, სასაკლაოს მუშაკები, სოფლის 2-3 მკვიდრი და მოუხელთებელი პირუტყვისაგან მოსალოდნელი საშიშროების გამო მოქმედი წესის მიხედვით, მოწვეული იყვნენ კასპის პოლიციის მუშაკები.

სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩვენი ჩართულობით გაგრძელდა ძებნის პროცესი - შორს მანათი შუქფანრებითა და სხვა საჭირო ტექნიკური საშუალებებით. თუმცა გარკვეული დროის გასვლის მიუხედავად, სასურველი შედეგი ვერ დადგა - პირუტყვის თავშესაფარის დადგენა მიუღწეველი გახდა და ერთობლივი შეთანხმებით გადაწყდა, რომ ძებნა გაგრძელებულიყო მომდევნო დღის დილის საათებიდან.

მოლაპარაკების თანახმად, მეორე დღეს, დათქმულ საა-

თებში, ჯგუფი თითქმის იგივე შემადგენლობით (ზურაბ კილაძე, გიორგი ნადარაშვილი, შავლეგ ჩაგანავა, ნოდარ კაციტაძე, ირაკლი გეგეჭკორი, შალვა ადეიშვილი, გეგა ადეიშვილი და თქვენი მონა-მორჩილი) შევუდექით საძებნი პირუტყვის ადგილმდებარეობის დადგენის სამუშაოებს - როგორც იმავე და მომიჯნავე სოფლების მინდვრებში, ასევე შიდა გზებზე. ჯგუფი დაიყო რამდენიმე ნაწილად და ძებნას შეუდგა სხვადასხვა მიმართულებით.

ძებნის დაწყებიდან დაახლოებით ნახევარ საათში, ერთ-ერთი ჯგუფიდან მიღებული იქნა შეტყობინება, რომ მათ შენიშნეს პირუტყვი, რომელიც აჩქარებული სვლით მიდიოდა საატომობილო გზით მოსაზღვრე სოფლის (თეზი) ცენტრის მიმართულებით და ავტომანქანის მიახლოებისას გადაადგილებას უკვე ახდენდა სწრაფი მოძრაობით. იგი შევიდა თუ არა სოფლის ცენტრში, იქ შემთხვევით მდგომი მამაკაცის მიმართულებით დაიწყო სწრაფი გადაადგილება და გეზი აიღო ამ პირისკენ. იგრძნო თუ არა მამაკაცმა მისკენ აგრესიულად მოძრავი დამფრთხალი ბუღა, თავის დაღწევის მიზნით გზიდან გაიქცა და სწრაფად ამოეფარა იქ არსებულ ხეს და ბუნებრივი გაზის გამტარი ლითონის მილის საყრდენ ბოძს. მან ამ ქმედებით თავი დააღწია მოსალოდნელ საფრთხეს, ხოლო თავად გამძინვარებული ცხოველი მთელი სისწრაფით გაემართა საცხოვრებელ სახლებს შორის არსებულ შევიწროებული ბილიკის (ორღობე) მიმართულებით და მალევე გაუჩინარდა.

ბილიკი, რომლის სიგანე სხვადასხვა ადგილზე 1-2 მეტრს არ აღემატებოდა, მიემართებოდა იქ არსებული საბა-ღე ნაკვეთებისკენ, რომლებიც ერთმანეთისგან გამოყოფი-

ლი იყო სხვადასხვა სახის მავთულ - ბადის ღობეებით. ამასთან ამ ბილიკის დანიშნულებას შეადგენდა ადამიანების ფეხით გადაადგილება და წვრილი სარწყავი არხების ფუნქციონირება, როგორც მარცხენა, ასევე მარჯვენა მხარეს არსებული ნაკვეთებისათვის. ბილიკი იმდენად არათანაბარი იყო, რომ ფეხით გადაადგილება ძალიან ჭირდა, რასაც ხელს უწყობდა იმ დროისათვის არსებული თოვლის მცირე, მაგრამ ტალახიანი საფარი (ადამიანის მიერ 5-10 ნაბიჯის გადადგმა წაქცევა-წამოდგომის უწყვეტი რეჟიმით მთავრდებდა). როგორც ადგილზე ჩანდა, პირუტყვმა შედარებით ადვილად შეძლო იმ 300-400 მეტრამდე არსებული რთული ბილიკის დაძლევა და გადაადგილება.

საგულისხმოა, რომ მძებნელთა ჯგუფის წევრებმა, ამ შემთხვევაშიც ყველაფრის გათვლის გარეშე გადაწყვიტეს პირუტყვის მიდევნება, მისი მხოლოდ თითქოსდა დაჭერის მიზნით, თუმცა ამაოდ... სინამდვილეში მიღებული იქნა ძალზე პრიმიტიული გადაწყვეტილება - სრული გამოუცდელობით, ერთმანეთისადმი დაუჯერებლობით და არასწორი გათვლით, თითქოს ორღობეში მოხდებოდა გამხეცებული პირუტყვის მიმწყვდევა, რის შედეგადაც შეიბოჭებოდა, საჭირო დამაწყნარებელ წამალსაც გავუკეთებდით, დავიმორჩილებდით და რქებზე თოკჩაბმული - ნელი სვლით წავიყვანდით სასაკლაოს მიმართულებით. მაგრამ საფრთხისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ - არავის არ გვიფიქრია და სინამდვილეში ყველაფერი წინ ყოფილა.

დავიძარით ფეხით სულ 8 ადამიანი და შევუდექით ვიწრო ჩიხში სვლას, სადაც მხოლოდ დამფრთხალი პირუტყვის ნაფეხურები და წინააღმდეგობის აშკარად გამ-

წევი სანიაღვრე, თუ სარწყავი ორმოები გვხვდებოდა.

ორღობის ბოლოში მისულებმა, სადაც უკვე ბილიკი საერთოდ აღარ გრძელდებოდა, დავაფიქსირეთ, ჩვენი ძიების ქვეშ არსებული პირუტყვი არსად ჩანდა და ამ ფაქტმა რაღაცნაირი გაკვირვება გამოიწვია. თუმცა, ღობე-შემორტყმული ერთ-ერთი ბაღ-ბოსტნის ბოლოში საკმაოდ შორს მანძილზე ბუღა ნათლად გამოჩნდა და თავაწეული მზერა მიქცეული ჰქონდა ჩრდილო - დასავლეთის მიმართულებით, თანაც მაღალი ხმით შემაწუხებლად ბღაოდა და ეს იმ დროს, როდესაც მიწის ნაკვეთის ირგვლივ არებული მეტალის ბადის ღობე საერთოდ ურღვევ-დაუზიანებელი იყო, საუბარი წავიდა იმ კუთხით, რომ ჩაკეტილი ბილიკის პირობეში პირუტყვი სავარაუდოდ 1,5 მეტრი სიმაღლის ღობეზე გადახტა, ისე რომ ღობისთვის დაზიანება არ მიუყენებია და ეს ფაქტი იმ მომენტისათვის ამოუხსნელი დარჩა - თუ რა მოხდა სინამდვილეში.

მომენტალურად გადაწყდა რომ 2-3 კაცი გადასულიყო ღობეზე, მიახლოებოდნენ პირუტყვს და იგი მარტივი მეთოდით დაეჭირათ. თუმც რას ვხედავთ, ის ელვის სისწრაფით მოტრიალდა და ადგილიდან დაიძრა საოცარი ღრიალით, ასე რომ ყველა ჩვენი ჩანაფიქრი მისი დაჭერის ირგვლივ დაუყონებლივ შეიცვალა.

დაახლოებით ნაკვეთის შუა ნაწილში მოსული შეჩერდა და ცქერა მოაპყრო უკვე ჩვენსკენ, სადაც ყველა ერთად ვიდექით. მომენტალურად წინა ფეხებით მიწა-ტალახის ამოთხრა დაიწყო, რაც მხოლოდ უმნიშვნელო ხნით გაგრძელდა და კვლავ ადამიანთა ჯგუფისკენ უდიდესი სიწრაფით გამოექანა. მოგვიახლოვდა თუ არა, რქებით შეეჯახა ჩვენს წინ ერთ მეტრზე ნაკლებ მანძილში არსებულ

ღობეს და წარმოშობილი წინააღმდეგობის შედეგად, ამ მასის (500კგ-ზე მეტი) არსება ჰაერში აიტყორცნა და ჩაკეტილ ორღობეში გვერდითი მხარით დაეცა, ჩვენგან ბილიკის გრძივი მიმართულებით დაახლოებით 1,5-2,0 მეტ-რის დაშორებით. თუმცა მომენტალურად წამოდგა ფეხზე და ერთად შეგროვილ ხალხში უნდა შემოჭრილიყო, ისე რომ ადგილიდან ფეხის გადადგმა გასაქცევად ან/და მოსა-რიდებლად, ვერც ერთმა ჩვენთაგანმა დაბნეულობით და შიშით ვერ მოახერხა.

ამ დროს, დაცვის მიზნით ჩვენთან მდგარმა ერთ-ერთმა პირმა (ზურაბ კილაძე) დაუბნევლად პროფესიულ დონეზე, ოსტატურად ცეცხლსაროლი იარაღიდან დაახალა შუბლში ერთი ტვია და გამხეცებული ბუღა, რომ იტყვიან უსულოდ მიწაზე (ეს ყველაფერი წამებში ხდება) დავარდა.

უკვე ყველამ მივეცით თავს უფლება ღრმად ამოგ-ვესუნთქა და შიშნარევი სახეებით ერთმანეთს უბედურებისა-გან გადარჩენა მიგველოცა.

დიდება უფალს, რომ ერთდროულად ამდენი სიცოცხლე სრულიად უვნებლად გადარჩა...

პროცესის დასრულების შემდეგ, ამ თემის ირგვლივ, საფიქრალი უამრავი იყო, რომელიც სხვადასხვა ვერსიებით გაანალიზდა. საიდანაც ერთი მნიშვნელოვანი ის გახლდათ, რომ თეორიული გათვლით, გამძინვარებული ცხოველი, როდესაც იმ ვიწრო გასასვლელის ბოლოში, უკვე ჩაკეტილ ადგილს გადააწყდა და ინსტიქტურად, როგორც ჩანს შეუ-ჩერებლივ გადახტა ღობეზე - ბოლო გვერდითა საბაღე ნაკ-ვეთში, ამით სუფთად ჩიხურ მდგომარეობაში ხალხის ბედად არ დარჩა და უნდა ვივარაუდოთ, რომ ფაქტობრივად არ

შეიქმნა სიტუაცია გაავებული ბუღის რქებზე წამოგებულიყო ამდენი უდანაშაულო შეუიარაღებელი ადამიანი. შედეგად ამისა, ეს შემთხვევა ადამიანების გადარჩენის ერთადერთი საშუალება გამოდგა. თუ ვივარაუდებთ იმასაც, რომ მოვლენათა განვითარება სულ სხვა გზით წავიდოდა და დამფრთხალი პირუტყვი გასასვლელი ჩიხის ჩაკეტვის ადგილიდან რომ წამოსულიყო ამ ვიწრო და სავალად გართულებულ ბილიკზე, გასვლისას გზაში მორიგეობით უსათუოდ წინ შეხვდებოდა მძებნელთა ჯგუფს. აშკარად უმწეო ყველა წევრს ჯგუფურად, თუ თუ ცალ-ცალკე, ცხოველთან თავის არიდების არანაირი საშუალება არ ექნებოდა, ხოლო შედეგად ამისა, ყველაფერი ფატალურად დასრულდებოდა. უნდა ითქვას, რომ სასწაულები ხდება ამქვეყნად. ფაქტია, რომ ღმერთის შემწეობით აშკარად შენარჩუნდა ამდენი ადამიანის უფლისგან მონიჭებული სიცოცხლე.

მადლობა ღმერთს და ჯგუფის წევრებიდან თითოეულის მფარველ ანგელოზს.

და ბოლოს, გამოუცდელობის აშკარა შედეგია, რომ ის მიდგომა, რომელიც შეირჩა ჩვენს მიერ გამხეცებული პირუტყვის დაძებნა-შეჩერებისათვის, არანაირად არ იყო გამართლებული და სწორი გადაწყვეტილება. იგი აღმოჩენისთანავე არსებული წესის დაცვით ადგილზევე უნდა განადგურებულიყო. მომხდარი ფაქტი ცხოვრების უდიდესი გამოცდილება და სასარგებლო გაკვეთილია.

ბედნიერი მამა და ბაბუა - ელგუჯა ადეიშვილი.

გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

ოპერაცია - „ვოტკის“ გამოხდის მცდელობა

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს, ოჯახურ პირობებში სოფლად, თუ როგორ ხდიან (ღებულობენ) სპირტიან სასმელს - არაყს, ანუ რუსული გავლენიდან გამომდინარე ე.წ. „ვოტკა“-ს იმერეთის მხარეში, კონკრეტულად კი ჩემს მშობლიურ სოფელ ყუმურში, მდინარეების ნაპირზე სპეციალურად ამ დანიშნულებით მოწყობილ ადგილებში, მისთვის ადვილი წარმოსადგენია აქ მოთხრობილი, მეტად საინტერესო და ნამდვილი ამბავის გააზრება - მოქმედების განვითარების საბოლოო შედეგებით.

ჩვენთვის საინტერესო „ვოტკის“ (აი, ეს არის ისტორიულად თუ ტრადიციულად დამკვიდრებული სახელწოდება) გამოხდა იქაური ადამიანებისთვის სეზონურ საქმედ ნამდვილად არ ითვლება, რადგან ზაფხულიდან დაწყებული ოჯახები ემზადებიან ამ ერთობ საპატიო სითხის მიღებისათვის შესაბამისი ნედლეულის მომზადებისთვის, რომლის სრულ კონდენციამდე, ანუ გამოხდამდე მიყვანას, სეზონის სხვადასხვა დრო ესაჭიროება. არყის გამოსახდელ ნედლეულს ამზადებენ ყველა სახის ხილისგან (ტყემალი, ბალი, ვაშლი, მსხალი, მაყვალი, ყურძნის ჭაჭა და სხვა მრავალი). ამ პროცედურების გავლა ყველა ოჯახისათვის გარდაუვალია. თუ რომელიმე ოჯახი, რასაკვირველია ვერ შეძლებს სუბიექტური პირობებიდან გამომდინარე და არ ამზადებს „ვოტკას“, ასეთი ოჯახი არ ითვლება მისაღებ სტუმართმოყვრულ კერად. ეს დასალევი სითხე არის ერთ-

ერთი პირველი საშუალება, ოჯახში ნაუცბადევად, ან/და გეგმიურად მოსული, ასევე ცოტა ხანგრძლივად დარჩენადი (დიდი და გაფართოებული სუფრის გაშლამდე), ახლო ან შორეული სტუმარისათვის. სწორედ „ვოტკით“ და მასზე დასაყოლებელი - იმ მომენტისათვის ოჯახში არსებული საშუალებებით (ხილი, ჩურჩხელა, ნიგოზი და თხილი) იწყება ყველაფერი, რომელიც ცალსახად მოიცავს - ადამიანთა ხასიათის გახსნას, კეთილგანწყობის გამოჩენას, მონატრების სხივის მოფენას, ძველი ამბების გახსენებას და ა.შ. რაც სტუმარ - მასპინძლობასთანაა დაკავშირებული. ეს ცერემონია მისაღები და დასაშვებია დღის ნებისმიერი (დილიდან - გვიან საღამომდე) დროიდან. ამასთან იგი ცალკეულ დროს ზეიმსაც კი ემსგავსება.

ოჯახი, სტუმრების საპატივცემულოდ გოჭს რომ წვავდეს და თიკანს რძეში ხარშავდეს, მაინც „ვოტკის“ სუფრა - ტაბლაზე, ტაბურეტ სკამზე, ჯორკოზე თუ დიდ მაგიდაზე, შემდგომში დიდი პურმარილის გაწყობამდე, როგორც წესი უნდა გაიშალოს და იწყება: სტუმრებისა და მასპინძლების მუსაიფი, ძველი ამბების გახსენება, წასულების მოგონება, კარგი ხალხის დალოცვა და რამდენი სხვა საინტერესო ამბების მოყოლა.

მოკლედ „ვოტკის“ სუფრა რომ გაიშალოს, მას შესაბამისი ბაზა უნდა გაჩნდეს, სადაც მთავარი კომპონენტი „ვოტკაა“ და იგი მარაგის სახით ცოტა კარგ ოჯახში ყველაზე მცირე 10 ლიტრზე ქვევით არ უნდა წამოვიდეს და თუ ზოგჯერ მარაგის სახით ოჯახში არ არის რაღაც მიზეზის გამო, ამ შემთხვევაში ოჯახი იწყებს ახალ მარაგზე ზრუნვას, რასაც ჰქვია „ვოტკის“ მომდევნო ჯერის გამოხდა.

ასე, რომ ეს საკითხი ბუნებრივად რეგულირდება მოსახლეობაში და ვინც ამ რითმს კარგად ვერ აყვება, სტუმრის მოსვლისას ან/და შემთხვევით თითის გაჭრისას, მეზობელთან „ვოტკის“ სასესხებლად გადასულ კაცს შეიძლება უარი ვერ უთხრან, მაგრამ შეარცხვენენ იმის გამო, რომ - ოჯახში მაგი დალოცვილი სულ გამოულევლად უნდა იყოსო და იწყება ფიქრი ხარვეზის გამოსწორებისათვის.

ზუსტად, ასე მოიქცა ჩემი სოფლის, ჭალასამზიარის უბნის მკვიდრი, გარდა გვარისა ახლობლურ კავშირში მყოფი მეზობელი კოწია ადეიშვილი, რომელსაც „ვოტკა“, მისი მოკრძალებული სუფრა და საერთოდ პურმარილი, როგორც ტრადიციულ ოჯახში გაზრდილს, საოცრად უყვარდა და უყვარდა კი არა, ეგ სიტყვა ძალიან ცოტაა, მის მიმართ - რადგან „ვოტკა“ და სტუმარი ყველაფერს წარმოადგენდა ამ სულმნათი კაცისათვის – მთელი ცხოვრების მანძილზე.

ოჯახის დედის მკაცრი მოთხოვნით, კოწიას, როგორც იქნა გადააწყვეტინეს „ვოტკის“ გამოხდის მორიგი პროცესი. მოიმარაგა საკმაოდ დიდი ოდენობით შეშა, მოამზადეს გამაგრილებელი წყლის მოსაწოდებელი ღარი და გამოსახდელი „მინი ზავოდი“ გამართეს.

მოიხმო მეზობელ-ბიძაშვილები დასახმარებლად, რომლებიც დიდი სიამოვნებით დათანხმდნენ ამ კეთილშობილ საქმეში დახმარების გასაწევად... თავდაპირველად, სახლის ეზოდან - იქ არსებული ქვევრებიდან (ჭურები) მდინარე ღელის ნაპირას დაახლოებით ერთი 200-300 მეტრის მანძილზე, საკმაოდ დახრილ დაღმართზე, ჩამოსატანი იყო ვოტკის სახადის ე.წ. მასალა, რომელსაც იოლად სატარებელი, ცოტა მოხერხებული ჭურჭლის ნაცვლად, ხელით ეზი-

დებოდნენ ღია ფართოთავიანი ე.წ. 50-ლიტრიანი თუჯის ქვაბით, რაც მართლაც უნდა ითქვას უაღრესად რთული გადასაადგილებელი იყო, მაგრამ თავს ზევით ძალა არ იყო და გინდა არ გინდა საქმე ისე წინ ვერ წავიდოდა. ანუ „ვოტკის“ გამოხდა ვერ შედგებოდა. ასე უნდა ითქვას, რომ ოფლის ღვრის ფასად შეუდგნენ ამ პროცედურების შესრულებას ოჯახის მასპინძელი და მისი დამხმარე ძალა, რაც უფრო გაადვილდა, როდესაც „ვოტკის“ მონებმა, ახალი „ვოტკის“ გამოხდამდე, რასაც მინიუმ 2-3 დღე დასჭირდებოდა ოჯახში კენტად დარჩენილი ერთი ლიტრი რეზერვი „ვოტკა“ როცა დააგემოვნეს, უკვე ამის შემდეგ ხასიათზე მოსულები მადიანად შეუდგნენ ამ კეთილშობილურ საქმეს. გააჩაღეს ცეცხლი, მოამზადეს პარალელურად კარგი ხარისხის გემრიელი გოგრა -კვახები და სხვადასხვა სახის საჭმელ - სასმელი. ამ პროცესს კიდევ დამხმარე ძალაც მიემატა, იქ მოსული, თუ სამეზობლო საუბნო გზაზე გამვლელი მეზობლები, რომელთა რიცხვმა თუ მეტი არა, მინიუმ 8-10-ს მაინც მიაღწია, მაგრამ დასალევი „ვოტკა“ უკვე გათავებული იყო და იდგა ერთი ვაი-ვიში. რა ექნა ოჯახის დედას, დააძრო ბეღლიდან საგანგებოდ და კონსპირაციულად შენახული კიდევ ერთი ლიტრი ძველი გადანახული ორნახადი „ვოტკა“ და უკვე გაჩაღდა ნამდვილი ზეიმი.

ამ დროს, უკვე არავის ახსოვს სახდელი აპარატის ხელშეწყობა, რეგულარულად ცეცხლის შენთება და მიმართულება წავიდა თვითმომსახურების პრონციპით. ზოგი კვახის და კარტოფილის და ზოგიც სიმინდის შეწვით იყო დაკავებული ხოლო ერთიც მეზობლისაგან ყველის სასესხებლად წავიდა იქვე მდინარის გადავლით - ხიდთან

ახლოს. მოკლედ მოერია რა სასმელი მასპინძელს, თუ მომ-სვლელ დამხმარეებს, ვინ სად და რისთვის დადიოდა არავინ იცოდა და სამწვადე ხორცის მოტანამდე, შეიქმნა სრული განუკითხაობა. საქმეს ემჩნეოდა, რომ სანამ ცოტათი არ გამოფხიზლდებოდნენ აზრი დაკარგული ჰქონდა ყველაფერზე საუბარს.

გამოხდის დაწყებიდან უკვე მეორე დღეს გაჩნდა ახალი „ვოტკის“ მიღება-გამოყენების შანსი და ეს ოქროს ბიჭები არა თუ თავს იკავებდნენ დალევისაგან, არამედ პირიქით თავსაც სწირავდნენ და შედეგიც შესანიშნავი იყო - ყველა ახალი გამოსული პარტია ცხლად ისმებოდა ანუ ნადგურებოდა უმოწყალოდ და პერიოდულად ზოგიერთებს მდინარეში აგორავებდნენ გაგრილების თუ შეფხიზლების მიზნით. ასე გაგრძელდა მესამე საზეიმო დღესაც და დამთავრდა, ამოიწურა „ვოტკის“ გამოსახდელი მასალა და პარალელურად ბოლომდე მოხერხდა გამოხდილი სასმელის შესმაც, ასე რომ ნაშთი ერთი წვეთიც არ დარჩენილა.

კოწიას ოჯახში არყის გამოხდის 3-დღიან პერიოდში ჭამა-სმის ხარჯი საკმაოდ ბევრი გაიწია, მათ შორის მჭადის ფქვილის და ოჯახის დედას გამოუჩნდა საქმე, წისქვილში დაახლოებით ერთი ბათმანი სიმინდი რომ წაეღო დასაფქველად. შედეგად კი კოწიამ თავისუფლად მოახერხა მეზობლის ოჯახში მისვლა, რათა მოეხდინა 5 ლიტრი „ვოტკის“ დროებით სესხის სახით მიღება და სახლში მიტანა, „ვოტკის“ გამოხდის ფაქტობრივი შედეგი რეალურად და ფიზიკურად რომ დაფიქსირებულიყო.

დედა წისქვილში გაეშურა სიმინდით ზურგზე აკიდე-

ბული, დააფქვევინა და დროულად უკან გამობრუნდა, თუმცა ზარალს ზარალი მოსდევსო ნათქვამი რომ არის ასეა ზუსტად. გზაში მეზობელი ქალები დახვდნენ, რომლებიც ქვებზე იყვნენ ჩამომსხდარნი და ათას ძველ და ახალ ამბებს იხსენებდნენ. წისქვილიდან მომავალი ქალბატონი ცოტა ხნით მათ შეუერთდათ. ამბების მოყოლაში გართულ ქალებს, შარაზე მოხეტიალე დამშეული ღორები მიეპარათ და ფქვილიანი ტომარა ისე გაიტაცეს, თვალით დანახვაც კი ვერ მოასწრეს. დაიკარგა, გაფრინდა ოჯახში მისატანი ფქვილი, თუმცა რას იზამდა საბრალო ქალი, შეწუხებული გაუყვა სახლისკენ მიმავალ გზას.

შედეგი სახეზეა, მარაგში დასადები „ვოტკის“ ნაცვლად ოჯახს იქეთ დარჩა ვალი ნასესხევი „ვოტკის“ მეზობელზე დასაბრუნებლად. თუმცა კეთილშობილ კოწიას მომავლი-სათვის შრომა უნდა გაეორმაგებინა ხარჯების დაფარვისა და ოჯახის მარაგის გარკვეული რეზერვის შესაქმნელად. ფაქტია ეს ასეც მოხდა, აბა რას იზამდა? ცხოვრება ხომ კეთილი გზით გრძელდება...

ყოველივე აღნიშნულის მოყოლა, სხვა თუ არაფერი, მარტო იმ კეთილშობილი და სახელოვანი ხალხის გასახსენებლად (ნათელი მათ ხსოვნას) - მართლაც ხომ ყველაზე საუკეთესო საშუალებაა სინამდვილეში.

ოპერაცია „საცერი”

გასული საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარია. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მრავალი კლასელი სასწავლებლად თბილისში გადმოვბარგდით. თავისუფალი დრო საკმარისზე მეტი გვქონდა და იმაზე ვფიქრობდით, როგორ და რაში გამოგვეყენებინა იგი. ხშირად ვიკრიბებოდით ქალაქის სხვადასხვა ადგილებში და მეტ - ნაკლებად უსაქმური 12-15 ახალგაზრდა, ახალ-ახალ გასართობ გეგმებს ვალაგებდით. სექტემბერ-ოქტომბრის თვეებში და ზოგჯერ შემდეგშიც, ჩვენი გარკვეული დროით გასართობი საქმიანობა გამოიხატებოდა - სამხედრო სავალდებულო სამსახურში გასამგზავრებელი, ჩვენი სოფლიდან ჩამოყვანილ ახალგაზრდა ბიჭებთან, ნავთლუღის გამანაწილებელ პუნქტში შეხვედრა-გაცილების საპატიო მისიებით.

წვევამდელთა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში განაწილების გზით წამსვლელთა გამომ-ცილებლები, გულშემატკივრები და ახლობლები (მამები, ძმები, ბიძები, მეგობრები და სხვა) თავიანთ ახალგაზრდებს გაგზავნამდე წინა პერიოდში, რაც ზოგჯერ 7-10 დღემდეც გრძელდებოდა, თან ელოდებოდნენ სურსათ-სანოვაგით და ღვინო-არყებით მომარაგებული და ზოგჯერ სად, ან/და ხან კიდევ ვისთან იშლებოდა გამომშვიდობების სუფრები. ზოგჯერ გაცილების პროცესი როდესაც იჭიმებოდა დროში და საჭმელ-სასმელის ოდენობაც შესაბამისად იკლებდა თანდათან, ამ დროს ცალკეულ პირებთან იწყებოდა გარკვეული თანხების შეგროვება ე.წ. „ობშიაკი“-ს სახით და

ამ გზით ნარჩუნდებოდა პურმარილით შეხვედრის უწყვეტი პროცესი.

ზოგჯერ იყო რაღაც მომენტები საერთოდ უფულოდაც ყოფნისა. ასეთ დროს მოსაფიქრებელი იყო ახალი ვარიანტი მცირეოდენი თანხის რაღაცნაირი გზით გაჩენისა. იმ პერიოდში ქალაქში გადაადგილება (მეტრო, ტრამვაი, ტროლეიბუსი, ავტობუსი) პრობლემად არ ითვლებოდა და იაფი დანახაჯით - ახლობლებთან მისვლა, დახმარების თხოვნა, ასე ვთქვათ მოსული იყო, რაც ერთადერთ და დასაყრდენ წყაროს მართლაც წარმოადგენდა. მაგრამ, გარდა აღნიშნულისა - უსახსრობის მომენტის დადგომისას, მის მოწესრიგებას აუცილებლად სჭირდებოდა უფრო სხვა დროული და მოხერხებული გადაწყვეტილების მიღება, რაც სითამამის მომატებით - კიდევ უფრო ადვილი მოსაფიქრებელი და მოსახერხებელი იყო ნაბახუსევზე.

ერთხელ, რამოდენიმე ახალგაზრდასთან ერთად ჩვენს შორის ასევე იყო, ჩვენი ახლობელი მეგობარი - კლასელი, აწ გარდაცვლილი ბიჭი, მარგალიტად დაბადებული პიროვნება - მურადი გიორგაძე. ადამიანი იუმორში ჩაფლული, სხარტი აზროვნების და საოცრად მოხერხებული, რომელიც ყოველთვის მომენტალურად მოიფიქრებდა რაღაც ახალ გამოსავლიან შეთავაზებას და იგი აუცილებლად ნაკლები ხიფათით გამოგვიყვანდა ცოტათი გართულებული მდგომარეობიდან. უნდა ითქვას, რომ მურადს დანარჩენ ბიჭებთან შედარებით მეტი გამოცდილება ჰქონდა ქალაქში (სამტრედია-ქუთაისი) ცხოვრებისა და არ უჭირდა ზიგზაგოვან გზაზე სიარული, ადვილად აღწევდა თავს, ასე ვთქვათ ყველაფერს (მურადი

სკოლის დამთავრებიდან მალე შეუღლდა ჩვენივე სკოლელზე და თანატოლზე, შესანიშნავ პიროვნებაზე (ცარო ადეიშვილი). ამ ვერცხლისწყალივით ახალგაზრდებმა შესანიშნავი და საამაყო ოჯახი შექმნეს, რითაც მისი ბევრი მეგობარი ვამაყობთ).

უფულობა - უსახსრობის გამო დამდგარი კრიზისის დაძლევის მიზნით გადავწყვიტეთ, იქვე ნავთლუღის საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე შესვლა, რათა ვინმე ჩვენი კუთხის წარმომადგენელი გვეპოვა და მისთვის სესხად დროებით გვეთხოვა გარკვეული თანხა. ფიქრი იმაზე, რომ ჩვენი თუ არა, ჩვენი მშობლების ავტორიტეტით 5-10 მანეთს მაინც ან არ მოგვცემდნენ, ან/და არ გვასესხებდნენ - ცოტა ხნით მაინც, ნამდვილად არ იყო, მაგრამ ვინ დაგაცალა ბაზარში ნაცნობების დაძებნა - ნახვისა და ფულის გამორთმევის ოპერაციის დასრულება?? და ამ დროს მოვლენები ძირითადად ასე განვითარდა:

ნაწილი ბიჭებისა (8-10) დავტოვეთ გამწვევი პუნქტის შესასვლელთან და გავემართეთ ფეხით. ბაზრის შესასვლელთან გარეთა მხარეს ტროტუარზე მურადმა სვლა შეაჩერა. ვხედავ ცქერა მიმართული აქვს იქით, სადაც ფქვილის გასაცრელი პრიმიტიული წესით დამზადებული საოჯახო საცრების გორა იდგა და თითო-ოროლა ადამიანი ყიდვის მიზნით ესაუბრებოდა საცრების მფლობელს. იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანების ნაკადი, საცრის შერჩევის და გამყიდველთან ვაჭრობის დროს, რიცხობრივად ცოტა ბევრი რომ ყოფილიყო, როგორც კი მივუახლოვდით ამ ამორჩეულ ადგილს, მე პირადად მურადმა მოკლედ გამაცნო გეგმა, თან მომცა რჩევა, გავბრუნებულიყავი უკანვე,

დამატებით ჩვენი ჯგუფიდან მომეყვანა 5-6 პირი, თითქოსდა ესენი იყვნენ "საცრის მყიდველები" და ვაჭრობა - შერჩევის ხელოვნური ფორმის მოწყობით, შემოეხვეოდნენ ამ მოხუც საცრების გამყიდველს, ხოლო ამ დროს მურადი, მომენტს იხელთებდა და რაღაცას (წინასწარ უცნობი იყო რას აპირებდა) მოახერხებდა.... კონკრეტულად კი თუ რას გააკეთებდა, ამის შესახებ არაფერი უთქვამს.

წავედი, ასე ვთქვათ ჩვენი რაზმის წევრების მოსაყვანად, გავესაუბრე ზოგადად მათ, ნაწილმა გამოყოლაზე უარი მითხრა სხვადასხვა მოსაზრების გამო და დავბრუნდი დაახლოებით 5-10 წუთში. ჩემს, ასე ვთქვათ დამხმარე თანამებრძოლებს ვაცნობ, როგორ მოხერხებულად უნდა ემოქმედათ დანიშნულების არეალში მესაცრის ადგილსამყოფელთან, რომ საცრების გამყიდველი დაბნეულიყო... მაგრამ მივუახლოვდით დანიშნულების ადგილს, სადაც მესაცრე იმყოფებოდა და ჩვენი ძმა მურადი უკვე აღარსად ჩანს. მივიხედ-მოვიხედე და მოპირდაპირე მხარეს დგას ტროტუარზე და შენელებული სტვენით მანიშ-ნებს, რომ მასთან გადავსულიყავით მე და ჩემი დამხმარე ამალა. გადავჭერი ქუჩა და რას ვხედავ, მურადის ხელები ზურგს უკან აქვს განლაგებული საკუთარ ტანზე და ორი დიდი საცერი უჭირავს ხელში, გადმომცა და გავაგრძელეთ გზა ჩვენი საერთო შეხვედრის ადგილზე. ოღონდ საოცრად გაკვირვებულები ვარ და არაფერს ვეკითხები - დაგეგმილი ოპერაციის დასრულება როგორ მოახერა ჩვენი დახმა-რებისა და თანაც დაგეგმილ დროსთან შედარებით ადრე.

ახლა დამატებით ახალი საფიქრალი გახდა, ფაქტია, რომ საცერი არ იჭმევა და არც ისმევა, უკვე საჭიროა მისი ფუ-

ლად გადაქცევა. ქუჩაში ამას ჩვენგან არავინ იყიდის, რადგან ბაზრის მისადგომებთან უამრავ საცერს ყიდის თავად მისი მფლობელი.

ვაი, უბედურებას, ვფიქრობთ რა ვქნათ?? მურადი მეუბნება - გამოსავალი არ არის და ამიტომ შენ ძმაოო... უნდა აიღო თავზე ეს ყველაფერი, მიდი საცერის გამყიდველთან და განუცხადე, დედაჩემმა სახლში მიტანისას დამიწუნა შენგან ნაყიდი ორივე საცერი და გთხოვ, რომ უკან ჩაიბაროთ და თანხა დამიბრუნოთო.

რა უნდა გამეკეთებინა არ ვიცოდი, მაგრამ მარტო არ წავედი (მართალია, მაშინ დღევანდელივით სათვალთვალო კამერები არ მოქმედებდა, მაგრამ მაინც... საფრთხილო კი ნამდვილად იყო), გავიყოლე მთავარი „მძარცველი" - მურადი. მომდევნო პროცესი ასე დაიწყო - ვინაიდან, მოპარული საცერის გასაყიდი ზუსტი ფასი არ ვიცოდით, მორიგი მყიდველის გამოჩენას და საცრის გასაყიდი ფასის დადგენას - შორიახლოს მიყურადღების ჩათვლით, საკმაო ხანი დასჭირდა და ბოლოს სინდისის ქენჯნის გარეშე მივადექი ამ თვალებჩაწითლებულ მოხუცს და ავუხსენი ყველაფერი, მაგრამ უნდა გენახა მისი გაკვირვებული სახე, ასე ვთქვათ უნდოდა, რომ შევეჭამე მაგრამ ვერ ბედავდა, ესეც ნათლად ჩანდა. იუარა თავიდან, არ დამეთანხმა. მეც ვაწვები ჯიქურ. იგი კვლავ იმეორებს არა, დღეს შენ საცერი, თანაც ორი ცალი (შეცდომა მქონდა დაშვებული, უნდა მეთქვა ერთი კვირის წინ თქო...) სინამდვილეში ჩემგან არ გიყიდიაო... ჩვენს შორის მორიგება - დავის დროს, ეს კაცი საცერს ფაქტიურად ვერ ყიდდა, გაურბიან კლიენტები, არადა ცოცხალი თავით ფულს არ იძლევა („მძარცველი“ მურადი

შორიახლოს დგას და ჯიბის დანით ჯოხს თლის). გამოსავალს ვეძებ! და სინამდვილეში არაფერი გამომდის. ამ დროს მე სიმაღლეში 1,48 მეტრს არ ვაჭარბებდი - გარეგნულად პატარა ბავშვს ვგავდი, მიუხედევად იმისა 18 წლის ვიყავი, მოულოდნელად გამოვხატე „ხელოვნური'' აღელვება, რომ დედა არ მიმიშვებს სახლში და პასუხს შენ აგებ ყველაფერზე - თქო. ამდენ ხვეწნაში, მოლბა ეს საცოდავი საცრის გამყიდველი და გადაწყვიტა რომ მოვეშორებინე, რადგან საცერს ფაქტიურად ვერ ყიდდა, კლიენტები აშკარად ერიდებოდნენ ასეთ დავიდარებას და დაკოჟრილი ხელით 7 მანეთი გამომიწოდა და მითხრა, ამ არემარეზე არ გნახო არასდროსო!! ფული ურცხვად გამოვართვი და წამოვედი. იქვე სასწრაფოდ 8 - 10 ბოთლი ლუდი „ჟიგულევსკი" და ქვირითიანი ტარანი შევიძინეთ და მოვილხინეთ, რომ იტყვიან კარგად და დარჩენილი თანხის ნაწილი - ალბათ, თითო აბაზი ძმურად გავინაწილეთ ერთმანეთში.

ასეთი უღირსი საქციელი არ გვეკადრებოდა, მაგრამ როგორც ჩანს, გვაპატია უფალმა. სადღეგრძელოები არ გვითქვამს, რადგან ჯერ ერთი შესაბამისი სასმისი ჭიქები არ გვქონდა და მეორეც, დათქმა იყო ასეთი, რომ ლუდით სადღეგრძელოები არ გამოითქმოდა.

ისე, გასახსენებლად ეს ძველი ამბავი თითქოს მართლაც კარგია, მაგრამ ნავთლუღის ბაზარს დღესაც რომ მივუახლოვდები, ახლაც მრცხვენია ახალგაზრდობაში ჩადენილი უმსგავსო და მიუღებელი საქციელის გამო.

ავტორის მშობლიური კუთხე

ს ა რ ჩ ე ვ ი:

- ყუმურის წმ.გიორგის ტაძრის სამრეკლოს აშენება -2022 ---------- 9
- გულახდილობა ---------- 10
- მწვერვალი ---------- 12
- ჩანჩქერი "მსხალთავაკე" ---------- 14
- ჩემი მოკრძალებული ლექსები და გამონათქვამები
- ***(ღმერთო! შენამდე შორია) ---------- 19
- ***(ხსნა, ასე არ მოდის...) ---------- 19
- ***(ვჩუქნი უჩემობას - მათზე) ---------- 20
- ***(დაუნახავი - ცბიერი) ---------- 20
- ***(საჩუქარს არასდროს ითხოვს) ---------- 21
- ***(ნუ ნანობ იმ ადამიანს) ---------- 21
- ***(ცხოვრება, სადაც წამიყვანს) ---------- 22
- ***(ხშირად მარტო ხარ ფიქრებში) ---------- 22
- თებერვალი დადგაო... ---------- 23
- ***(ბოროტთან, როცა იმარჯვებ!) ---------- 23
- ფარული სიმართლე ---------- 24
- "წვიმა მოვიდა კოკისპირული, გამოთქმებია მთლად შექსპირული" ---------- 24
- პროტოტიპი ---------- 27
- შეხმიანება საინტერესო გამონათქვამებზე ---------- 28
- ***(შური, არ იძიო მ ა თ ზ ე) ---------- 34
- ***(დისტანცირდი ისეთ ხალხთან) ---------- 35
- რწმენა და ცრურწმენა ---------- 36
- ბედის ბორბალი ---------- 37
- შვილ-მომავალი ---------- 38
- ***(პირველი დიდი სიხარული- 11.08.78წ) ---------- 38

მწვერვალი

- ***(მეორე დიდი სიხარული- 07.06.84წ) ---------- 40
- ***(ჩვენს რძალს - თამარ დათუაშვილს) ---------- 41
- ჩვენი სანდრო ! ---------- 42
- ***(გეგა ადეიშვილს) ---------- 43
- შეგონება! ---------- 44
- გამოხმაურება ---------- 44
- გამონათქვამებზე შეხმიანება ---------- 45
- ***(უმადურ კაცს ყოველთვის სჯობს) ---------- 46
- ჭეშმარიტი მამულიშვილი ---------- 47
- სიმართლე და სიბნელე ---------- 50
- გამოხმაურება მოქმედებაზე ---------- 50
- თავიდან დაბადება ---------- 51
- ***(ვალდებულებაა იყო ღირსეული ადამიანი) ---------- 52
- ნათელა ჭინჭარაულს ---------- 53
- ნინო ჩუბინიძეს ---------- 54
- ვერიკო ჭაფოძეს ---------- 55
- ლექსად ნათქვამი გამონათქვამი ---------- 55
- მ ი დ გ ო მ ა ---------- 57
- შეპასუხება პროფესორ ვახტანგ ჭაფოძეს ---------- 58
- ***(სიღარიბით გაჭირვების დროს) ---------- 58
- ევროკავშირი - 23 ---------- 59
- ასეა!! ეს ... ---------- 59
- ***(ვეცადოთ) ---------- 61
- ***(გაიაზრე! ვისთან დადგე...) ---------- 61
- სირაქლემა ---------- 62
- მ ხ ი ლ ე ბ ა, თ უ ქ მ ნ ი ლ ე ბ ა?! ---------- 62
- ნიკორწმინდა ---------- 63
- ***(ჭკვა უხმარ არს...) ---------- 65

- ***(ხედვა) ---------- 65
- ჩემი მხარის ყუმურის მონატრება! ---------- 66
- მილოცვა ---------- 67
- ***(გაიხარეთ, შინ და გარე) ---------- 69
- ***(ოაზისის წითელ ღვინოს) ---------- 69
- იმედი ---------- 70
- ***(მზად ვარ გასვლაზე ყოველ წამს) ---------- 70
- ***(აი ია) ---------- 71
- ***(სხვამ, დაიმკვიდრა სხვისი ადგილი) ---------- 71
- იმედის ძაფი ---------- 71
- ***(მუზა, მესტუმრა ძველ დროს) ---------- 72
- სახალისოები ---------- 72
- კონსტანტინე გამსახურდიას ---------- 73
- ა რ ს ე ბ ა ! ---------- 74
- ***(შხამი უცვლელი) ---------- 75
- ***(წუხილი) ---------- 75
- ***(ურჩი) ---------- 76
- ***(აიშალა გამა - ქალი) ---------- 77
- ***(მორწმუნე, ის კი არ არის) ---------- 77
- ***(მილოცვა) ---------- 78
- ლამაზი ქალი ---------- 79
- ***(უდიდესი მადლობა ნატას) ---------- 79
- სიმართლის სხივი ---------- 80
- ***(უსულგულო) ---------- 82
- შოვის ტრაგედია ---------- 83
- ***(გული მქონდა ძლიერი) ---------- 84
- ***(პარაზიტები) ---------- 85
- ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა ---------- 86
- ***(მ წ უ ხ ა რ ე ბ ა) ---------- 87

- ***(გამონათქვამი) ---------- 88
- ***(გამონათქვამი სა-მურა) ---------- 88
- შეხედულება !!! ---------- 89
- ***(თანადგომა) ---------- 91
- ***(უხეშობას ემონები) ---------- 92
- ***(აბაااა?) ---------- 92
- ნაძირალა (ფიქრი ზღვის პირას...) ---------- 93
- ***(თვალით დანახული) ---------- 95
- ***(გეყოფა) ---------- 95
- ***(აი, ია !) ---------- 95
- ***(ჰეგემონი) ---------- 97
- ***(ნეტავი ნატვრა ამიხდებოდეს) ---------- 97
- ***(ჭკვა - არ იყიდება) ---------- 98
- ***(შმაგი თვალაბეიშვილს) ---------- 99
- შეგონება ---------- 99
- ***(ა დ ა მ ი ა ნ ი) ---------- 100
- ***(გამოსავალი) ---------- 101
- კეთილშობილება ---------- 102
- ***(შ ე ნ) ---------- 103
- ***(მისაღწევი ჭეშმარიტება) ---------- 104
- ***(ნურასდროს მოითხოვ იმას) ---------- 105
- რ ე ა ლ ო ბ ა ---------- 105
- ***(დრო მეფობს...) ---------- 108
- ***(მათრობს, სამყარო აპრილ - მაისის) ---------- 108
- ***(უსაშველო - მაშველი) ---------- 109
- ***(დილა- 03.06.2023წ) ---------- 110
- მეგობარი ---------- 111
- ***(მოკითხვა ფატიმას) ---------- 112
- ***(შორია, შეგონებამდე) ---------- 113

- ***(ასე ჯობს) ---------- 114
- ***(ჯიხვი) ---------- 114
- ***(გვებრძვის სატანა, გვწამლავს მიგნებით) ---------- 115
- ***(რჩევა) ---------- 115
- ***(ძ ა ხ ი ლ ი ს ნ ი შ ა ნ ი) ---------- 116
- ***(ციური მნათობის გახსნა - ღირსება როდია...) ---------- 117
- ***(ჩემი დატვირთვის რა გითხრათ) ---------- 118
- ***(აღმოჩენა) ---------- 118
- ***(ყურადღებით) ---------- 119
- ***(კეთილი) ---------- 119
- ***(ღირსეულს) ---------- 120
- ***(ასეა ეს - ასეც იქნება) ---------- 121
- ***(ნათქვამია) ---------- 122
- ***(ზედმეტს არ ვიდებ გულში) ---------- 122
- ***(დედის დღე 3 მარტი - თამარ ფოფხაძეს) ---------- 123
- ***(ჭეშმარიტება) ---------- 123
- ***(ადრე და ამჟამად) ---------- 124
- ლექსად ნათქვამი გამონათქვამები ---------- 124
- ჭიტა !! ---------- 129
- ნდობა პირველია! ---------- 129
- ჩემი მიდგომა ---------- 130
- დაგვიანებით შექმნილი ***(ფ ა ს ი) ---------- 130
- ***(ხედვა) ---------- 132
- ***(არასდროს არ გაამართლო) ---------- 132
- ***(დაბრკოლება არ არსებობს) ---------- 133
- ***(ჩინური სიბრძნიდან) ---------- 134
- რ ჩ ე ვ ა ---------- 135

მწვერვალი

- გაზაფხულია ყველაფერი ---------- 136
- ესეც შენ ! ---------- 138
- ***(სამადლობელი) ---------- 139
- საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თვალსაჩინო მოღვაწეები
- რ ე ვ ა ზ მ ი შ ვ ე ლ ა ძ ე ---------- 140
- მ ა ყ ვ ა ლ ა გ ო ნ ა შ ვ ი ლ ი ---------- 152
- ჩვენი მწერალთა სამყარო
- ნინო უძილაური ---------- 158
- დეზდემონა (დეზი) ემანულიძე ---------- 163
- ლალი ჩხეიძე ---------- 171
- ვალიკო კაკაურიძე (მიმინო) ---------- 174
- ნინო როსტიაშვილი (ნერუ) ---------- 178
- თენგიზ ფანცულაია ---------- 183
- დიდი პოეტის თემურ ჩალაბაშვილის ნათელ ხსოვნას ---------- 192
- ჩემი ნაწილი - სამეგობრო წრე
- ნანა ლომთათიძე ---------- 194
- თორნიკე (ლეონტი) ადეიშვილი ---------- 198
- ნინო ჯავახიშვილი ---------- 200
- ელგუჯა ადეიშვილისადმი მიძღვნილი წერილებიდან ამონარიდები ---------- 203
- შემთხვევა ციხისძირში ---------- 208
- გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა
- ოპერაცია - „ვოტკის“ გამოხდის მცდელობა ---------- 215
- ოპერაცია „საცერი’’ ---------- 221

ელგუჯა ადეიშვილი
„მწვერვალი“

Elguja Adeishvili
“Mtsvervali”

გამომცემლობის
რედაქტორი - ბურამ კუპატაძე

რედაქტორი - ნიკო ბაღაშვილი

ტექნიკური რედაქტორი - თამარ ფოფხაძე

მხატვარი - თინათინ ადეიშვილი

მხატვრული რედაქტორები - სოფიკო ბოლქვაძე
- თინათინ გეგეშიძე

კონსულტანტი - ლუიზა ადეიშვილი

კორექტორი - ნუნუ ადეიშვილი

თბილისი
2024

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2024

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com



ნაკოტრავას მწვერვალი - ვანი, ყუმური

* * *

(მდაბიო)

- არაკაცი!
სამეგობროს ორ შაურად ყიდდა,
- დამშეულ მხეცს!
მეგობრების შეძენა რომ სურდა ...
გაოცებულს დანახვაზე,
ფაქტი ღიმილს გვრიდა.

ასეც არის - ვერ გაიგებ!
ნუთუ ასე ღირდა?

- არაკაცო!
უნდა გვითხრა - ფული რისთვის გინდა?
- მხეცი ამბობს!
მტერთან ერთად - მეგობარიც მინდა!